ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი №4 (16), 2012, აპრილი ფასი 2 ლარი

# ისტორიანი

## ღვთიური სასნაულის სამი აუსილებელი პირობა

## მადლმოსილი ცეცხლის გარდამოსვლის საიდუმლო

## იოანა ქალი პაპის ტახტზე

## მსოფლიო ნახლვნა სხვადასხვა ხალხის მითებში

ქართველების გმირული ეპოპეა

**ლევან გოთუა**

**გმირთა პარამი**

**8 წიგნად**

ნიგნი VI

**ფასი 3 ლარი**

წიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 5 ლარი

ტუჩინის სულია ჭეშმარიტად ქრისტეს სამოსია

ჩობოჩ შევხეჩოთ... მილიარდი

სტადიონი, ჩობოჩს ბრძოლის ველი

ჩატომ აქსა იაპონიამ ზუჩბი დანაჩენ მსოფლიოს






## სარჩევი


**ახალი ამბები**

ტურინის სუდარა ჭეშმარიტად ქრისტეს სამოსია ---------- 6

საქართველოში დაბეჭდილი პირველი საფოსტო მარკის ახალი ეგზემპლარი! — „ტფილისის უნიკა“ დღეს მილიონი დოლარი ღირს ---------- 7

ჰიტლერმა ყველა მოატყუა და სტალინზე დიდხანს იცოცხლა?! ---------- 8

ტარო-კლარჯეთის ძეგლებს კერძო ინიციატივითაც შეეწევიან ---------- 11

**აღდგომის სასნაული**

მადლმოსილი ცეცხლი მაცხოვრის საფლავზე ---------- 12

**მემკვიდრეობა**

სვეტიცხოვლის დაკარგული ფრესკები --- 18

**ეთნოსთა ისტორიიდან**

„მთის ჩამოწოლა“ შიდა ქართლში ---------- 26

**ნეხილი ხედაჯსია**

დანგრეული ეკლესია ჯვარიდან გვიხმობს ---------- 32

**ფაშისტები და ბოლშევიკები**

ევროპის „დაჩეხვა“ — რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი და ერთი პოლონური ოჯახის ტრაგედია ---------- 35

**ისტორიის საიდუმლოებანი**

რატომ აქცია იაპონიამ ზურგი დანარჩენ მსოფლიოს ---------- 41

## სარჩევი


შუა საუკუნეების საიდუმლოებანი
ქალი პაპის ტახტზე ---------- 48

ბიბლიური ისტორია
ნოეს პროტოტიპები — რას გვამცნობენ უძველესი მითები მსოფლიო წარღვნის შესახებ ---------- 51

ბიზნესის ისტორია
როგორ შეეკეროთ... მილიარდი ---------- 56

სპორტის ისტორიიდან
სტადიონი, როგორც ბრძოლის ველი ------ 60

ეროვნული „აირჩიე ქალი“
ორლესანელი ქალწული — საბედისწერო წუთები ---------- 65

ტუხისტული მარშრუტი
„ვისაც სურს, სასწაული იხილოს!“ — თელავ-ქალაქის გადმოსახედიდან დანახული ალაზნის ველი ---------- 67

სხოვრება
გუგული მგელაძე: — მამაკაცი იმდენი წლისაა, რამდენისაც შეუძლია იყოს!.. ---- 72

ერედიტი
თამაზ კვაჭანტირაძე: „ქველაფრის ხსოვნამ უმთავრესი არ უნდა დაგვავიწყოს“ -------- 78

„ისტორიანი“ ბავშვებისთვის
500 ფაქტი ისტორიიდან ---------- 82

სპანგორდი ---------- 90

# ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

15 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე საქართველოში ჩამოაბრძანებენ წმინდა ცეცხლს, რომელიც აღდგომის ტაძარში მორწმუნე მრევლზე გარდამოდის. ეს უდიდესი საიდუმლო, ტრადიციით, უფლის აღდგომისთანავე იწყება, როდესაც ზეციურმა ცეცხლმა გააბრწყინა საფლავი. უკვე IV საუკუნიდან ჩვენ გვაქვს წერილობითი ცნობები წმინდა ცეცხლის აღდგომის ტაძარში გარდამოსვლაზე. მოგვიანებით, იერუსალიმში აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ჩასული პილიგრიმები საგანგებოდ აღწერდნენ ამ საიდუმლოს. ჟურნალში შევეცადეთ მოგვეთხრო ზეციური ცეცხლის გარდამოსვლის საეკლესიო რიტუალზე. იმ ატმოსფეროზე, რაც სუფევს აღდგომის ტაძარში ამ დროს, თუმცა ადამიანი ერთხელ მაინც თუ დასწრებია ზეციური ცეცხლის გარდამოსვლას, დამერწმუნება, რომ ყოველივე ამის სრულად აღწერა და ახსნა შეუძლებელია.

წინამდებარე ნომერი გამორჩეულია თავისი მრავალფეროვნებით. შევეცადეთ მკითხველისთვის მოგვეთხრო საქართველოსა თუ მსოფლიო ისტორიის ისეთ ფაქტებზე, რომლებიც დღემდე ბურუსითაა მოცული ან უამრავ კითხვას ბადებს. ერთ-ერთი ახალი თემაა რომის პაპის ტახტზე ქალის ყოფნის სავარაუდო ფაქტი. 2009 წელს საზოგადოებამ იხილა საინტერესო ისტორიული ფილმი „პაპი იოანა“, რომელმაც კიდევ უფრო გაამძაფრა ინტერესი ლეგენდარული ქალი-პაპისადმი. რა გზა განვლო პაპმა იოანამ და როგორი იყო მისი ცხოვრება, ამაზე საგანგებოდ მოგითხრობთ ჟურნალი „ისტორიანი“. აქვე მინდა კიდევ ერთხელ მივმართო მკითხველს: თქვენ შეგიძლიათ მოგვწეროთ, რა თემების ხილვას ისურვებდით მომავალ ნომრებში. „ისტორიანი“ თითოეული თქვენგანის ჟურნალია და ამ ჟურნალის დაგეგმვაში მონაწილეობით მხოლოდ გაამრავალფეროვნებთ მას.

მევეცადეთ მოგვეთხრო ზეციური ცეცხლის გარდამოსვლის საეკლესიო რიტუალზე. იმ ატმოსფეროზე, რაც სუფევს აღდგომის ტაძარში ამ დროს...


ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი
**„ისტორიანი“**

მთავარი რედაქტორი
**ჯაბა სამუშია**

რედაქტორი
**გელა გურგენიძე**

სტილისტი-რედაქტორი
**ელენე სალარიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა
**რეზო თხილიშვილი**

სარედაქციო კოლეგია:
**ალექსანდრე ბოშიშვილი**
**ოქროპირ ჯიქური**
**ნინო ჯაფარიძე**

კორექტორები:
**ნანა მაჭავარიანი**
**ნინო აბესაძე**

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
**ტელ.: 238-13-72, 238-02-45**

სარეკლამო განყოფილება
**ტელ.: 237-78-07, 238-78-70**

e-mail: istoriani@palitra.ge

**ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ**

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და
წიგნების გავრცელების სააგენტოს **„ელვა.ჯი“**.
**ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91**

# ტურინის სუდარა ჭეშმარიტად ქრისტეს სამოსია

***ქრისტიანული სიწმინდე, ტურინის სუდარა შუა საუკუნეების ნაყალბევი არ არის და ნამდვილად ის არის, რითაც იესო ქრისტე დაკრძალეს. ახალი კვლევა ამ საკითხზე იტალიელმა მეცნიერებმა მოაწყვეს.***

ექსპერიმენტის შედეგად იტალიის ენერგეტიკის, ტექნოლოგიებისა და მოწყობილობათა ნაციონალური სააგენტოს თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ „ქსოვილი, რომელზეც ადამიანის სხეულის ანაბეჭდები და სისხლის ლაქებია შემორჩენილი, არ შეიძლება განეკუთვნებოდეს შუა საუკუნეებს და ამასთან, ისინი ბუნებრივი წარმოშობისაა“.

კვლევის დასკვნით ნაწილში მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ეს ანაბეჭდები „მაღალი ელექტრომაგნიტური ენერგიის ამოტყორცნის შედეგად გაჩნდა“. ამდენად, მათი კვლევა საფუძვლიანი დადასტურებაა იმისა, რისიც მილიონობით მორწმუნეს სწამდა, რომ ისინი სუდარაზე ქრისტეს აღდგომისას გამოისახა.

ტურინის ლეგენდარული სუდარა დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ მონასტერში. ჯვაროსნების მიერ ბიზანტიის დედაქალაქის აღების შემდეგ სუდარა საფრანგეთში ჩამოიტანეს, მოგვიანებით კი იტალიაში მოხვდა.

ქრისტიანული სიწმინდე ამჟამად ტურინში, წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში ინახება.

გადმოცემის თანახმად, სწორედ ამ სუდარაში გაახვია იოსებ არიმათიელმა მაცხოვრის სხეული ჯვარცმიდან გარდამოხსნის შემდეგ. მასზე ადამიანის სხეულის ანაბეჭდი და სისხლის ლაქები დღემდეა შემორჩენილი.

*მოამზადებულია The Telegraph-ის მასალების მიხედვით*

# საქართველოში დაბეჭდილი პირველი საფოსტო მარკის ახალი ეგზემპლარი!

## „ტფილისის უნიკა" დღეს მილიონი დოლარი ღირს

**ჟურნალ „ისტორიანის" პირველ ნომერში მკითხველს შევთავაზეთ წერილი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და მაშინდელ რუსეთის იმპერიაში გამოშვებული პირველი საფოსტო მარკის, „ტფილისის უნიკის" (Тифлисская уника) შესახებ, რომელიც საქართველოში, ანუ მაშინდელ თბილისის გუბერნიაში 1857 წელს მცირე ტირაჟით დაბეჭდეს. საფოსტო მარკა თბილისსა და კოჯორს (სადაც მეფისნაცვლის ზაფხულის სასახლე იყო) შორის 1857-1858 წლებში საფოსტო გზავნილებისთვის გამოიყენებოდა.**

„ტფილისის უნიკა" მსოფლიოს ორმოც უიშვიათეს და ათ უძვირფასეს საფოსტო მარკათა რიცხვში შედის. მისი ფასი უკვე მილიონ დოლარს მიუახლოვდა. ბოლოს, 2008 წელს მისმა ერთ-ერთმა მფლობელმა ზბიგნევ მიკულსკიმ მარკა აუქციონზე 480 ათას ევროდ (დაახლოებით 700 ათასი დოლარი) გაყიდა. თუმცა აუქციონებზე მის საწყის ფასად უკვე ერთ მილიონ ამერიკულ დოლარს ასახელებენ.

*ტფილისის უნიკა, სმითსონის ინსტიტუტის კოლექციის ეგზემპლარი*

დღემდე „ტფილისის უნიკის" მხოლოდ ოთხი ეგზემპლარი იყო ცნობილი, ამათგან ერთი ე.წ. პარიზული ასლია, რომელიც 1870-1880 წლებში უნდა იყოს დამზადებული. იგი საკმაოდ სქემატური და ორიგინალისგან განსხვავებული გამოსახულებაა.

ახლახან ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვაშინგტონში, სმითსონის ინსტიტუტის საფოსტო მარკების მუზეუმში, რუსეთის იმპერიის მარკების კოლექციაში „ტფილისის უნიკის" ახალი, გამოუყენებელი, მეხუთე ეგზემპლარი აღმოჩნდა.

„ტფილისის უნიკის" უცნობი ეგზემპლარი დიდ ბრიტანეთში მცხოვრები რუსი ფილატელისტის, გ. კასტლინის კოლექციაში ინახებოდა. მარკა მუზეუმისთვის მის შთამომავლებს 1984 წელს გადაუცია.

**ალექსანდრე გოშიშვილი**



*სმითსონის ინსტიტუტის საფოსტო მარკების მუზეუმი (მარცხენა ფოტო: შესასვლელი, მარჯვენა ფოტო: ინტერიერი)*



# ჰიტლერმა ყველა მოატყუა და სტალინზე დიდხანს იცოცხლა?!

***მეორე მსოფლიო ომის დასასრულს ჰიტლერმა გერმანიიდან ევა ბრაუნთან ერთად გაღწევა და არგენტინაში ჩასვლა მოახერხა! მეტიც, მან სტალინის სიკვდილის შემდეგ კიდევ ცხრა წელიწადს იცოცხლა! — ამ სენსაციური ვერსიის ავტორები ბრიტანელი ისტორიკოსები არიან.***

ჯერარდ უილიამსი და საიმონ დანსტენი ირწმუნებიან, რომ 1945 წლის 27 აპრილს, როცა საბჭოთა არმია მთელ ბერლინს უტევდა, ფიურერმა და მისმა მეგობარმა ქალმა ევა ბრაუნმა რაიხსკანცელარიის შენობიდან გაქცევა საიდუმლო გვირაბით მოახერხეს. ჰიტლერის ადგილი მისმა ორეულმა დაიკავა, ხოლო მისი საყვარლის როლი ნაკლებად ცნობილმა მსახიობმა შეასრულა. სწორედ მათ მოიკლეს თავი 20 აპრილს რაიხსკანცელარიის ბუნკერში.

თავად ჰიტლერი და ევა ბრაუნი თვითმფრინავით ჯერ დანიის ქალაქ ტონდერში გადაიყვანეს, იქიდან კი ქალაქ ლიუბეკ-ტრავემიუნდეს ბაზა ლიუფტბაფში. შემდეგ ბორტმა JU52-მა წყვილი ესპანეთის ქალაქ რეუსში ჩაიყვანა, რომელიც ბარსელონას სამხრეთით მდებარეობს. ესპანეთის დიქტატორმა, გენერალმა ფრანკომ კი ფიურერს თვითმფრინავი მისცა, რომელზეც ესპანეთის ამოსაცნობი ნიშნები იყო. ამ თვითმფრინავით ჰიტლერი კანარის კუნძულებზე ჩაფრინდა, მეორე დღეს კი ევა ბრაუნთან ერთად წყალქვეშა ნავზე ავიდა. სწორედ ამ წყალქვეშა ხომალდით ჩავიდნენ ფიურერი და მისი საყვარელი შორეულ არგენტინაში, რომლის ხელისუფლებაც ნაცისტებს თანაუგრძნობდა.

ბრიტანელმა ისტორიკოსებმა ჰიტლერის გაქცევის ამ ვერსიას წიგნიც მიუძღვნეს, „რუხი მგელი — ადოლფ ჰიტლერის გაქცევა“.

ჯერარდ უილიამსი და საიმონ დანსტენი ირწმუნებიან, რომ ჰიტლერის გაქცევის ეს გეგმა ჯერ კიდევ 1943 წელს მოამზადა მისმა უახლოესმა თანამებრძოლმა მარტინ ბორმან-

მა. მაშინ სამხრეთ ამერიკაში მეოთხე რაიხის შექმნის გეგმაც კი შეიმუშავეს, რომელიც გერმანიის მემკვიდრე იქნებოდა.

თავად ბორმანმაც, რომელიც ვეღარ იპოვეს, ამავე გეგმით ისარგებლა. მკვლევართა ვერსიით, ის ბუნკერიდან 1945 წლის პირველ მაისს გაიქცა. ათი დღის შემდეგ კი მოკავშირეებთან მოხვდა, ვინც იგი ჯერ შვეიცარიის ბაზელში, შემდეგ ბრიტანეთში გადაიყვანა. ამ ვერსიით, ბორმანს პლასტიკური ოპერაცია გაუკეთეს, შეუცვალეს ხმა და სიარულის მანერა. ჰიტლერის თანამოაზრე და თანამებრძოლი, ისტორიკოსთა ვერსიით, ამ ამბებიდან სამ წელიწადში ბრიტანეთშივე გარდაიცვალა.

ბრიტანელი ისტორიკოსებისვე მტკიცებით, გაქცევის საქმესთან ამერიკული სპეცსამსახურები იყვნენ დაკავშირებული, რომელთაც არა მხოლოდ გერმანელთა საიდუმლოებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება სურდათ, არამედ გვარიანი გასამრჯელოც მიიღეს.

ფიურერმა და მისმა საყვარელმა ქალაქ მარ-დელ-პლატას შეაფარეს თავი. 1953 წელს ევა ბრაუნი ჰიტლერს დასცილდა და ქვეყნის დასავლეთით ქალაქ ნეუკენში გადაბარგდა. თავად ჰიტლერმა კი მარ-დელ-პლატაში სიკვდილამდე, 1962 წლამდე იცხოვრა. სიცოცხლის ბოლოს გულმავიწყობა დასჩემდა, თუმცა ნაცისტთა გამარჯვებისა მაინც სჯეროდა.

წიგნის ავტორების მტკიცებით, ჰიტლერსა და ბრაუნს ორი გოგონაც ჰყავდათ. ერთი 1941 წლის ბოლოს დაიბადა. ბავშვები თავიდან მშობლებთან ცხოვრობდნენ, შემდეგ ბრაუნთან ერთად ნეუკენში გადავიდნენ. დედის გარდაცვალების შემდეგ ეს ქალაქი დატოვეს, თუმცა სამხრეთი ამერიკა დღემდე არ დაუტოვებიათ.

ჯერარდ უილიამსმა და საიმონ დანსტენმა ეს ვერსია მფრინავ პიტერ ბაუმჰარტის, ბერლინში იმ პერიოდში აკრედიტებული იაპონელი დიპლომატის, ექიმების, მზარეულებისა და დაცვის სამსახურის თანამშრომლების ნაამბობზეც ააგეს, ვინც ფიურერთან მსახურობდა, შემდეგ კი არგენტინაში აღმოჩნდა.

ბრიტანელი მეცნიერები ასევე შეხვდნენ არგენტინელ 78 წლის მოხუცს, რომელსაც 1953 და 1956 წლებში მესამე რაიხის ფიურერთან ურთიერთობა ბუენოს-აირესის ცენტრში მდებარე სასტუმროში ჰქონდა.

რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამსახურში კი 1945 წელს ჰიტლერის გაქცევის ვერსიას არასერიოზულს უწოდებენ. სამსახურის სარეგისტრაციო და არქივის განყოფილების ხელმძღვანელი ვასილ ხრისტოფოროვი ამბობს, რომ წიგნი „რუხი მგელი – ადოლფ ჰიტლერის გაქცევა“ არის იაფი სენსაციის კიდევ ერთი მცდელობა.

„1945 წლიდან დღემდე დოკუმენტურად და საგნობრივად დადასტურებულია ჰიტლერის სიკვდილი და ეს მასალები სუკ-ის არქივის სპეციალურ განყოფილებაში ინახება. მათ შორისაა ჰიტლერის უახლოესი გარემოცვის და-

*სამხედრო კორესპონდენტები ათვალიერებენ დივანს სისხლის ლაქებით, რომელზეც თავი მოიკლეს ჰიტლერმა და ევა ბრაუნმა*

*ტრანშეა რაიხსკანცელარიის ბაღში. მიჩნეულია, რომ თვითმკვლელობის შემდეგ აქ დაწვეს ჰიტლერისა და ევა ბრაუნის გვამები*

კითხვის ანგარიშები, იმ ადგილის ფოტოები, სადაც ფიურერისა და მისი საყვარლის ცხედრები აღმოაჩინეს და აქტები, რომელიც ცხედრებზე ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შედეგად მომზადდა. აქვე ინახება ჰიტლერის ყბის ძვლის ნაწილი, მისი პირადი ნივთები. ეს მასალები არავითარ ეჭვს არ ტოვებს, რომ ჰიტლერი 1945 წელს გარდაიცვალა“, — განმარტავს ხრისტოფოროვი.

*ეს თავის ქალა, რომელიც ჰიტლერის ეგონათ, წლების განმავლობაში კა-გე-ბეს არქივში ინახებოდა. თუმცა 2009 წელს დნმ-ის ანალიზმა აჩვენა, რომ იგი სინამდვილეში 40 წლის ქალს ეკუთვნოდა*



უშიშროების სამსახურის არეგისტრაციო და არქივის განყოფილების ხელმძღვანელი ამბობს, რომ ჰიტლერის სიკვდილთან დაკავშირებულ მასალებს გრიფი „საიდუმლო“ 1996 წელს მოეხსნა და ის ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა. მათი შესწავლის მიზნით არქივს ხშირად მიმართავენ დამოუკიდებელი ექსპერტები და გენეტიკური ანალიზისთვის ნებართვასაც ითხოვენ.

„როგორც ფიურერის სიკვდილის ერთადერთი საგნობრივი დადასტურების მფლობელი, არქივი მზად არის, ისტორიული სიმართლის დასადგენად კანონის შესაბამისად ითანამშრომლოს და კვლევისთვის მიაწოდოს ჰიტლერის ყბის ძვლის ფრაგმენტი“, — განაცხადა ხრისტოფოროვმა.

**ნინო ჯაფარიძე**

# ტაო-კლარჯეთის ძეგლებს კერძო ინიციატივითაც შეეწევიან

თურქეთში არსებული ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლა-გადარჩენა მეტად საშური საქმეა. ბოლო პერიოდში ეს თემა საყოველთაო განხილვის საგნად იქცა. სწორედ ამ ინტერესმა განაპირობა ფონდ „გელინოს“ დაარსება (დამფუძნებლები: ნათია სვანიძე, თინათინ ლომაია, პავლე გაბრიჭიძე, ლელა ხუჭუა). ფონდის მიზანია: საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფიქსაცია, შესწავლა, საპროექტო სამუშაოების შესრულება, აღდგენა, მდგომარეობის გაუმჯობესება. ასევე, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაცია, საინფორმაციო და ელექტრონული ბაზის შექმნა. ფონდის ძირითადი მიმართულება იქნება ტაო-კლარჯეთში არსებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა. „გელინო“ თურქული სიტყვაა და პატარძალს ნიშნავს. ეს ტერმინი თურქეთის ქართველების მეტყველებაში, სავარაუდოდ, XVII საუკუნიდან შევიდა. „გელინო“ სიმღერაცაა. მას ძირითადად თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები მღერიან. მღერიან მშობლები იმ იმედით, რომ პატარძალი საკუთარ ფუძეს არ მოსწყდება და კერას არ დაივიწყებს.

ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

talizi

ᲗᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘᲡ 27. ᲢᲔᲚ: 2141515

WWW.TALIZI.GE

# მადლმოსილი ცეცხლი მაცხოვრის საფლავზე

**ყოველი წლის აღდგომის წინა დღეს, დიდ შაბათს, მაცხოვრის საფლავზე მადლმოსილი ცეცხლის გარდამოსვლა მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებასა და დიდებულებას ამტკიცებს**

მოციქულთა და წმინდა მამათა მოწმობით, უნივთო ცეცხლმა ჯერ კიდევ აღდგომისას გაბრწყინა მაცხოვრის საფლავი.

ზეციური ცეცხლი იერუსალიმის აღდგომის ტაძარში პირველად III საუკუნეში გადმოსულა. საეკლესიო ჟამთააღმწერელი ჰიმნოფილოსი მოგვითხრობს, რომ სააღდგომო ლიტანიობაზე კანდელში ზეთი შემოაკლდათ და პატრიარქმა ნარცისმა გასცა კურთხევა, მათში სილოამის ემბაზის წყალი ჩაესხათ. როდესაც პატრიარქის კურთხევა შეასრულეს, ზეციდან ცეცხლი გადმოვიდა და აანთო კანდელები, რომლებიც მთელი ლიტანიობის განმავლობაში არ ჩამქრალა.

IV საუკუნის გამოჩენილი ისტორიკოსი და სასულიერო მოღვაწე ევსევი კესარიელი გვამცნობს, რომ ქრისტეს საფლავზე მადლმოსილი ცეცხლი აღდგომის ტაძრის აშენებისთანავე (IV ს.) გადმოედინებოდა.

## მაცხოვრის საფლავი

მაცხოვრის საფლავი მდებარეობს აღდგომის ტაძარში, რომელიც IV საუკუნეში დედოფალ ელენეს ბრძანებით აიგო. უფლის საფლავზე აღმართულია სამლოცველო — კუვუკლია, რომელიც ანგელოზის ეკვდერისა და საკუთრივ მაცხოვრის საფლავისგან შედგება.

მაცხოვრის საფლავის გამოქვაბული დიდი არ არის, სიგრძით სულ 207 სანტიმეტრია, სიგანით — 193. გამოქვაბულის მარჯვენა მხარეს, თითქმის ნახევრამდე, მარმარილოს ფილით დაფარული ქვის სარეცელია. მას ორივე მხრიდან ეკვრის თარო, რომელზეც დაბრძანებულია აღდგომის სამი ხატი. ამ სიწმინდეს, მართლმადიდებლებთან ერთად, კათოლიკეები და სომხებიც ფლობენ და ხატებიც მათივე აღმსარებლობის ხატწერის კანონიკის მიხედვითაა შესრულებული. ხატებს ქვეშ წითელი ხავერდი უგია, რომლის ცენტრში ბერძნული წარწერაა: „ქრისტე აღდგა“.

## წმინდა ცეცხლის ლიტანიობა

წმინდა ცეცხლის ლიტანიობა დიდი შაბათის მწუხრის მსახურებას უკავშირდება. ეს ის დღეა, როდესაც უფალი ჯოჯოხეთში ჩავიდა, საფლავნი განიხვნენ და მრავალი განსვენებული წმინდანის სხეული აღდგა. ეს მსახურება დაახლოებით დღის 1-2 საათზე აღესრულება.

მორწმუნეები მაცხოვრის საფლავთან უკვე წინა დღით, წითელ პარასკევს იკავებენ ადგილს, რათა რაც შეიძლება ახლოს მოხვდნენ პატრიარქთან და მისი ხელიდან მიიღონ მადლმოსილი ცეცხლი. ისინი მთელ ღამეს ლოცვასა და მღვიძარებაში ატარებენ. სანთლებს კონებად კრავენ. თითოეულ კონაში 33 სანთელია, მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების წელთა აღსანიშნავად. საღამოს ყველა კანდელსა და სანთელს აქრობენ. ტაძარში მთელი ღამე ბნელა.

მას შემდეგ, რაც მაცხოვრის საფლავს ტრადიციისამებრ კუსტოდიით — ლუქის ან ცვილის ბეჭდით დალუქავენ, აღდგომის ტაძარში ხმაურითა და დაფდაფებით ერთმანეთის მხარზე შემომსხდარი ახალგაზრდა არაბი მართლმადიდებლები შემოიჭრებიან. ეს ხმაური სიწმინდის შეურაცხმყოფელი როდია, ისინი ლოცვებს აღავლენენ, რათა უფალმა ღვთაებრივი ცეცხლი გარდამოავლინოს მაცხოვრის საფლავზე.

ლიტანიობა იერუსალიმის საპატრიარქოს ეზოდან იწყება. პროცესია წმინდა იაკობის ტაძრის გავლით პირდაპირ აღდგომის ტაძრის საკურთხეველისკენ მიემართება. დღის პირველი საათისთვის, მას შემდეგ, რაც არაბები ტაძარს მოილოცავენ და დადუმდებიან, ტაძარშივე სამხრეთის კარიბჭით შემოდის უნეტარესი პატრიარქი იერუსალიმისა და სრულიად პალესტინისა. ათი წუთის შემდეგ კათოლიკონის საკურთხეველში მას მიჰყვებიან სომეხი, კოპტი და სირიელი სასულიერო პირები, ტრადიციული პატივისცემის ნიშნად მიეახლებიან და ხელზე ემთხვევიან.

ლიტანიობა საკურთხევლიდან იწყება. მსვლელობას წინ მიუძღვიან მებაირაღეები თორმეტი საეკლესიო ბაირაღით. მათ სტიქაროსნები და მგალობლები მიჰყვებიან. შემდეგ მიდიან იპოდიაკონი (რომელიც საპატრიარქო ჯვარს მიაბრძანებს) და სხვა სასულიერო პირები. პროცესიას ბოლოში თავად უნეტარესი პატრიარქი მიჰყვება. მოლიტანიენი ჯერ აღდგომის ტაძარს შემოუვლიან გალობით, შემდეგ სამგზის — კუვუკლიას და ჩერდებიან მაცხოვრის საფლავის მცირე ტაძრის შესასვლელის წინ. პატრიარქი განიმოსება — გა-

*შესასვლელი კუვუკლიაში*

*მაცხოვრის საფლავი*



*ტაძრის სვეტი, რომლის ბზარიდან ცეცხლი გამოვარდა*

*გოლგოთისკენ მიმავალი კიბე*

ნიძარცვავს სადღესასწაულო შესამოსელს და კვართითღა რჩება. იღება კარი და იგი სამლოცველოში შედის. უძველესი დროიდან მოყოლებული, პატრიარქს კუვუკლიაში შესვლის წინ გულმოდგინედ ჩხრეკენ, რათა არაფერი შეიტანოს ისეთი, რითაც სანთლის ანთება შეიძლება. მასთან ერთად კუვუკლიაში შესვლა შეუძლია მონოფიზიტ მღვდელმთავარსაც, მაგრამ მას მხოლოდ ანგელოზის ეკვდერში დგომის უფლება აქვს.

## ცეცხლის გარდამოსვლის სამი პირობა

ისტორიული წყაროები მოწმობს და იერუსალიმის თანამედროვე ცხოვრებაც ადასტურებს, რომ ღვთაებრივი ცეცხლის გადმოსვლისთვის საჭიროა სამი აუცილებელი პირობა (ასეთია ღვთის საიდუმლო განგება):

● ამ საიდუმლოში უთუოდ უნდა მონაწილეობდნენ არაბი ქრისტიანები თავიანთი „ხმაურიანი“ ლოცვა-ვედრებით. ამჟამად უჩვეულოდ გვეჩვენება ღვთისმსახურების ასეთი ფორმა, მაგრამ ის უახლოვდება უფლის რწმენისადმი უძველეს, ყველაზე არქაულ, ბიბლიურ დამოკიდებულებას. სწორედ ასე — ხმამაღალი შეძახილებითა და საყვირებით ლოცულობდნენ ძველი ებრაელები მტრის ქალაქ იერიქონთან, როცა მისი კედლები ინგრეოდა. ასევე როკავდა და გალობდა მეფსალმუნე დავით წინასწარმეტყველი აღთქმის კიდობნის წინაშე. არაბებმა დღემდე შეინარჩუნეს ძველაღთქმისეული ლოცვა-ღაღადისი.

ბრიტანეთის ბატონობის წლებში ინგლისელმა გუბერნატორმა სცადა, აეკრძალა ეს „ველური“ როკვა, მაგრამ ცეცხლი მანამ არ გადმოვიდა, სანამ იერუსალიმის პატრიარქის ბრძანებით ტაძარში არაბი მართლმადიდებლები არ შეიდნენ და ლოცვა არ აღავლინეს.

● მეორე პირობაა საბაწმინდელი ბერების ლოცვა. მოღვაწე ბერებით სახელგანთქმული უძველესი მონასტრიდან იუდეის უდაბნოს მხოლოდ საბა განწმენდილის ლავრა შემორჩა. საბაწმინდელ ბერებს ტაძარში მოაქვთ ისიქასტური ლოცვის შინაგანი დაძაბულობა, რომელიც ადამიანთა გულებში საიდუმლოდ აღანთებს „გონიერ“ ღვთაებრივ ცეცხლს (როგორც ცნობილია, ისიქაზმი მართლმადიდებლური ასკეტიზმის კომპონენტია, მდუმარე ლოცვისა და გონების განწმენდის გამოცდილების შემაჯამებელი).

● დასასრულ, ამ მოვლენის უმთავრესი მო-

ნაწილეა პატრიარქი — მსოფლიოში უძველესი იერუსალიმის ეკლესიის მეთაური.

1579 წელს, სულთან მურად მართლის მმართველობისას, სომეხმა მონოფიზიტებმა მოისყიდეს იერუსალიმის ფაშა, რომ დიდ შაბათს ქრისტეს აღდგომის ტაძარში მხოლოდ ისინი ყოფილიყვნენ. მართლმადიდებლები ტაძარში არ შეუშვეს. ისინი, პატრიარქ სოფრონიოს IV-სთან ერთად, ტაძრის დაკეტილი კარის წინ, მოედანზე იდგნენ, აცრემლებული და გულშემუსვრილი იმედოვნებდნენ, მადლმოსილი ცეცხლი ერეტიკოსთა ხელთაგან მაინც მიეღოთ.

მათ იანიჩრები თვალს ადევნებდნენ, მოსალოდნელი უწესრიგობისგან თავის დასაზღვევად. უფლის საფლავის ტაძრის გვერდით დაახლოებით იმავე სიმაღლის შენობა დგას. ამ შენობის ზედა სართულის ვერანდაზე, სადარაჯო პუნქტში, იდგა ოფიცერი ომარი თავის ჯარისკაცებთან ერთად.

ნათელი და მოწმენდილი იყო აპრილის ის დღე. გადიოდა საათები. უკვე კარგა ხანია გაიარა იმ დრომაც, როცა მადლმოსილი ცეცხლი გადმოდის ხოლმე (ჩვენი დროით დაახლოებით დღის ორ საათზე), მაგრამ ახლა ასე არ მოხდა. სომხები დიდხანს ელოდნენ სასწაულს, მათი კათოლიკოსი გულმოდგინედ ლოცულობდა უფლის საფლავის წინ, მაგრამ ღვთაებრივი ცეცხლი არ გარდამოდიოდა. უეცრად მეხმა იქუხა, ტაძრის ერთ-ერთი მარმარილოს სვეტი გასკდა და ამ ბზარიდან ცეცხლი გამოვარდა. ტაძრის წინ მლოცველი მართლმადიდებელი პატრიარქი წამოდგა და თავისი სანთლები აანთო. მისგან მიიღეს მადლმოსილი ცეცხლი ყველა მართლმადიდებელმა და ტაძარში მოსულმა სხვა აღმსარებლებმა.

ყველას უხაროდა. მართლმადიდებელი არაბები სიხარულით ხტოდნენ და ყვიროდნენ: „შენ მხოლოდ ხარ ღმერთი ჩვენი, იესო ქრისტე! მხოლოდ ჩვენი რწმენა, მართლმადიდებელ ქრისტიანთა რწმენაა ჭეშმარიტი“. ისინი მთელ იერუსალიმში დარბოდნენ, ყვიროდნენ და ხმაურობდნენ. მოდარაჯე თურქული ჯარი განაცვიფრა ამ სასწაულმა. ყველა დაიბნა. ამ დროს ომარმა ხმამაღლა დაიძახა: „დიდია მართლმადიდებელთა რწმენა და მეც ქრისტიანი ვარო!“ წამისყოფაში მრისხანებისგან სახე აერიათ თურქებს და მას მისცვივდნენ. ომარი თამამად გადახტა ათ მეტრზე მეტი სიმაღლის აივნიდან დაბლა, ქრისტიანებთან. საკვირველი უშიშრობა, რაც ახასიათებს ქრისტესთვის ყველა მოწამესა და აღმსარებელს, მოწმობა იყო იმისა, რომ მან ჭეშმარიტად ირწმუნა ქრისტე: „რამეთუ არა მომცა ჩვენ ღმერთმან გული მოშიშებისაი, არამედ ძლიერებისა და სიყვარულისა და სიწმიდისაი“.

ომარი უვნებლად დაეცა მიწაზე და სასწაულებრივად გადარჩა. თანამემამულეებმა შეიპყრეს და უმალ თავი მოჰკვეთეს, ეშინოდათ, მისთვის სხვებსაც არ მიებაძათ. თავისივე სისხლით მონათლული წმინდა ომარის სხეული კი ტაძრის წინ მოედანზე დაწვეს.

მართლმადიდებლებმა წმინდა ომარის ფერფლი და ძვლები მოაგროვეს, ლარნაკში მოათავსეს და სათაყვანებლად დააბრძანეს ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის დედათა მონასტერში, სადაც დღემდე საკვირველ კეთილსურნელებას გამოსცემს. იერუსალიმის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ომარი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 19 აპრილი (ახალი სტილით 2 მაისი) დააწესა.

გვერდებგამურული გახეთქილი მარმარილოს სვეტი (ამ სვეტზე უძველესი წარწერაა გამოსახული) დღემდე დგას აშკარა ნიშნად ღვთის ძალისა, რომელიც მხოლოდ მართლმა-

*იერუსალიმის მართლმადიდებელ პატრიარქს წმინდა ცეცხლი გამოაქვს*

*მადლმოსილი ცეცხლი რამდენიმე წამში ვრცელდება შეკრებილ მრევლში*

დიდებელი სარწმუნოების დროს ვლინდება.

მონოფიზიტ სომეხთა ლოცვის გაცუდება, ეკლესიის მამათა განმარტებით, უფლისგან ჭეშმარიტი სარწმუნოების მინიშნებას წარმოადგენს. მას შემდეგ არამართლმადიდებლური კონფესიის ვერც ერთი წარმომადგენელი ვეღარ ბედავს მადლმოსილი ცეცხლის მისაღებად მისვლას, სვეტი კი მართლმადიდებლობის ძლევამოსილების ნიშნად დღესაც გაბზარული დგას.

აღსანიშნავია ისიც, რომ მადლმოსილი ცეცხლი ზეციდან მხოლოდ მართლმადიდებელთა კანდელზე გადმოდის მაშინაც კი, როდესაც გვერდით სხვა კონფესიის (გრიგორიანელების, კათოლიკების, კოპტების) კანდელები დგას.

*მაცხოვრის საფლავზე გარდამოსულ ცეცხლს დაახლოებით 10-15 წუთის განმავლობაში ჩვეულებრივი ცეცხლის თვისებები არ გააჩნია*

## ᲛᲐᲓᲚᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ

სამლოცველოში შესვლისას პატრიარქი მუხლმოდრეკით მიეახლება მაცხოვრის საფლავს. აი, ამ დროს იწყება ენით აუწერელი, მღელვარე წუთები.

იერუსალიმის ერთ-ერთი პატრიარქი ასე აღგვიწერს ცეცხლის გარდამოსვლას:

„შევედი ანგელოზის ეკვდერში. კარი ჩემ უკან დაიხშო. ქვაბულში ბნელოდა. მკრთალი სინათლე ძლივს აღწევდა წმინდა საფლავის როტონდის ორი ხვრელიდან, ხოლო მაცხოვრის საფლავის ეკვდერში ვეღარც კი ვარჩევდი, რა მეჭირა ხელში — ლოცვანი თუ სხვა რამ. სიბნელეში ძლივს მოჩანდა მოთეთრო საგანი. მაცხოვრის საფლავის მარმარილოს თეთრი ფილა უნდა ყოფილიყო. როდესაც ლოცვანი გადავშალე, გაკვირვებული დავრჩი — გაუჭირვებლად შემეძლო კითხვა... უაღრესი სულიერი მღელვარებით წავიკითხე სამოოთხი სტრიქონი და ისევ მაცხოვრის საფლავს შევხედე. ფილა სულ უფრო და უფრო ნათდებოდა. უკვე აშკარად ვხედავდი მის კიდეებს. უცებ დავინახე საუცხოო ფერებად მოელვარე მძივის მარცვლებივით მიმობნეული „მარ-

გალიტები“. ფილა უკვე ძლიერ ნათელს გამოსცემდა.

გაოგნებულმა ბამბით შეეგროვე ეს მარგალიტები, რომლებიც ზეთის წვეთებივით ეკვროდა ერთმანეთს. ბამბიდან უჩვეულო სითბო ვიგრძენი. მივუახლოვე სანთელს. პატრუქი დენთივით აბრიალდა, სანთელი აინთო. მისმა ნათებამ აღდგომის სამი ხატი გამოანათა. აქვე დამყურებდა ღვთისმშობლის სათნო სახე. მაცხოვრის საფლავთან ყველა კანდელი განათდა“.

როდესაც ცეცხლი გადმოდის, ტაძრის მთელ სივრცეს მოცისფრო ელვა ანათებს. ის ხან კუვუკლიას ეფინება, ხან ელვასავით დაეცემა კედელს. ხალხი ერთად ლოცულობს და ეკვდრება უფალს, მისი მადლის მიღების ღირსი გახადოს.

ვიდრე კუვუკლიიდან თავად პატრიარქი გამოჩნდება, სანთლის დამტარებელი იპოდიაკვნები, რომლებმაც მიიღეს მადლმოსილი ცეცხლი, ანგელოზის ეკვდერის სარკმლიდან სწრაფად მოატარებენ მას მთელ ტაძარში. მადლი გარდამოედინება, ცეცხლის ზღვა აღდგომის ტაძარსა და არემარეს ეფინება.

მაცხოვრის საფლავზე გადმოსული ცეცხლი თბილია, საამო. იგი სრულებით არ წვავს — ეს მისი ღვთაებრივი წარმოშობის ნიშანია. დაახლოებით 10-15 წუთის განმავლობაში ამ ცეცხლს ჩვეულებრივი ცეცხლის თვისებები არ გააჩნია. ამ რამდენიმე წუთის განმავლობაში მორწმუნეები მას თავსა და პირზე იტარებენ.

რა სულიერი მნიშვნელობა აქვს მადლმოსილი ცეცხლის გარდამოსვლას?

ძე ღვთისა ჯერ კიდევ საფლავშია, მისი მოწაფეების გულები მწუხარებითაა სავსე, ჯერ კიდევ არაფერი მეტყველებს მომავალ აღდგომასა და სიხარულზე, უფალი კი უკვე აგზავნის მადლმოსილ ცეცხლს. აგზავნის, როგორც ნიშანს უდიდესი მოწყალებისა, როგორც მაცნეს ნეტარი ცხოვრებისა, როგორც მაუწყებელს კაცობრიობის ისტორიაში უმთავრესი გამარჯვებისა.

მადლმოსილი ცეცხლი მოწოდებაა სინანულისკენ. ამით უფალი მთელ კაცობრიობასა და თითოეულ ადამიანს გადარჩენის კიდევ ერთ შესაძლებლობას ანიჭებს.

* * *

ქართველები ყოველი აღდგომის წინა შაბათს სიხარულით ეგებებოდნენ მაცხოვრის საფლავზე გარდამოსულ ღვთაებრივ ცეცხლს. და არა მარტო ეგებებოდნენ — დიდი ხნის განმავლობაში მაცხოვრის საფლავის მეპატრონენი იყვნენ. ეს ფაქტი იმდენად ჩვეულებრივი იყო მათთვის, რომ როდესაც იერუსალიმისკენ მიმავალი გზა გადაეკეტათ, სვეტიცხოვლის სამხრეთის მხარეს შესასვლელის მარჯვნივ ჩადგეს ქვის პატარა სამლოცველო — მაცხოვრის საფლავის კუვუკლიის ასლი. იერუსალიმიდან მცხეთაში ჩამოტანილმა უფლის კვართმა სულიერი ჯაჭვით შეკრა პალესტინა და საქართველო, აღდგომის ტაძარი და სვეტიცხოველი. ამ სიწმინდის გამო იწოდა მცხეთა მეორე იერუსალიმად.

უკვე რამდენიმე წელია, ჩვენს სამღვდელოებას მადლმოსილი ცეცხლი საქართველოში ჩამოაქვს. როგორც წესი, აღდგომის ცეცხლი სიონის საკურთხეველში მთელი წლის განმავლობაში ჩაუქრობლად ანთია და ამ მადლის სახლში წაღება ნებისმიერ მორწმუნეს შეუძლია.

**კახაბერ კენკიშვილი**

# სვეტიცხოვლის ღირსშესანიშნავი ფრესკები

## რუსი ეგზარქოსების გადაწყვეტილებით, XIX საუკუნეში სვეტიცხოვლის ფრესკები შეათეთრეს

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი ქართლის მეფე მირიან III-მ (280-342) IV საუკუნეში დააარსა. მირიანმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა და ბაზილიკური ეკლესიაც ააგო, რომელიც V საუკუნეში ქართლის მეფემ ვახტანგ I-მა გორგასალმა (446-502) განაახლა.

იმავე საუკუნის ბოლოდან მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი ქართლის, ხოლო XI საუკუნიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა რეზიდენციად იქცა.

საუკუნეების განმავლობაში სვეტიცხოვლის ტაძარი უცხო დამპყრობლების შემოსევათა გამო დაზიანდა. კერძოდ, 735-738 წლებში იყო მურვან ყრუს, 914 წელს — აბულ-ყასიმის, 1386-1403 წლებში თემურ-ლენგის შემოსევები და სხვ.

IX-XVIII საუკუნეებში მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარს რამდენჯერმე ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები.

IX-X საუკუნეების მიჯნაზე ქართლის კათოლიკოსმა ევსოქიმ (887-900) განაახლა სვე-

ტიცხოვლის ტაძარი. ამის შესახებ „მოქცევაი ქართლისაის“ ახალაღმოჩენილ, სინური ნუსხის კათოლიკოსთა სიაში აღნიშნულია: „ევსუქი, რომელმან გაახლა მცხეთა“.

XI საუკუნეში დაზიანებული ბაზილიკის ადგილას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ I-მა (1010-1033) ახალი ტაძარი ააგო. მან ხუროთმოძღვრად არსუკისძე მიიწვია. ეკლესიის მშენებლობის მოთავე კათოლიკოსი მელქისედეკი და ხუროთმოძღვარი არსუკისძე მოხსენიებული არიან ტაძრის წარწერაში, აღმოსავლეთ ფასადზე, შუა დეკორატიული თაღის ქვემოთ: „ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქისედეკ ქართლისა კათალიკოზი, ამენ. აღეშენა ესე წმინდაი ეკლესიაი ხელითა გლახაკისა მონისა არსუკისძისაითა, ღმერთმან განუსუენე სულსა მისსა“ და ჩრდილოეთ ფასადზე, მთავარი სარკმლის ზემოთ, ორ ქვაზე: „ხელი მონისა არსუკისძისაი. შეუნდვეთ“, რომელთა შორის ჩასმულია მესამე ქვა ხელისა და გონიოს რელიეფით. სავარაუდოა, რომ ამ რელიეფმა და წარწერამ წარმოშვა ლეგენდა, რომ სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარმა აჯობა მასწავლებელს, რისთვისაც მას ხელი მოჰკვეთეს. ამ ლეგენდასვე უკავშირდება ხალხური ლექსი:

„ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს ხელი მომჭრეს,
რატო კარგი აგიგია“.

XV საუკუნის I ნახევარში ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე რუსამ, თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ დაზიანებული სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო, რომელიც მათმა შვილიშვილმა, საქართველოს მეფე ალექსანდრე I-მა (1412-1442) დაასრულა. ამის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ წერია: „მეფის ალექსანდრეს აღმზრდელმან მრავლის ჭირნახულობითა, ბებია მისმან ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე-ყოფილმან რუსა, ამან იწყო მრავლის ღუაწლითა და გულსმოდგინებით აღშენებად წმიდისა სუეტის-ცხოველისა. პირველად გამოკაზმა და იწყო შენებად სუეტთა საყდრისათა და ვერღარა სრულ ჰყო აღშენება მისი, ეგრეთ მიიცვალა ამიერ სოფლისა. და ვითარ ეგულებოდა მეფესა ალექსანდრეს, ეგრეთვე იგულა და იგულსმოდგინა: ოცდაოთხისა წლისამან იწყო აღშენებად სუეტისა ცხოველისა, და აწ ახლად აღაშენა და განავრცო და განასრულა, და ყოვლითა მოკაზმულობითა შეამკო და განაშენა“.

*არსუკიძის ცნობილი წარწერა სვეტიცხოვლის ჩრდილოეთ ფასადზე*

*ვახტანგ გორგასლის დაკარგული ფრესკა სვეტიცხოვლიდან*

1656 წელს ქართლის მეფე როსტომის (1633-1658) მეუღლემ, დედოფალმა მარიამ დადიანმა ჩამოქცეული სვეტიცხოვლის ტაძრის გუმბათი აღადგინა.

1787 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის (1744-1755, 1764-1788) თაოსნობით სვეტიცხოვლის ტაძარს სარეს-ტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა. ამაზე მეტ-ყველებს შემდეგი მხედრული წარწერა: „ბრძა-ნებითა მისისა უმაღლესის ირაკლი მეორისა, ქართლისა და კახეთის მეფისათა, შემოვლე-ბულ იქმნა და განახლებულ ზღუდე წმიდისა ამის ეკლესიისა მცხეთისა სიმაგრეების თეთრ ქვისით და აგრეთვე ეკლესია შინით და გა-რეთ განახლებულ, დერეფანი (კარის ბჭე) ეკ-ლესიისა ახლად დაწერილი და დახატული, მა-მად მთავრობასა ძმისა მისისა ანტონი, მეფის ძისა, მუშაკთა ზედა (თავს) მდგომელობითა წმიდისა ეკლესიისა. ჩღპზ ივლისის კბ [1787 წლის 12 ივლისი]“.

IV-დან XIX საუკუნემდე მცხეთის ტაძარი ამავე დროს ქართველ მეფეთა და კათოლი-კოსთა განსასვენებელი იყო. მცხეთის ტაძრის პირველი მკვლევარი ანტონ ნატროევი (ნატ-როშვილი) აღნიშნავდა: Могилы Мцхетского храма — эта та же летописная история Грузии: в них мертвые давно онемевшими устами своими подробно повествуют живым о давно минувших временах и событиях своего времени. ანტონ ნატროევის მონოგ-რაფიაში დაწვრილებითაა აღწერილი მცხეთის საპატრიარქო ტაძრის სიძველეთსაცავი, რო-მელიც შეესაბამება საქართველოს საეკლესიო მუზეუმში დაცული ქონების აღწერილობას. აქვე ჩამოთვლილია სხვადასხვა ადგილას გა-ტანილი, მათ შორის, სხვადასხვა მიზეზთა გა-მო გაყიდული სარიტუალო და არასარიტუა-ლო ნივთებიც.

XI საუკუნეში ტაძარი მთლიანად იყო მო-ხატული. ამ ხანის მხატვრობის მხოლოდ მცი-რე ფრაგმენტებია შემორჩენილი: ტაძრის და-სავლეთ მკლავის დასავლეთ კედელზე, სარ-კმლის სამხრეთით სახარების სცენის ნაწილი — ქრისტე და სამარიტელი ქალი. წმინდანთა თავზე ასომთავრული წარწერის ფრაგმენტია დარჩენილი: „ქ. აქა... სამარ...“; შუა ნავის სამ-ხრეთ-დასავლეთ თაღზე — მცენარეული ორ-ნამენტი და სამხრეთ ნავის კამარაში — გა-ურკვეველი სცენის ნაშთები. ახლანდელი მო-ხატულობა XVII-XVIII საუკუნეებს განე-კუთვნება.

ტაძრის გუმბათის სფეროში გამოსახულია ყოვლისმპყრობელი ქრისტე ირგვლივ მახარე-ბელთა სიმბოლოებით. წრის გარშემო დაზია-ნებული ბერძნული წარწერაა. გუმბათის მხატ-ვრობა შესრულებულია არაუადრეს 1656 წლი-სა, როდესაც იგი აღადგინეს დედოფალ მა-რიამის თაოსნობით.

გუმბათქვეშა სამხრეთ-დასავლეთ ბურჯის აღმოსავლეთ მხარეს გამოსახულია ქართლის მეფე როსტომის მეუღლე მარიამი შვილთან, ოტიასთან, რომელიც მას პირველ ქორწინე-ბიდან გურიის მთავარ სიმონ I გურიელისგან ჰყავდა.

ტაძრის სამხრეთ მკლავის სამხრეთ კე-დელზე დიდი ზომის კომპოზიციაა ფსალმუ-ნის თემაზე — აქებდეთ უფალსა. გამოსახუ-ლებათა დიდ ნაწილს ახლავს თეთრი საღება-ვით შესრულებული ქართული და ბერძნული წარწერები.

დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთ მხარეს გა-მოსახულია შემდეგი სცენები: გუმბათქვეშა ჩრდილოეთ-დასავლეთ ბოძს ზემოთ — სამე-ბა, თორმეტი მოციქული, ძველი დღეთა და ყრმა ქრისტე მანდორლაში მახარებელთა სიმ-ბოლოებით; ჩრდილოეთ-დასავლეთ ბოძს ზე-მოთ — თორმეტი წლის ქრისტეს ქადაგება ეკ-ლესიაში, განრღვეულის განკურნება და ფხი-ზელი თვალი, ბოძზე — რომის იმპერატორი კონსტანტინე (306-337) და მისი დედა, დედო-

*ქართლის მეფე როსტომის მეუღლე მარიამი შვილთან, ოტიასთან ერთად*

*სვეტიცხოვლის ფრესკის რეკონსტრუქცია, რომელზეც გამოსახულია დედოფალი მარიამი და მისი ვაჟი ოტია*

ფალი ელენე ჯვრით ხელში; თაღს ზემოთ — ხარება; თაღის ორივე მხარეს — ორი წინასწარმეტყველი.

ტაძრის სხვადასხვა ნაწილში შემორჩენილია მოხატულობის ცალკეული ფრაგმენტი: გუმბათქვეშა სამხრეთ-აღმოსავლეთ ბოძზე — წმინდანები მედალიონებში; გუმბათქვეშა ჩრდილოეთ-დასავლეთ ბოძის აღმოსავლეთ მხარეს — შარავანდიანი ჭაბუკისკენ მიმართული ღვთისმშობელი; გუმბათქვეშა სამხრეთ-დასავლეთის ბოძის ჩრდილოეთ მხარეს — ორი წმინდანი ბარძიმით ხელში; ბოძის დასავლეთ მხარეს — ანგელოზი; ცის ნაწილში — მაცხოვარი; ბოძის დასავლეთ მხარეს — ანგელო-

ზი. მხატვრობის ეს ფრაგმენტები შესრულებულია XVII-XVIII საუკუნეებში.

„სვეტი“, რომლის ქვეშ ინახება ქრისტეს კვართი, 1678-1688 წლებში მოუხატავს მხატვარ გრიგოლ გულჯავარასშვილს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნიკოლოზ VII ამილახვრის (1676-1688, 1691-1696) თაოსნობით. ამის შესახებ აღნიშნულია ტაძრის აღმოსავლეთ კედლისა და „სვეტის“ წარწერებში: „ქ. ჩვენ ქართლისა კათალიკოზმა ამილახვარის იოთამის ძესა ბატონსა ნიკოლოზ განგიახლე მეორედ კედელი ესე... სვეტისა ცხოველისა... ქკს: ტოგ [1685 წ.]“ და „უფალო, შენისა დიდებისათვის, ბრძანებითა ნიკოლოზ კათალიკოზისათა დავხატე მე ფრიად ცოდვილმა გულჯავარასშვილმან გრიგოლ სვეტი ესე.

*მეფე მირიანი*

ვინც შენდობა ბრძანოთ, თქვენც მოგეტევნეს ცოდვანი“. ასევე ამ განახლების შესახებ ცნობები მცხეთის სვეტიცხოველის საკათედრო ტაძრის №216 სიგელშია აღწერილი.

„სვეტზე“ გამოსახულია სახარების სიუჟეტები, ცალკეულ წმინდანთა ფიგურები და ქართლში ქრისტიანობის გავრცელების ამსახველი სცენები. „სვეტის“ ქვედა ნაწილში თვალსაჩინო ადგილას მოთავსებულია ერთნაირი ზომის ოთხი ფრესკა ორ რეგისტრად, რომელზეც დატანილია ისტორიული სცენები. აღმოსავლეთით, ზედა რეგისტრში, მარცხნიდან მარჯვნივ — მეფე სვეტიცხოვლის ტაძრის წინაშე და მეფე და სამღვდელოება; ქვემოთ — წმინდა ნინო არმაზის მთასთან და წმინდა ნინოს სასწაულმოქმედება; სამხრეთით, ზემოთ — ნანა დედოფალი ამალით და მირიან მეფე ამალით; ქვემოთ — მირიანისა და ნანას ლოცვა „სვეტის“ წინაშე და სნეულის განკურნება; დასავლეთით, ზემოთ — ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა და ჯვარცმა; ქვემოთ — „სვეტის“ ამაღლება და ძლიერ დაზიანებული სცენა მთის ფონზე წმინდა ნინოს მონაწილეობით; ჩრდილოეთით — მამაღმერთი და მაცხოვარი მანდორლაში. ზემოთ, „სვეტის“ ბოძზე ცალკეულ წმინდანთა ფიგურებია, ხოლო თაღების ორივე მხარეს — სახარების სცენები. აღმოსავლეთ ფასადზე თაღის სამხრეთით — ამაღლება, ჩრდილოეთით — სულიწმიდის მოფენა; აქვე, სამხრეთ ბოძზე — წმინდა კვირიკე, ჩრდილოეთით — სამი მცირე ზომის ფიგურა ერთმეორის ქვეშ: წმინდა ეკატერინე (ზემოთ), წმინდა გიორგი, წმინდა დიმიტრი; სამხრეთ ფასადზე თაღის აღმოსავლეთით — შობითგან ბრმა, დასავლეთით — სამარიტელი ქალები; ბოძებზე: აღმოსავლეთით — წმინდანები წარწერების გარეშე, დასავლეთით — წმინდა მარინე; დასავლეთ ფასადზე, თაღის სამხრეთით — ქრისტე ორი მოციქულით და წარწერით „მე ვარ პური ცხოვრებისა რილცით გ რდმო...“, ჩრდილოეთით — განრღვეულის განკურნება; ბოძზე, სამხრეთით — წმინდა ირინე, ჩრდილოეთით — წმინდა თევდორე და წმინდა ევსტატი ერთი მეორის ქვეშ; ჩრდილოეთ ფასადზე, თაღის აღმოსავლეთით მოციქულთა ორი ჯგუფი, დასავლეთით — დედანი მაცხოვრის საფლავთან. „სვეტის“ შიდა ნაწილში, გუმბათის სფეროში გამოსახულია ყოვლისმპყრობელი ქრისტე, აფრებში — ევანგელისტები, თაღებს ზემოთ და თაღებს შორის კუთხეებში მცენარეული ორნამენტებია.

ასევე მოხატულია საპატრიარქო კათედრის აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის ფასადები და შიდა ნაწილი. აღმოსავლეთ ფასადზე წმინდანთა წელზედა გამოსახულებები და ხარების კომპოზიცია. ჩრდილოეთ ფასადზე — მოსე და იაკობის კიბე, თაღის დასავლეთით — იაკობის კურთხევა და აბრაამის საღმრთო. შემონახული წარწერის მიხედვით ფრესკული მხატვრობა შესრულებულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იოანე IX დიასამიძის (1688-1691, 1696-1700) თაოსნობით — „სვეტო, ღვთივ-ამაღლებულო მეოხ ეყავ დიასამიძეს კათალიკოზ იოანეს, რომელმან განვაახლე ხარისხი ესე“.

სვეტიცხოვლის ტაძრის კათედრის შიდა ნაწილის მხატვრობის ქვედა ფენაც შემორჩენილია. გუმბათის სფეროში გამოსახულია ყოვლისმპყრობელი ქრისტე და ოთხი ექვსფრთედი. ქვემოთ, სამხრეთით — ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი ყრმით; დასავლეთით — შარავანდიანი კაცი კვერთხით ხელში. კათედრის თითოეულ თაღში ორი წინასწარმეტყველია.

მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის კედლებზე ასევე მოყვანილია ქართველი მეფეების კურთხევის სცენები. ერთ-ერთ ფრესკაზე საქართველოს მეფის ალექსანდრე I დიდის (1412-1442) მეფედ კურთხევის სცენაა აღბეჭდილი. მეფესთან ერთადაა საქართველოს კათოლიკოსი ელიოზ I გობირახისძე (1399-1419), რომელიც მარგალიტებით შემკულ ჯვრიან გვირგვინს აკურთხებს. ხოლო მეფესა და კათოლიკოსს ზემოდან ლოცავს იესო ქრისტე.

სამწუხაროდ, დღემდე არ მოუღწევია ქართველ მეფეთა და კათოლიკოსთა ფრესკულ ნახატებს, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობასთან ან მის რესტავრაციასთან.

XIX საუკუნის რუსი მკვლევრის, ა.მურავიოვის ცნობის თანახმად: Замечательные фрески, варажавшие не только мысли и чувства созидателей храма, но и самую историю церкви и царства грузинского, без нужды были стерты и забелены. Таким образом исчезли, все портреты царей грузинских и католикосов, целый ряд которых тянулся по стене. Едва только успели списать некоторые из них для академии (А.Муравьев. Грузия и Армения, ч.I). ეს ფრესკები სვეტიცხოვლის ტაძრის რესტავრაციის დროს, 1837-1844 წლებში და 1880

*მირონმდინარე ხის სვეტს III საუკუნის 20-იან წლებში მეფე მირიანმა გარშემო საბურველი აუშენა*

*ვახტანგ VI (რეკონსტრუქცია)*

*ალექსანდრე I*

*ალექსანდრე I დიდი და კათოლიკოსი ელიოზი (რეკონსტრუქცია)*

*მეფე გიორგი XI და კათოლიკოსი ნიკოლოზ VII ამილახვარი*

წელს საქართველოს ეგზარქოსების, ევგენისა და იოანიკის მმართველობის პერიოდში „შეათეთრეს“.

მცხეთის საკათედრო ტაძრის ფრესკულ ნახატში, ჯვრიან გვირგვინში, ქართლის მეფე ვახტანგ I გორგასალი (446-502) იყო გამოსახული. ეს ფრესკული ნახატი, სამწუხაროდ, დღემდე არ შემორჩენილა.

ფრესკაზე, რომელსაც დღემდე არ მოუღწევია, ქართლის მეფის გიორგი XI-ის (შაჰნავაზ II-ის) (1676-1688, 1703-1709) მეფედ კურთხევა იყო გამოსახული. მეფის უკან მისი შვილი, ბაგრატ ბატონიშვილია. საქართველოს კათოლიკოსი ნიკოლოზ VII ამილახვარი გადასცემს მეფე გიორგი XI-ს სამჯვრიან კურთხევის გვირგვინს. ასევე მეფეს, ბატონიშვილსა და კათოლიკოსს ზემოდან იესო ქრისტე ლოცავს.

ჩვენამდე ასევე არ მოუღწევია ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის (1716-1724) პორტრეტსაც.

XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს პლატონ იოსელიანმა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისგან მიიღო დავალება ამ ფრესკების ასლების შესრულებისა. პლატონ იოსელიანმა საქართველოში ჩამოსულ იტალიელ მხატვარ-მინიატიურისტ პ. როსის (1761-1829) ფრესკების ასლების შესრულება დაავალა. მხატვარმა ფრესკული ნახატების ნაწილი გადმოხატა. 1839 წელს სვეტიცხოვლის ფრესკებიდან გადმოხატული მინიატიურები რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის აზიურმა მუზეუმმა შეიძინა და დღეს ისინი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანქტ-პეტერბურგის განყოფილებაში ინახება. ამ მინიატიურებს აქვს წარწერები, შესრულებული პლატონ იოსელიანის მიერ და მათი ფრანგული თარგმანი, შესრულებული აკადემიკოს მარი ბროსეს მიერ:

1. მეფე მირიანი, მისი ძე ბაქარი და პატრიარქი ანტიოქიისა (ზომა 11,6X9,5 სმ). 2. ვახტანგ გორგასალი (19X10,3 სმ). 3. მეფე ალექსანდრე I, მცხეთის განმაახლებელი და კათოლიკოსი ელიოზი (13X10 სმ). 4. დედოფალი მარიამ, მეუღლე როსტომ მეფისა და მისი ვაჟი ოტია, პირველი ქორწინებიდან (15X10,8 სმ). 5. მეფე გიორგი XI, მისი ვაჟი ბაგრატი და კათოლიკოსი ნიკოლოზი (15X14 სმ). 6. მეფე ვახტანგ VI სჯულის-მდებელი (11,6X11,8 სმ).

**ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲘᲭᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

შეიძინეთ გაზეთ „ყველა სიახლესთან“
ერთად ყოველ ოთხშაბათს!

# „100 ფაქტი, რომელიც უნდა იცოდე!“

## წიგნების სერია ყველა ასაკის მკითხველისათვის




**შემდეგი წიგნები:**

- საზღვაო კატასტროფები
- გადაშენების პირას მყოფი ცხოველები
- ველური დასავლეთი
- ამინდი
- ფრენა

და სხვა საინტერესო თემები

შეამოწმე შენი ცოდნა სახალისო გამოცანებით და დავალებებით!

**4-დან 11 აპრილამდე**
**წიგნი 5**

წიგნის ფასი: 3 ლარი
გაზეთთან ერთად: 4 ლარი

ყველა სიახლე

## გააფართოვე შენი თვალსაწიერი!

# „მთის ჩამოწოლა“ შიდა ქართლში

ცხინვალი 1886 წელს

## როდის დასახლდნენ ოსები საქართველოში

*(დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №15)*

**შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ, მდინარეების დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ზემო წელში, ოსთა მიგრაცია ხდება XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. რუსი ელჩის მიხაილ ტატიშჩევის (1604-1615) ჩანაწერით, ჩერქეზეთსა და საქართველოს შორის მხოლოდ 200-სულიანი ოსური დასახლება არსებობდა. დიდი ლიახვის ხეობის სოფელ ზემო ჯავაში XVII საუკუნის შუა ხანებში ოსური მოსახლეობა რომ ჯერ კიდევ არ მკვიდრობდა, ჩანს ერთი დოკუმენტიდან. საბუთში წერია, რომ „ამოწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან, ღმერთი იყოს მოწამე, ასრე ამოწყდა, რომ კაცის ნაშენები აღარა იყო რა“. საბუთში ლაპარაკია იმაზე, რომ ზემო ჯავაში ადგილობრივი მოსახლეობა ოსთა თავდასხმებისა და მეკობრეობის შედეგად ამოწყდა. 1634-1658 წლების საბუთით მეფე როსტომი თავის მოხელეებს უბრძანებს, არაფერი დაუშავოთ ოსეთიდან აყრილ და ჯავის ზემოთ დასახლებულ ოსებს და თუ ვინმე კვლავ ჩამოსახლდება ოსეთიდან, არც მას შეუშალოთ ხელიო.**

ქართველი მეფეები და თავადები ზოგჯერ თვით იწვევდნენ ოსებს დასასახლებლად ქართველთა ნასახლარ-ნასოფლარებში. ოსები საქართველოში XVII საუკუნის შუა ხანებიდან რომ არიან მიგრირებული, ამას მათი გადმოცემებიც ადასტურებს — ყველა გვარს აქვს გადმოცემა ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში 10-12 თაობის წინ გადმოსახლების შესახებ. თუმცა ოსმა მეცნიერებმა გამოსავალი აქაც მოძებნეს — ეს მიგრანტები ბოლო, მეორე ტალღის მიგრანტებად მონათლეს და „უწინდელი ოსების“ ცნება შემოიტანეს, რომლებიც თურმე უფრო ადრე იყვნენ საქართველოში გადმოსახლებული და ქართველებმა ისინი გააქართველეს. საამისოდ ასამდე ქართული გვარ-სახელის მატარებელი ძირად ოსებად მიიჩნიეს, ანუ მათებური ტერმინი რომ ვიხმაროთ, „უწინდელ ოსებად“.

ოსები თანდათან მოიწევენ სამხრეთისკენ და XVIII საუკუნის 30-იანი წლებისთვის ითვისებენ დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ხეობათა მთიან ზოლს მთლიანად. აქ, აღნიშნულ პერიოდში, ზოგიერთ მთიან სოფელში ოსები თანაცხოვრობდნენ ადგილზე დარჩენილ ქართულ მოსახლეობასთან ერთად.

მთელ XVIII საუკუნის განმავლობაში ოსები შიდა ქართლის მთისწინეთში, ფაქტობრივად, არსად არ იყვნენ განსახლებული. ოსთა მიერ შიდა ქართლის მთისწინეთის სოფლებში (უფრო ხშირად, ნასოფლარებში) ჩასახლება იწყება XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში.

XVIII საუკუნის დასაწყისში ოსები სახლდებიან ჯეჯორის ხეობის სათავეში (კუდარო) და ქსნის ხეობის სათავეში (ჟამური). ჟამურში ოსთა მიგრაცია ხდება, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან, ისე დიდი ლიახვის ხეობის მთიანი ზოლიდან. სხვათა შორის, ცნობილი ოსი მეცნიერი ვასილ აბაევიც აღნიშნავდა, რომ ქსნის ხეობაში ოსები სულ ორასი წლის დასახლებული არიანო. კუდაროში ისინი ძირითადად მიგრირებული არიან დვალეთიდან. შიდა ქართლის მთიანეთში ოსები ჯერ ესახლებიან დიდი ლიახვის ხეობაში, შემდეგ პატარა ლიახვის ხეობაში, ქსნის სათავეში (ჟამურში). XVIII საუკუნის დასაწყისში მცირე რაოდენობით ოსური მოსახლეობა ჩნდება მეჯუდას ხეობის სათავესა და ისროლისხევში. მეჯუდას ხეობის სათავეში ისინი პატარა ლიახვის ხეობის სათავიდან გადმოდიან. XVIII საუკუნის შუა ხანებისთვის ოსები რომ მხოლოდ შიდა ქართლის მთიანეთში, უვენახო-უხილო ადგილებში მკვიდრობდნენ, კარგად ჩანს ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს ატლასიდან. ოსთა დასახლებები მას აღნიშნული აქვს სიმბოლოთი „8“.

**XVIII საუკუნის ბოლოსთვის სამხრეთით ოსთა განსახლების უკიდურესი პუნქტები იყო** (დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით): **კუდარო** (მდინარე ჯეჯორის სათავე რაჭაში) — **გუფთა** (მდ. დიდი ლიახვის ხეობა) — **აწერისხევის ხეობის ზემოთ** (პატარა ლიახვის ხეობაში) — **მეჯუდის ხეობის სათავეში ორი სოფელი — ჟამური** (ქსნის ხეობის სათავე) — **ღუდა** (მდ. თეთრი არაგვის ხეობის სათავე მთიულეთში) — **თრუსო** (მდ. თერგის სათავე). **XVIII საუკუნის ბოლოსთვის ოსები საერთოდ არ იყვნენ ლეხურას ხეობაში, მეჯუდას ხეობაში (მისი სათავის გამოკლებით), ქსნის ხეობის მთიანეთის დიდ ნაწილში, ფრონეების ხეობაში.** სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორც ვახუშტი ბაგრატიონის დროს, ისე XVIII საუკუნის დასასრულს, ოსები საქართველოს ცალკეული ხეობების მხოლოდ „უვენახო-უხი-

*შიდა ქართლის ლანშაფტი, ჯავის სანახები*

*ქსნის ერისთავების სასახლე ახალგორში*

ლო“ ზონაში ანუ „მთის ადგილებში“ ცხოვრობდნენ.

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში ოსები იკავებენ პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვან მონაკვეთს. ამ პერიოდიდან და განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ათეულ წელს ხდება ოსთა გაჟონვითი ანუ ინდივიდუალური განთესვა შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის სოფლებში. ამ დროისთვის ოსთა ასეთი განსახლება განსაკუთრებით განხორციელდა პატარა ლიახვის ხეობის მთიანი მონაკვეთიდან (XIX საუკუნეში ოსთა მთიდან მთისწინეთსა და ბარში გადანაცვლების ფაქტები აღნუსხულია 1818, 1830, 1840, 1860, 1873, 1886 წლის მოსახლეობის კამერალური აღწერის დავთრებსა და საოჯახო სიებში).

XVIII საუკუნის დასასრულიდან ფაქტობრივად შეწყდა ოსთა მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან საქართველოს მიმართულებით, რადგან რუსეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ მათ დასახლების საშუალება მისცა ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობში. განსაკუთრებულ გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ დვალეთის ოსური მოსახლეობა, რომლებსაც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაცია არ შეუწყვეტიათ თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში. საერთოდ, ოსების საქართველოს ტერიტორიაზე განსახლება უმეტესად დვალეთის გზით ხორციელდებოდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან დვალეთში შემოსახლებულები, განსაზღვრული ხნით აქ დამკვიდრების შემდეგ, შიდა ქართლის მთიანეთში გადმოდიოდნენ საცხოვრებლად. თუმცა არაერთი ფაქტია დადასტურებული ოსთა გადმოსახლებისა უშუალოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან, განსაკუთრებით მიგრაციის ადრეულ, საწყის ეტაპზე.

სინამდვილეს არ შეესაბამება ზოგიერთი ავტორის მტკიცება XVII-XVIII საუკუნეებში შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში ოსთა განსახლების შესახებ. XIX საუკუნის დასაწყისიდან იწყება ოსთა მიგრაცია ფრონეების ხეობაში, მეჯუდას ხეობაში, ლეხურას ხეობაში და ქსნის ხეობის მთიანეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში. ფრონეების ხეობაში ოსების მიერ ქართველთა ნასოფლარებში დაფუძნება ხდება ძირითადად დიდი ლიახვის ხეობიდან, თუმცა, თვალში საცემია, რომ პირველი ოსი მიგრანტები ფრონეების ხეობის ქართველთა ნასოფლარებში დვალეთიდან წამოსული ოსები იყვნენ. პატარა და დიდი ლიახვის ხეობებიდან გადმოდის მოსახლეობა მეჯუდას ხეობაში. ლეხურას ხეობაში ოსების მიგრაცია ძირითადად ქსნის ხეობიდან (ჟამური, ჭურთა) ხდებოდა. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის პირველ სამ ათეულ წელს, ლეხურას, მეჯუდასა და ფრონეების ხეობებში ოსთა დასახლკარებას ინტენსიური ხასიათი არ ჰქონია. ინტენსიურად ამ ხეობების

მოშენება ძირითადად მოხდა XIX საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული, ვიდრე 1880-იან წლებამდე.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩნდება თითო-ოროლა ოსური ოჯახი შიდა ქართლის გაღმამხარში, სადაც მათი მიგრაცია ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასახლდნენ ოსები დღევანდელი ბორჯომის რაიონში (გუჯარეთის ხეობა).

კახეთსა და ქვემო ქართლში ოსები შიდა ქართლის მთიანეთიდან XX საუკუნის დასაწყისში გადასახლდნენ. XX საუკუნის ბოლო საბჭოთა აღწერით, ოსების რაოდენობა საქართველოში 164 ათასი კაცი იყო. ამ რაოდენობიდან „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიაზე მხოლოდ 65 ათასი ეთნიკური ოსი ცხოვრობდა. თითქმის 100 ათასი კი დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე მკვიდრობდა, ზოგან კომპაქტურად, ზოგან ქართულ მოსახლეობაში შერეული. 1886 წელს ეთნიკური ოსები 72 000-ს ითვლიდნენ. XVIII საუკუნის დასასრულს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე 2 130 კომლი (15 000 სული) ოსი ცხოვრობდა. ზოგიერთი ოსი ავტორი კი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ოსთა რაოდენობას ხან 6 000 და ხან 7 000 კომლით განსაზღვრავს, რაც არარეალურია და წყაროთა მონაცემებს არ ითვალისწინებს. სინამდვილეში, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ამ ეთნოსის რაოდენობა 2 130 კომლი იყო. საერთოდ, მთელი XIX-XX საუკუნეების განმავლობაში ოსების პროცენტული რაოდენობა საქართველოში 3-დან 4-მდე მერყეობდა.

ოსების საქართველოში შემოსვლა და დასახლება მთლად მშვიდობიანი არ ყოფილა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში მომწყვდეულმა ოსებმა ზოგჯერ ძალით გამოიკაფეს გზა. განსაკუთრებით ეს ითქმის მიგრაციის ადრეულ ეტაპზე როგორც დვალეთში, ისე შიდა ქართლის მთიანეთში. საისტორიო საბუთებით, გადმოცემებითა და ფოლკლორული მასალებითაც აშკარაა, რომ ადგილობრივი მთიელი ქართველი გლეხები, ოსთა თავდასხმებით შეწუხებული, სტოვებდნენ მამა-პაპათა საცხოვრებელ ადგილებს და ბარში სახლდებოდნენ. ბარში კი მათთვის ამ თვალსაზრისით, ხელსაყრელი მდგომარეობა იყო. მტერთა ხშირი თავდასხმებისგან შიდა ქართლის მთისწინა და ბარის რეგიონები დემოგრაფიულად კატასტროფამდე იყო მისული.

დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა მიგრაციას ერთგვარად ხელი შეუწყო აგრეთვე იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ. მტერთა ხშირი თავდასხმებისგან დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველო ვეღარ აკონტროლებდა ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსასვლელ ჩამკეტ კარებს — **კასრის კარსა** და **დარიალს**. სხვათა შორის, კასრის კარი დვალეთის ჩრდილოეთით მდებარეობდა, საიდანაც ოსეთში იყო გასასვლელი. მის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: **„და არს აქ კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნული, დიდკამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი“.**

მომდევნო პერიოდისთვის (XVIII საუკუნე) იმდენად დაეცა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და იმდენად კატასტროფული შეიქმნა დემოგრაფიული სიტუაცია შიდა ქართლში, რომ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურები (მეფე, თავადები) თავად უწყობდნენ ხელს და ხშირად იწვევდნენ ოსებს საქართველოში დასასახლებლად. მაგალითად, იოანე ბაგრატიონის მიხედვით, სოფელ დიღომში თუ დიღმის სიახლოვეს ოსებს უცხოვრიათ. დიღომთან ოსების დროებით მკვიდრობის დამადასტურებელია XIX საუკუნის დასაწყისის

*დიდი ლიახვის ხეობა, სოფელი ხვწე*

*საქართველოს სამხედრო გზა, სადგური გუდაური, 1886 წ.*

სოფელ დიღმის მოსახლეობის კამერალური აღწერები, რომლებშიც არც ერთი კომლი ოსი და ოსურძირიანი გვარი არ არის მითითებული, აგრეთვე 1799 წლის ერთი საბუთი, რომელიც გაცემულია მეფე გიორგი XII-ის მიერ თაგაურელი ოსებისადმი. საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ თაგაურელ ოსებს გამოუთქვამთ სურვილი საქართველოში გადმოსახლებისა. ამისთვის მეფეს ოსეთში გაუგზავნია აზნაური ნინია გაბაშვილი. გადმოსახლების მსურველ ოსებს მეფე უთვლის, რომ თქვენ იქნებით ჩვენი სახასო გლეხები და სხვას არავის ექნება თქვენთან საქმეო. პირველ ხანებში

*სოფელი კობი, წმინდა გიორგის ეკლესია*

თქვენ უნდა მოხვიდეთ დიღომში და გაჩერდეთ აქ, შემდეგ კი შეგირჩევთ კარგ ადგილს, რომელიც მოგეწონებათ. სანამ ხვნა-თესვას მოეკიდებით, ჩვენ მოგეხმარებით სურსათ-სანოვაგის მომარაგებაშიო. დიღომთან ოსებით დროებითი მკვიდრობა ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე აქ 32-33 კომლ ოსს უცხოვრია. იმის გამო, რომ ოსები ქურდობდნენ (დიღმელ გლეხებს ჭაპანი და ღვედიც არ დაუტოვეს), დიღმელ გლეხებს ოსები სახრეებითა და კეტებით გაუყრიათ. მათ ოსები ბებრისციხემდე მიუცილებიათ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთისა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მთისწინეთის არაერთ სოფელში ოსთა ერთ თაობაზე მეტს არ მოუწია ცხოვრებამ. მთისა და მთისწინეთის ამა თუ იმ სოფელში მცირე ხნით მკვიდრობის შემდეგ, ოსები უფრო სამხრეთით ეშვებოდნენ. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის მასალებზე თვალის გადევნებით. XIX საუკუნის დასაწყისში მთისწინეთის სოფლებში დასახლებულნი, ამავე საუკუნის შუა ხანებიდან ინტენსიურად გადადიან საცხოვრებლად ბარის სოფლებში. ასე რომ, XVIII საუკუნის ბოლოდან და მთელი XIX საუკუნის განმავლობაში საქართველოს მაღალმთიანეთის სოფლებიდან დაბლობის მიმართულებით, ოსთა თანდათანობითი, ინტენ-

სიური წინ წამოწევა აშკარაა, რასაც უდავოდ მიესადაგება ქართულ ისტორიოგრაფიაში ხმარებული ტერმინი „ჩამოწოლა“. იმდენად დიდი მოძრაობა ახასიათებდათ ოსებს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბარის სოფლებში დასახლებული, ბარისავე სხვა სოფლებში გადადიოდნენ საცხოვრებლად. 1886 წლის საოჯახო სიებით, მდინარეების — დიდი და პატარა ლიახვის ხეობების 76-ზე მეტი მთის სოფლიდან XIX საუკუნის 60-70-იან წლებში 1 340 კომლზე მეტი ოსი აყრილა და ბარის სხვადასხვა სოფელში დამკვიდრებულა.

ოსები რომ დიდი ხნის ჩამოსახლებული არ იყვნენ შიდა ქართლის მთიანეთში, ამის დამადასტურებელია მათი სოციალური მდგომარეობაც. XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში დიდი ლიახვის ხეობაში მოსახლე ოსების საკმაოდ დიდი ნაწილი ხიზნებადაა ჩაწერილი. ხიზანი კი, როგორც ქართული საისტორიო წყაროებითა და სათანადო გამოკვლევებით ცნობილია, საკუთარი სამკვიდრებლიდან აყრილი და სხვაგან თავშეფარებული გლეხია.

1922 წელს საქართველოში ბოლშევიკმა ხელისუფლებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩამოაყალიბეს და პირველად საქართველოში ოსებს ადმინისტრაციული ერთეული შეუქმნეს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ყოფილი შიდა ქართლის ფეოდალური ერთეულების ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა, ისე, რომ ქართველი ხალხის ინტერესები არავის გაუთვალისწინებია. ავტონომიური ოლქის ცენტრად კი შიდა ქართლის მთისწინეთის ზოლში მდებარე პატარა ქალაქი ცხინვალი გამოაცხადეს. შემორჩენილია XIX საუკუნის რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის დავთრები. XIX საუკუნის ყველა აღწერით ცხინვალში არც ერთი ეთნიკური ოსი არ ცხოვრობდა. მხოლოდ 1830 წლის ცხინვალის აღწერაშია ერთი ოჯახი ეთნიკური ოსი (ხუთი სული) მითითებული, რომლებიც აქ მთიდან 1828 წელს მოსულან და მალევე აქედანაც აყრილან. 1886 წლის საოჯახო სიებით ცხინვალში არც ერთი ოსი არ მკვიდრობდა. ქალაქი, ისევე როგორც შუა საუკუნეებში, კვლავ დასახლებული იყო ქართველებით და ქართულენოვანი სომხებითა და ქართველი ებრაელებით. XIX საუკუნის I მესამედის ავტორ ედუარდ აიხვალდის მიხედვით, „ოსები ცხინვალის იქითა მხარეს, მთებში ცხოვრობდნენ. ადრე ისინი ცხინვალს გაუთავებლად ძარცვავდნენ და ხოცავდნენ. ახლა კი ქართველებს, ცხინვალის მოსახლეობას თავს ანათვლინებენ“. პირველად მხოლოდ 1922 წლის მონაცემებითაა ქალაქ ცხინვალში დაფიქსირებული ოსური მოსახლეობა — 613 სული, 1926 წელს აქ უკვე 1152 სული ოსი ცხოვრობდა (ქალაქის მოსახლეობა მთლიანად 1926 წელს 5 352 სულს შეადგენდა). ეს მატება, რა თქმა უნდა, მექანიკური მატების ხარჯზე ხდებოდა. ცხინვალში ოსურმა მოსახლეობამ ქართულ მოსახლეობას მხოლოდ მაშინ გადააჭარბა, როდესაც აქაური ქართველი ებრაელები საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებში ისრაელში წავიდნენ და მათი სახლები კი ჯავის რაიონიდან ჩამოსახლებულმა ოსებმა დაიკავეს.

**როლანდ თოფჩიშვილი**

*ოსი კაზაკი*

# დანგრეული ეკლესია ჯვარიდან გვიხმობს

ჯგეგეს ანუ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ჯვარში ამ დასახლების მცხოვრებთა სატკივრად ქცეულა, რადგან ერთ დროს წინაპართა წმინდა სალოცავი ახლა მხოლოდ ნანგრევებიდან შემოგვყურებს.

ჯვარის, როგორც დასახლების სახელდების ისტორია წმინდა ანდრია პირველწოდებულის მისიონერულ მოგზაურობას უკავშირდება. გადმოცემით, იმ ადგილას, სადაც წმინდანმა ჯვარი აღმართა, მოგვიანებით წმინდა გიორგის (მეგრულად, ჯგეგეს) სახელობის ეკლესია აღუმართავთ. ჯვარის დასახლებაში, ჯვარზენის უბანში, ჯვარზენი-ჩქვალერის გზის დასაწყისში, დღემდე შემორჩა ამ ეკლესიის ნანგრევები. ეკლესია ტრიკონქის ტიპისაა. დასავლეთ საქართველოში ამ ტიპის მხოლოდ ორი ეკლესიაა — ბაგრატი და ჯგეგე. სპეციალისტთა ვარაუდით, ისინი ერთსა და იმავე დროს შენდებოდა და თარიღდება X-XI საუკუნეების მიჯნით.

ეკლესია საუკუნეთა განმავლობაში წარმოადგენდა მთელი მთიანი სამეგრელოს, ლაკადას, ერთ-ერთ გამორჩეული სალოცავს. იგი 1932 წელს დაანგრიეს კომუნისტებმა. დანგრევის საბაბად გამოიყენეს „ჰუმანური“ მოსაზრება: ეკლესიის ეზოში არსებული სკოლის მოსწავლეებს გუმბათიდან და კედლებიდან მოწყვეტილი ქვების სახით საფრთხე ემუქრებათო! დანგრეული ეკლესიის ქვებით კი ფიცრულის ნაცვლად სკოლის ახალი ნაგებობა აღმართეს.

აქვე მოგვყავს ოქმის ასლი, რომელშიც „დასაბუთებულია“ ჯვარის ეკლესიის დანგრევის მიზეზები (სტილი დაცულია):

**ოქმი №23**

**1932 წ. 20 ოქტომბერს შესდგა წალენჯიხის რაიონის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: თავ-რე ვ. ბასილაია, წევრები: ხ. გუნია, აფაქიძე, კ. გოგია, შ. სახოკია, დ. ქუჩულორია, ტ. კვარაცხელია. კანდიდატები: მ. კვარაცხელია და ა. წულაია. შრომის ინსპ.**

კოდუა, სატყეო სექტორის გამგე მაქაცარია, აღრიცხვის ინსპექტ. პ. კალანდია და ინსტრ. გ. ლუკაჯა.

მოისმინეს:

ჯვარის ეკლესიის დარღვევის შესახებ.

/ამხ. ტ. კვარაცხელია/

დაადგინეს:

ჯვარის სას. საბჭოს სოფ. ჯვარზენში, იქ სადაც დგას ძველი ეკლესია, შენდება კოლახ-სკოლის შენობა. ეკლესიას საქ. გასაბჭოების შემდეგ არ აქვს სახურავი, რის გამო ეკლესიის კედლები გაბზარულია (დაზიანებულია) დანგრევის პირზეა მიმდგარი. ეს მდგომარეობა საფრთხეს ქმნის მოწაფეთათვის, შეიძლება დასვენების დროს მინდვრად გაფანტული ბავშვები, რომელსაც უეჭველად სკოლისა და ეკლესიის სიახლოვის გამო გაივლის ან შევა შიგნით ეკლესიაში (ეკლესიას კარები არა აქვს, მხოლოდ კედლებია) მოჰყვეს ეკლესიის კედლებს, რის გამო ეთხოვოს საქ. ცაკს ნება დაგვრთონ მისი დარღვევისა, რომ ამით თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხე“.



*ოქმი №23, სადაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ ტაძრის დანგრევის აუცილებლობა „დაასაბუთა“*

*ჯვეგეს ანუ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ჯვარში კომუნისტებმა 1932 წელს დაანგრიეს*

*ეკლესიის კედელთან აგებული სალოცავი*

*ეკლესიის კარიბჭე და ჩუქურთმის დეტალი*

ეკლესიის ისტორიის შესწავლისას ჟურნალისტმა გვანჯი მანიამ შეძლო მოეძიებინა ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა ჯგეგეს ნგრევის ფოტოსურათი და წალენჯიხის რაიაღმასკომის 1932 წლის სხდომის ავად სახსენებელი ოქმი, რომელშიც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ „დასაბუთებულია“ ტაძრის დანგრევის აუცილებლობა და აღნუსხულია ზემდგომი ორგანოებისადმი ნებართვის თხოვნა. ბატონი გვანჯის ძალისხმევით გასული საუკუნის 90-იან წლებში გაიწმინდა ტაძრის შემორჩენილი კედლები, ჯვარსა და თბილისში მოეწყო ჯგეგესადმი მიძღვნილი კონფერენციები, დაარსდა ეკლესიის აღდგენის საზოგადოება, გაიხსნა საბანკო ანგარიში, მოხდა ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა და შედგა სათანადო პასპორტი, გაკეთდა ანაზომები...

საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა იმ პერიოდში საშუალება არ მისცა ბატონ გვანჯისა და სხვა ინიციატორებს, საკითხი ბოლომდე მიეყვანათ.

უკანასკნელ წლებში საზოგადოებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ამ მხრივ. 2009 წელს ეკლესიის ნანგრევები შესაბამისი მიწის ნაკვეთით და ყოფილი სკოლის შენობა, ასევე შესაბამისი მიწის ნაკვეთით, საჯარო რეესტრში ცალ-ცალკე დარეგისტრირდა. ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით შარშან, დეკემბერში მოხდა ეკლესიისა და სკოლის ეზოს შემოკავება და განათება, გაიწმინდა ტერიტორია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მეუფე გერასიმეს წერილის საფუძველზე საქართველოს საპატრიარქომ უკვე მიმართა ეკონომიკის სამინისტროს აღნიშნული ობიექტების გადაცემის შესახებ. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ შესაძლებელი გახდება ისტორიული სამართლიანობის აღდგენა — 80 წლის წინ დანგრეული ეკლესიის ქვები ისევ თავის ადგილს დაუბრუნდება! ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე შეძლებულმა მამულიშვილმა, რომელთაც ჩვენ შევეხმიანეთ, უკვე გამოთქვა ტაძრის აღდგენაში მონაწილეობის სურვილი.

იმედია, უფლის ნებით და კეთილ ადამიანთა შეწევნით ჯგეგეს ზარები ისევ მოუხმობენ ლაკადელ მრევლს, მის დამანგრეველთა შთამომავლებს კი უფალი შეგვინდობს წინაპართა ცოდვებს და ახალი ცოდვებისგან დაგვიფარავს წმინდა გიორგის მადლი!

*ზურაბ სამუშია*
*ჯვარი, 23.02.2012*

*მოლოტოვი ხელს აწერს პაქტს, მის უკან დგანან სტალინი და რიბენტროპი, მოსკოვი, 23 აგვისტო, 1939 წ*

# ევროპის „დაჩეხვა“

## რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი და ერთი პოლონური ოჯახის ტრაგედია

***1939 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის გაფორმებული შეთანხმება, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის სახელითაა ცნობილი, ოფიციალურად ურთიერთთავდაუსხმელობას გულისხმობდა, რეალურად კი ორი დანაშაულებრივი რეჟიმის გარიგებას წარმოადგენდა, რომელსაც გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მიერ პოლონეთის დაპყრობა-განაწილება მოჰყვა.***

აქ მოთხრობილია ნამდვილი ამბავი, ერთი პოლონური ოჯახის ტრაგედია, ყოველგვარი დრამატიზაციის გარეშე. ამ ამბის მთავარი გმირები არიან იუზეფ ძიუბანსკი, მისი პირველი მეუღლე კაზიმირა და მათი ქალიშვილი ლეონია. ეს ამბავი თქვენი მონა-მორჩილისთვის ცნობილი გახდა პოლონელი მეგობრისგან, იუზეფის ვაჟის — მაჩეი ძიუბანსკისგან, რომელიც თავის დროზე მოძრაობა „მებრძოლი სოლიდარობის“ აქტიური წევრი გახლდათ.

1938 წელს ახალგაზრდა პოლონელი ცოლქმარი, იუზეფი და კაზიმირა პარიზში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. ევროპის თავზე უკვე ავის მომასწავებელი ღრუბლები იკრიბებოდა. ფეხმძიმე მეუღლე იუზეფმა პოლონეთში, თავიანთ მშობლიურ ლვოვში გაგზავნა იმ პირობით, რომ ბავშვი ერთი წლის რომ გახდე-

*სტალინი და რიბენტროპი კრემლში პაქტის ხელმოწერისას*

ბოდა, დედა-შვილი ისევ პარიზში დაბრუნდებოდა. იუზეფ ძიუბანსკი პარიზში დარჩა. მაშინ მათ არ იცოდნენ, რომ როგორც ცოლქმარი, სამუდამოდ ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს. გოგონა, ლეონია, 1939 წლის მარტში დაიბადა ლვოვში. 1939 წლის 1-ელ სექტემბერს პოლონეთს დასავლეთიდან გერმანია დაესხა თავს, 17 სექტემბერს კი აღმოსავლეთიდან უკვე საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ „სლავი ძმების დასაცავად“. იუზეფ ძიუბანსკის ომმა პარიზში მოუსწრო.

საბჭოთა კავშირის თავდასხმა პოლონეთისთვის, რომელიც მარტოდმარტო ცდილობდა გერმანელთა თავდასხმის მოგერიებას, ზურგში დანის ჩაცემას უდრიდა, და არა იმიტომ, რომ პოლონეთს განსაკუთრებული კეთილმეზობლობა და მეგობრობა აკავშირებდა რუსეთთან და მისგან ამას არ ელოდა, არამედ იმ მშრალი იურიდიულ-პოლიტიკური მიზეზის გამო, რომ პოლონეთის მთავრობას თავდაუსხმელობის ხელშეკრულება ჰქონდა დადებული საბჭოთა კავშირთან. რუსეთმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი ნდობა არ შეიძლებოდა და რომ მისთვის პოლონეთთან დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას იმ ქაღალდზე მეტი ფასი არ ჰქონდა, რაზეც ის ეწერა. პოლონეთის ზურგს უკან საბჭოთა კავშირი ფარულად იყო გარიგებული ფაშისტურ გერმანიასთან და რიბენტროპ-მოლოტოვის დანაშაულებრივი პაქტიც მომზადებული ჰქონდა. 1939 წლის აგვისტოში გერმანიასა და საბჭოთა კავშირს უკვე ხელი ჰქონდათ მოწერილი „ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტისთვის“, რომლის საიდუმლო პროტოკოლში ზუსტად იყო განსაზღვრული ორივე ქვეყნის ტერიტორიული ამბიციები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მიმართ. ამ პროტოკოლის მიხედვით, პოლონეთი გერმანიასა და საბჭოთა კავშირს უნდა გაენაწილებინათ, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და ფინეთი კი საბჭოთა კავშირის „ინტერესების სფეროდ“ ცხადდებოდა.

1939 წელს საბჭოთა ჯარებმა ლვოვი დაიკავეს. სტალინმა ლვოვსა და მის შემოგარენში მცხოვრები პოლონელები საკუთარი მიწაწყლიდან აყარა და 1940 წელს საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში გადაასახლა. 1941-1944 წლებში ლვოვი გერმანელთა მიერ იყო ოკუპირებული. 1945 წელს კი სტალინმა ეს ქალაქი პოლონეთს ჩამოაჭრა და საბჭოთა კავშირს მიუერთა.

საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებული

*ვერმახტისა და საბჭოთა არმიის ოფიცრები ხელს ართმევენ ერთმანეთს პოლონეთის ქალაქ ლუბლინში, 1-ელი სექტემბერი, 1939 წ.*

ტერიტორიებიდან პოლონელთა პირველი მასობრივი დეპორტაცია 1940 წლის 10 თებერვალს მოხდა. 1,2 მილიონი პოლონელი არხანგელსკის, ჩელიაბინსკის, ირკუტსკის, ჩკალოვსკის, ნოვოსიბირსკის, სვერდლოვსკისა და ომსკის რაიონებში და კრასნოიარსკისა და ალტაის მხარეებში გადაასახლეს. საბჭოთა მხარის მონაცემების მიხედვით, გადასახლებულთაგან 760 ათასი კაცი დაიღუპა. გარდაცვლილთა დიდ ნაწილს — ერთ მესამედს ბავშვები წარმოადგენდნენ. ასე აღმოჩნდა 1940 წელს ოცდახუთი წლის პოლონელი ქალი ათი თვის ბავშვით ჯერ კრასნოიარსკის მხარის მანსკის რაიონში, ერთი წლის შემდეგ კი — ყაზახეთის ტრამალებში ჩაკარგულ პატარა და უსახურ ქალაქ ჯამბულში.

ორ ფრონტზე ერთდროულად ორი აგრესორის წინააღმდეგ გმირული და თავგანწირული ბრძოლების შემდეგ, რომლებიც მარცხისთვის იყო განწირული, ძალთა არაპროპორციული შეფარდების გამო, პოლონეთის მთავრობამ საზღვარი გადაკვეთა და ჯერ რუმინეთში, მერე კი საფრანგეთში გადავიდა. 1939 წლის 6 ოქტომბრისთვის გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა მთლიანად დაიკავეს პოლონეთი, ერთმანეთში გაინაწილეს და ქვეყნის სრული ანექსია მოახდინეს.

*გენერალი ვლადისლავ სიკორსკი*

საფრანგეთ-პოლონეთის სამხედრო შეთანხმებამ საშუალება მისცა პოლონეთის ჯარებს, საფრანგეთში განლაგებულიყნენ. ემიგრაციაში მყოფმა პოლონეთის მთავრობამ სწრაფად ჩამოაყალიბა 80-ათასკაციანი ჯარი, რომელიც საფრანგეთის არმიას ექვემდებარებოდა. როდესაც 1940 წლის მაისში გერმანია საფრანგეთს დაესხა თავს, პოლონური ნაწილები პარიზის დასაცავად მოემზადნენ. მაგრამ გერმანიასა და საფრანგეთს შორის ომი (რომელსაც 6 ათასი პოლონელი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა) სწრაფად დამთავრდა და 22 ივნისს საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.

გენერალმა ვლადისლავ სიკორსკიმ, პოლონეთის ჯარების მთავარსარდალმა და ემიგრაციაში მყოფი პოლონეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა, საფრანგეთის დაცემის შემდეგ პოლონური საბრძოლო ნაწილების ევაკუირება მოახდინა დიდ ბრიტანეთში. 1940 წლის ივნისში პოლონეთის საბრძოლო ნაწილები ოკუპირებული საფრანგეთის პორტებიდან ბრიტანეთში გადავიდნენ. ბრიტანეთსა და პოლონეთს შორის გაფორმებული სამხედრო

*პოლონელები შოტლანდიაში*

შეთანხმების თანახმად, ბევრი პოლონელი ჯარისკაცი გაიგზავნა შოტლანდიაში, რადგან ბრიტანეთის ეს ნაწილი სრულიად დაუცველი იყო გერმანიის აგრესიის წინაშე და რეალური საფრთხეც ემუქრებოდა. ახალჩამოსულ პოლონელებს შოტლანდიაში დიდი სიხარულით შეხვდნენ. სწორედ დასავლეთის ფრონტზე, გენერალ ვლადისლავ სიკორსკის არმიაში იბრძოდა იუზეფ ძიუბანსკი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ გენერალი სიკორსკი, როგორც ლონდონში ბაზირებული დევნილობაში მყოფი პოლონეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრი, მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირთან პოლონეთის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას, რომელიც გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტისა და 1939 წელს პოლონეთში საბჭოთა ჯარების შეჭრის გამო გაწყვეტილი იყო. მაგრამ როდესაც 1943 წლის 13 აპრილს ნაცისტური გერმანიის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ კატინის ტყეში 20 ათასი პოლონელი ოფიცრის მასობრივი დახვრეტის ადგილი აღმოაჩინა (როგორც ცნობილია, ტყვე პოლონელი ოფიცრები პირადად სტალინის ბრძანებით 1940 წლის აპრილ-მაისში დახვრიტეს კატინში), საბჭოთა კავშირმა კატინის დანაშაული გერმანიის მხარეს დააბრალა და ყოველგვარ პასუხისმგებლობაზე უარი განაცხადა. როდესაც გენერალმა სიკორსკიმ არ მიიღო საბჭოთა მხარის განმარტება და მოითხოვა, ეს სამხედრო დანაშაული საერთაშორისო წითელ ჯვარს გამოეძიებინა, საბჭოთა კავშირმა პოლონეთის მთავრობას ნაცისტურ გერმანიასთან თანამშრომლობა დასდო ბრალად და 26 აპრილს დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა სიკორსკის მთავრობასთან. იმავე წლის 4 ივლისს, როცა სიკორსკი წინა აზიაში განლაგებული პოლონეთის სამხედრო ძალების ინსპექტირების შემდეგ უკან ბრუნდებოდა, მისმა თვითმფრინავმა გიბრალტარის აეროპორტიდან (ბრიტანეთის ტერიტორია) აფრენიდან 16 წამში კატასტროფა განიცადა და ზღვაში ჩავარდა. ამ ბურუსით მოცულ და საეჭვო ავიაკატასტროფაში გენერალთან ერთად დაიღუპა მისი ქალიშვილი, ასევე შტაბის უფროსი ტადეუშ კლიმეცკი და კიდევ შვიდი თანმხლები პირი. სიკორსკის სიკვდილი საბჭოთა კავშირის დასავლელ მოკავშირეებსაც ხელ-ფეხს უხსნიდა საბჭოთა კავშირთან კარგი ურთიერთობისთვის – პოლონეთის საკითხი ხელის შემშლელი ბარიერი იყო დასავლეთისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობისთვის, კატინის დანაშაულის აღმოჩენის შემდეგ კი გენერალი სიკორსკი მოითხოვდა, რომ ჩერჩილს ურთიერთობა გაეწყვიტა სტალინთან. მართალია, საჯაროდ ჩერჩილი მხარს უჭერდა სიკორსკის მთავრობას და ხშირად შეახსენებდა სტალინს ნაცისტურ გერმანიასთან 1939 წელს გაფორმებულ პაქტსა და პოლონეთზე გერმანია-საბჭოთა კავშირის ერთობლივ შეთანხმებულ თავდასხმას, მაგრამ რუზველტთან საიდუმლო კონსულტაციებისას მანვე აღიარა, რომ პოლონეთი განსაზღვრულ დათმობებზე უნდა წასულიყო ძლიერი საბჭოთა კავშირის დასაშოშმინებლად. სიკორსკის სიკვდილით დასრულდა ის ეტაპი მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში, როდესაც

პოლონეთი ანგარიშგასაწევი ფაქტორი იყო დასავლელი მოკავშირეებისთვის.

გენერალი ვლადისლავ სიკორსკი კრაკოვის ვოველის სასახლის კრიპტშია დაკრძალული.

ყაზახეთში იძულებით გადასახლებულ კაზიმირას კოლმეურნეობაში ამუშავებდნენ, ყაზახეთშივე გაზრდილ მის გოგონას კი ორჯერ უთხრეს უარი უნივერსიტეტში მიღებაზე – შენ, გადამთიელ პოლონელს, ჩვენს უნივერსიტეტში რა გესაქმება, ჩვენ მხოლოდ ჩვენს ახალგაზრდებს ვასწავლით უმაღლეს სასწავლებლებშიო. ერთხელ, როცა ლეონიამ სამედიცინო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ კედელზე გამოკრულ სიაში ჩარიცხულთა შორის თავისი გვარიც ამოიკითხა, უცებ კედელთან ვიღაც კაცი მივიდა, შავი ბოლშევიკური ჩანთიდან წითელი ბოლშევიკური ფანქარი ამოიღო და პოლონელი გოგონას გვარი სიიდან ამოშალა: — შენ პოლონელი ხარ, შენი ადგილი აქ არ არის და არც უმაღლესში სწავლაა შენი საქმეო. ის კაცი და მისი წითელი ფანქარი ახლაც მახსოვსო, იგონებს მრავალი წლის შემდეგ პანი ლეონია. მეორედ, როცა უკვე სხვაგან ჩააბარა გამოცდები და ფარმაციის შესწავლას შეუდგა, ლექციების დაწყებიდან ორი თვის შემდეგ წერილი მიიღო — თქვენი სწავლა დამთავრებულიაო. ასე, ერთი წინადადებით, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

ყაზახეთის ტრამალებში უვადოდ გადასახლებულმა დედა-შვილმა, რომელთაც პოლონეთში დაბრუნების არავითარი იმედი აღარ ჰქონდათ, მხოლოდ სტალინის სიკვდილიდან ხუთი წლის შემდეგ, 1958 წელს შეძლო სამშობლოში დაბრუნება. მაგრამ ეს ის პოლონეთი აღარ იყო, მათ რომ დატოვეს ცხრამეტი წლის წინ. ეს უკვე კომუნისტური პოლონეთი იყო, სადაც პოლონელი კომუნისტები რუსებზე არანაკლები სისასტიკითა და დაუნდობლობით უსწორდებოდნენ სხვაგვარად მოაზროვნეებს. პოლონელ გოგონას, იმ მოტივით, რომ მან პოლონური არ იცოდა, კომუნისტურ პოლონეთში უფლება არ მისცეს, ვროცლავში დასახლებულიყო, სადაც მამამისი იუზეფი ცხოვრობდა.

ლეონიას, რომელსაც ყაზახეთში „პოლიაჩკას“ ეძახდნენ დამცინავად, პოლონეთშიც ბევრი გულისტკივილი შეხვდა, ბევრი ეუბნებოდა აგდებულად, რუსი ხარო. სამშობლოდაკარგულმა ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ყაზახეთში პოლონელი იყო, პოლონეთში კი „რუსი“ და რომელმაც მშობლიური ენაც კი არ იცოდა, პოლონეთში რომ დაბრუნდა, ყველაფერს დამოუკიდებლად მიაღწია, უდიდესი ნებისყოფისა და სიმტკიცის წყალობით. პოლონური ენის შესწავლის შემდეგ ლეონია ძიუბანსკამ სამედიცინო კოლეჯი დაამთავრა და მრავალ წელიწადს ექთანად მუშაობდა. პანი ლეონია ახლაც ხშირად ესწრება „ციმბირელთა კავშირის“ — სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა გაერთიანების შეკრებებს.

დღეს დედა-შვილი, რომელთა ცხოვრების ისტორია XX საუკუნის პოლონეთის ტრაგედიისა და მეორე მსოფლიო ომის ისტორიაა, ომისა, რომელმაც ცხოვრება დაუნგრია და სამშობლო დაუკარგა ერთ პოლონურ ოჯახს, სამხრეთ პოლონეთის ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობს. დედა, პანი კაზიმირა ოთხმოცდაჩვიდმეტი წლისაა, მისი ქალიშვილი პანი ლეონია კი — სამოცდათორმეტის. ლეონია ძიუბანსკა დღესაც ხშირად ფიქრობს ყაზახეთის ტრამალებზე, სადაც მისი უსიხარულო ბავშვობა და ყმაწვილქალობა დარჩა.

**ქეთი ტორეტაძე**

*პოლონეთის ისტორიაში ერთ-ერთი ტრაგიკული მოვლენის, კატინის მსხვერპლთა მემორიალი ქ. ვროცლავში*

*ქრისტიანთა დიდი მარტვილობა იაპონიაში, 1622 წ.*

# ჰატომ აკრძალა იაპონიამ ხუთბი დანაჩენ მსოფლიოს

***XVII საუკუნის ბოლო წლებში ყველა ქრისტიანი მისიონერი და ევროპელი ვაჭარი იაპონიიდან ახალმა, ძლიერად შეიარაღებულმა მმართველებმა განდევნეს. იმავე დროს იაპონელებს აეკრძალათ ქვეყნის დატოვება, ხოლო ქრისტიანულ რჯულზე მოქცეულები გაჟლიტეს. იაპონია დასავლეთი სამყაროსთვის მომდევნო 200 წლის განმავლობაში დახურული დარჩა. რამ აიძულა იაპონია, გარე სამყაროსთვის ზურგი ექცია?***

1542 ან 1543 წელს პორტუგალიელმა მეზღვაურებმა ჩინური ჯონკით (ტრადიციული იალქნიანი ნავი) მაკაოსკენ აიღეს გეზი, ჩინეთის მდინარე კანტონის შესართავთან ძლიერმა ქარმა ისინი ისევ ზღვაში გარეკა და იაპონიის კუნძულ კიუსიუს პორტისკენ აქნევინა პირი. ისინი პირველი ევროპელები იყვნენ, ვინც იაპონიის მიწაზე დადგა ფეხი და ასევე პირველები, ვინც იაპონელებს მუშკეტები უჩვენა. მათ 1549 წელს პორტუგალიური ხომალდი მიჰყვა, რომელზეც სამი ქრისტიანი მისიონერი იმყოფებოდა, მათ შორის ესპანელი ფრანსის ქსავიე. ამ ხომალდს კიდევ ერთი პორტუგალიური გემი შეუერთდა, რომელსაც ჩინეთისკენ აეღო გეზი, მაგრამ კუნძულ კიუსიუსთან განიცადა კატასტროფა. ამგვარად, სულ რამდენიმე წელიწადში ქრისტიანობამ და თოფებმა დასავლეთიდან იაპონიაში შეაღწია.

იმხანად პორტუგალიელებს ბედმა გაუღიმა. ბედნიერი დამთხვევით, 1549 წელს ჩინეთმა თავისი პორტები ჩაკეტა იაპონელი ვაჭრებისთვის. მთელი სავაჭრო გზები პორტუგალიელთა ხელში აღმოჩნდა, რომელთაც მაკაოდან კიუსიუსკენ აბრეშუმი და წამლები გადაჰქონდათ. ერთი შეხედვით, დასავლეთ ევროპასა და იაპონიას შორის ნაყოფიერი კავშირი შეიკრა, თუმცა შედეგმა მოლოდინი ვერ გაამართლა. სწორედ იმხანად შუა საუკუნეებისგან თავდაღწეულმა რენესანსულმა ევროპამ მსოფლიოს მოავლო მზერა, იაპონიამ კი პირიქით, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა და გარე სამყაროსგან მოწყვეტა გადაწყვიტა.

იაპონელებმა პორტუგალიელები გულთბილად მიიღეს. იეზუიტი მისიონერები კიოტოში, ნაგასაკისა და სხვა ქალაქებში საქმიანობდნენ. კიოტოს სამეფო კარის ქალბატო-

# შექმენი შენი არსენალი „არსენალთან" ერთად

## 13-დან - 27 აპრილამდე

ოთ ეტაპად ერთხელ, შეიძინეთ ჟურნალთან ერთად
საბრძოლო ტექნიკის თითო ასანყობი მოდელი

ააწყვე და შეაგროვე საბრძოლო ტექნიკის
მოდელების კოლექცია საკუთარი ხელით
მაკრატლისა და წებოს გარეშე

ამერიკული „სტელსის"
თვითმფრინავი

**F-117A**

„ღამის ძორი"

თითოეული 3D მოდელის
ფასი: 3,5 ლარი
ჟურნალთან ერთად 5 ლარი.

*პირველი სიოგუნი იეიასუ ტოკუგავა*

*პირველი ევროპელები იაპონიაში მაკაოდან ჩინური ჯონკით ჩავიდნენ*

ნები გაქრისტიანებას ყველანაირად უწყობდნენ ხელს, დედაქალაქის ზეპური საზოგადოების ახალგაზრდა წარმომადგენლები პორტუგალიურად იმოსებოდნენ და არც ჯვრებისა და კრიალოსნების ტარებას ერიდებოდნენ. ზოგიერთმა დიდმა ფეოდალმაც მიიღო ქრისტიანობა და თავის მამულებში მცხოვრები გლეხობაც ახალ რჯულზე მოაქცია.

რწმენის შეცვლის მიზეზი ყოველთვის წმინდა რელიგიური როდი იყო. იაპონელები განცვიფრებით უცქერდნენ, როგორ ექცეოდნენ პორტუგალიელი ვაჭრები მისიონერებს. ამიტომ გადაწყვიტეს, რომ ვაჭრობის წარმართვისთვის გზა იეზუიტებზე გადიოდა, რომლებმაც იაპონურს იოლად აუღეს ალღო და სხვა თუ არაფერი, თარჯიმნებად მაინც გამოდგებოდნენ. იეზუიტთა ორდენი ახალი იყო და კათოლიკური რწმენის განვრცობას ისახავდა მიზნად. ეს ორდენი სულ რამდენიმე ათწლეულის დაარსებული იყო ყოფილი მეომრის, ესპანელი იგნაციუს ლოიოლას მიერ. იეზუიტებს თანამედროვე, უფრო მარტივი თვალთახედვა ჰქონდათ და ფრიად შემწყნარებელიც გახლდნენ მეცნიერების, მედიცინისა და ტექნოლოგიური განვითარებისადმი. 1580 წელს ისინი ნაგასაკის ადმინისტრაციის სათავეშიც მოექცნენ. მათ საქმიანობას ხელი ესპანეთიდან ჩასულმა სხვა მისიონერებმაც შეაშველეს. უკვე 1600 წლისთვის იაპონიის 15-20 მლნ მოსახლეობიდან 300 ათასი ქრისტიანი იყო.

მისიონერთა მოღვაწეობა დასავლეთის საგაჭრო საქმიანობასთან ხელიხელჩაკიდებული ვითარდებოდა. ესპანელი ვაჭრები ფილიპინებში, მანილაზე კონტროლის დაწესების შემდეგ, 1600-იანი წლების დამდეგს იაპონიას ეწვივნენ, რომელთაც 1609 წელს ჰოლანდიელები, ხოლო 1613 წელს ინგლისელები მიჰყვნენ. ვერც ერთი ახალმოსული ჩინეთის მიწას ფეხს ვერ აკარებდა. ისინი შუამავლებად უფრო გვევლინებოდნენ და იაპონიაში ჩინური საქონელი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ჩაჰქონდათ.

XVI საუკუნის ბოლო წლებში ცენტრალურ იაპონიაში მძლავრმა და შეუპოვარმა სამხედრო მოღვაწემ, ოდა ნობუნაგამ იმპერატორის სახელით, რომელიც სიმბოლური, ნახევრად ღვთაებრივი და ნომინალური მმართველი იყო, მოქიშპე ფეოდალებს შორის მიმდინარე საუკუნოვან ომს ბოლო მოუღო. 1582 წელს მისი მკვლელობის შემდეგ სამხედრო

კამპანია ოდას ყველაზე სახელმოხვეჭილმა სარდალმა ტოიოტომი ჰიდეიოსიმ ითავა, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ, 1598 წლიდან იეიასუ ტოკუგავამ, რომელიც ორივეს — ნობუნაგასა და ჰიდეიოსის მოკავშირე იყო. სეკიგაჰარასთან 1600 წელს იეიასუს გამარჯვებამ განამტკიცა მისი უმაღლესი ხელისუფლება, რაც სამი წლის თავზე იმპერატორის მიერ ბოძებულმა სიოგუნის წოდებამაც გაამყარა. იმ დროს, გამძვინვარებული სამოქალაქო ომის პირობებში, ევროპული მუშკეტი ეფექტიანი საბრძოლო იარაღი აღმოჩნდა, ამიტომაც ევროპელებს ნობუნაგაც, ჰიდეიოსიც და იეიასუც მოწყალე თვალით უცქერდნენ.

1600 წლისთვის იაპონია უკვე მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული სახელმწიფო იყო, თუმცა დაქსაქსული ცენტრალური ხელისუფლებით — სამოქალაქო ომებისა და აჯანყებების გამოისობით. ქრისტიანთა ორდენის ზრდასთან ერთად, შეიცვალა დამოკიდებულებაც. 1587 წელს ტოიოტომი ჰიდეიოსიმ ორი დეკრეტი გამოსცა. პირველი დეკრეტით ქრისტიანი მღვდელმთავრები უნდა გაეძევებინათ ქვეყნიდან, რადგან მათ ბუდისტური სიწმინდეებისა და ტაძრების ხელყოფაში დაბალი ფენის მისიონერთა წაქეზება დაჰბრალდათ. მეორე დეკრეტით კი მსხვილ ფეოდალებს მასობრივი გაქრისტიანება აეკრძალათ.

ევროპელებისთვის ჰიდეიოსის უეცარი ზურგშექცევა ბოლომდე ამოუხსნელი დარჩა. როგორც მაშინ ამბობდნენ, ჰიდეიოსი განურისხებია პორტუგალიელთა მიერ იაპონელი ყმაწვილების მონებად გაყიდვას. მეორე შესაძლო განმარტება ის გახლავთ, რომ ქრისტიანობა ეროვნულ ერთობას ბზარს გაუჩენდა, მით უმეტეს, კორეასა და ჩინეთზე იაპონელთა თავდასხმის მოლოდინში.

ახალი ანტიქრისტიანული პოლიტიკა ერთბაშად არ ამოქმედებულა. ზოგი დომინიკელი ან ფრანცისკანელი ბერი ღიად განაგრძობდა ქადაგებას ჰიდეიოსის დეკრეტის მიუხედავად. 26 ქრისტიანი — ექვსი ფრანცისკანელი, სამი იეზუიტი და დანარჩენი გაქრისტიანებული იაპონელი ნაგასაკიში სიკვდილით დასაჯეს. 1612-1614 წლებში ჰიდეიოსის გამგრძელებელმა იეიასუ ტოკუგავამ, მოარულ ხმებზე დაყრდნობით (თითქოს ქრისტიანი იაპონელები უცხოელი ჯარების დახმარებით ამბოხებასა და ხელისუფლების შეცვლას აპირებდნენ) კიდევ ორი დეკრეტი გამოსცა. მოგვიანებით, იეიასუმ ქრისტიანული ეკლესიების აკრძალვა ბრძანა, მისმა მიმდევრებმა კი მომდევნო წლებში ყველა იაპონელი აიძულეს, ბუდისტებად დაწერილიყვნენ.

*იაპონიაში ერთ-ერთი წამებულის, ლორენს რუიზის გამოსახულება. ის 1981 წელს პაპმა იოანე პავლე II-მ წმინდანად შერაცხა*

იეიასუ 1616 წელს გარდაიცვალა. იგი მისმა ვაჟმა ჰიდეტადამ შეცვალა, რომელმაც მაშინვე ქრისტიანობის სასტიკი დევნა დაიწყო. სპეციალური კომისიები შექმნა, რომლებიც ათასობით ადამიანზე ნადირობდნენ, სასტიკად აწამებდნენ და არცთუ იშვიათად, მათ ჯვარსაც აცვამდნენ. 1622-1623 წლებში მოწყობილი მასობრივი ეგზეკუციები ნაგასაკიში, მიიაკოსა და ედოში „დიდი წამების“ სახელითაა ცნობილი. ინგლისელ ვაჭარ რიჩარდ ქოქსს 1623 წელს ხალხის კოცონზე დაწვა საკუთარი თვალით უნახავს. მოგვიანებით კი დაუწერია, ჩემი თვალით ვიხილე, 55 კაცი ერთდროულად როგორ იწვოდაო. მათ შორის დედების მკერდზე მიხუტებული ხუთი-ექვსი წლის ბავშვები, რომლებიც იძახდნენ, — იესო, იხსენ ჩვენი სულებიო.

ქრისტიანთა დევნა-შევიწროებამ კულმინაციას 1637-1638 წლებში მიაღწია, როდესაც

*ჰოლანდიელი ვაჭრები დეიმას ნავმისადგომში გემის შემოსვლას აკვირდებიან. ევროპელთაგან იაპონიაში მხოლოდ მათ შეეძლოთ გემების შეყვანა, ოღონდ წელიწადში არაუმეტეს ორი ხომალდისა*

სიმაბარას ნახევარკუნძულზე ქრისტიანმა გლეხობამ ორი უმოწყალო ფეოდალის წინააღმდეგ აისხა იარაღი. მაგრამ სამთვიანი გმირული თავდაცვა გატყდა და 37 ათას აჯანყებულს მუსრი გაავლეს. მათი ამოხოცვით იაპონიაში ღია ქრისტიანულ გავლენას წერტილი დაესვა, თუმცა მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში, იაპონიის ქრისტიანული სამყაროსგან იზოლაციისას, ხალხის მცირე ჯგუფებმა მაინც მოახერხეს ქრისტიანული მრწამსის ფარული სექტანტობის დონეზე შენარჩუნება.

აჯანყებამდე დიდი ხნით ადრე დასავლელებს იაპონიასთან ვაჭრობის უფლებები უხეშად შეეკვეცათ. 1616 წელს კი ნაგასაკისა და ჰირადოს პორტების გარდა ყველგან ყველაფრით ვაჭრობა აიკრძალა. შვიდი წლის შემდეგ ინგლისელებს მოუწიათ ჰირადოს დატოვებამ, რადგან ვაჭრობა ჩაუწვათ და იაპონიაში აღარაფერი ესაქმებოდათ. ერთი წლის თავზე კი, ხელისუფლებასთან ექვსთვიანი კამათის შემდეგ, ესპანურ ხომალდებს იაპონიის წყლებში გამოჩენა აეკრძალა. 1639 წელს პორტუგალიელებს, შესაძლოა, უსამართლოდ — ბრალი დაედოთ სიმაბარის ამბოხებულთა იარაღით მომარაგებაში.

სასჯელი სწრაფად აღასრულეს. როგორც პორტუგალიელებს, ასევე ვაჭრებსა და მისიონერებს ქვეყნის საზღვრების მყისიერად დატოვება ებრძანათ. ისინი გააფრთხილეს, რომ თუკი ოდესმე პორტუგალიური გემი ისევ შეცურდებოდა იაპონიის წყლებში, ეკიპაჟის წევრებს სიკვდილით დასჯიდნენ, ხოლო ხომალდსა და ბარგს ცეცხლს მისცემდნენ. სწორედ ასეც მოხდა 1640 წელს, როდესაც მაკაოდან გასულმა ხომალდმა იაპონიის წყლებს შეჰბედა ახალი სიოგუნის, იემიცუს იმედით, რომ მას აზრი ექნებოდა შეცვლილი და ევროპელ ვაჭრებს მიიღებდა. მაგრამ პორტუგალიელები შეცდნენ, იემიცუს ლმობიერება არ გამოუჩენია. სიკვდილით დასჯას მხოლოდ ცამეტმა მეზღვაურმა დააღწია თავი. თვით იაპონელებს აეკრძალათ საზღვარგარეთ გასვლაცა და შინ დაბრუნებაც. თუკი მაინც ვინმე ეცდებოდა ამ ნაბიჯის გადადგმას, სიკვდილით დაისჯებოდა. იაპონური ფლოტი სათევზაო გემებამდე და მცირე ნავებამდე შეიზღუდა, რაც საოკეანო ნაოსნობისთვის არ გამოდგებოდა. 1640 წლისთვის იაპონიამ ახალ ერაში, საკოკუში შეაბიჯა, ანუ „დახურული ქვეყანა“ გახდა. ამას მსოფლიოსთვის ზურგშექცევის ორი ასწლეული მოჰყვა.

ზოგიერთ ისტორიკოსს არ მიაჩნია, რომ იაპონია გარე სამყაროს სრულიად გაერიყა.

ერთი მხრივ, იაპონიას სავაჭრო ურთიერთობები არ გაუწყვეტია ახლო მეზობლებთან — კორეასა და ჩინეთის ვასალ რიუკიუს კუნძულებთან. ჩინეთმა კი თავის მხრივ 1549 წლის აკრძალვა გააუქმა და იაპონიასთან ვაჭრობა გააჩაღა. ამდენად, 1600 წლის შემდეგ ჩინურმა ხომალდებმა ნაგასაკის პორტში სტუმრობას მოუხშირეს. თუმცა მათ შორის ზოგი ევროპელიც ერია, იმის მიუხედავად, რომ ევროპელებთან ვაჭრობის აკრძალვა მოქმედებდა. ესენი იყვნენ ჰოლანდიელები, რომელთაც მხოლოდ ნაგასაკის მახლობლად, დეძიმას ნავმისადგომში შეეძლოთ გემის შეყვანა, თუმცა წელიწადში არაუმეტეს ორი ხომალდისა. ისინი იქ კიდევ ორას წელიწადს დარჩნენ.

მართალია, ჰოლანდიელთა გავლენა იაპონელებზე შეუმჩნეველი იყო, მათი იქ ყოფნით ე.წ. ჰოლანდიის კვლევებს მაინც ჩაეყარა საფუძველი. წიგნების იმპორტი ნებადართული იყო, რადგან მათში ჰოლანდიურად ბევრი არაფერი ეწერა. და მაინც, ჰოლანდიური წიგნების მეშვეობით იაპონიაში ევროპიდან აღწევდა ინფორმაციის ნაკადი. შედეგად, თანდათანობით ევროპული მეცნიერებისადმი, კერძოდ კი მედიცინისადმი ინტერესი გაძლიერდა. იაპონელ ექიმებს ესირცხვილებოდათ ადამიანის ანატომიის მათეული მწირი და მცდარი ცოდნა. ევროპულ წიგნებში ყველაფერი სხვაგვარად ეწერა. დასავლური მედიცინის თორმეტი სკოლა გაიხსნა იაპონიაში 1786 და 1846 წლებში და XIX საუკუნის პირველ სამ ათწლეულში. წიგნები დასავლური ცოდნის ყველა სფეროს მოიცავდა, განსაკუთრებით ანატომიას, კარტოგრაფიასა და გეოდეზიას. პირველი ჰოლანდიურ-იაპონური სიტყვარი 1796 წელს გამოიცა.

დასავლური საგნებისადმი ინტერესი საკოკუს ერაში მოგვიანებით გაღვივდა, ისიც იაპონელთა მხოლოდ ზედაფენებში. ზოგიერთი „ჰოლანდიის კვლევებს“ იაპონიისთვის ძირის გამომთხრელად მიიჩნევდა. მათი აზრით, „ბარბაროსთა სწავლება“ იაპონიის ცივილიზაციას კარგს არაფერს უქადდა. XVIII საუკუნის ბოლოს წამყვანი ფიგურა მაცუდარია სადანოდუ ევროპულ წიგნებს აგროვებდა, თუმცა საზოგადოებისგან ფარულად, რადგან ამ წიგნებით ხალხს შეიძლებოდა, „ფუჭი ცნობისწადილი“ და „მავნე აზრები“ გასჩენოდა. ერთმა იაპონელმა ექიმმა ჰოლანდიური წიგნებიდან გამომდინარე, ევროპელებს დასცინა, „ძაღლებივით ფეხდგომელა შარდავენ და ფეხსაცმელს ქუსლს უკეთებენ, რომ სიარულისას მიწას ფეხი ბოლომდე არ შეახონო“. მეორე იაპონელმა სწავლულმა, ოჰასი ტოცუანმა საკოკუს ერის დასასრულამდე დასავლური სწავლება „სამყაროსა და ადამიანთა საზოგადოების ფუნდამენტური იერარქიული წესრიგის“ უარყოფის გამო გააკრიტიკა. მისი თქმით, დასავლური ტექნოლოგიების შესწავლა აზრს მოკლებული იყო, რადგან „მდინარის ნაპირებთანაც კი საშიშია წყლის დალევა, თუკი თავად მდინარე მოწამლულია“.

როგორ უნდა აიხსნას ევროპელთა და ყოველივე ევროპულისადმი ამგვარი მტრობა და უნდობლობა? ჩინეთის საზოგადოება, რომელმაც თავის დროზე იაპონიაში ბუდიზმი შეიტანა, მისაბაძი გახდა. ტრადიციულად ჩინეთი იაპონელთა თვალში „ცივილიზებულად“ მი-

*პირველი იაპონური ტრაქტატი დასავლური ანატომიის შესახებ*



*კარიბჭე ედოს ციხესიმაგრეში, ტოკუგაგას მმართველობის ცენტრში*

*იეიასუ ტოკუგაგას აკლდამა ტიოშიუ-გიუში*

იჩნეოდა, თუმცა სხვა აზიელები და თვითონაც, არაცივილიზებულებად განიხილებოდნენ. მაგრამ რაკი XVII საუკუნეში იაპონელთა ეროვნული სიამაყე გაიზარდა, მათ ჩინეთის დარად მიიჩნიეს თავი „ერთი ცის ქვეშ“, სადაც ევროპელებს ბარბაროსთა წოდებაღა რჩებოდათ.

იაპონელთა პოზიცია სულ რამდენიმე ფაქტორით თუ აიხსნება. როდესაც იაპონელი ხელოსნები მუშკეტის შექმნაში დახელოვნდნენ, ევროპული ცეცხლსასროლი იარაღისადმი მოთხოვნილება დაიკარგა. საზღვაო ნაოსნობის აკრძალვამ კი ხომალდების ევროპულად აგების ინტერესი გააქრო. მაგრამ რეალური პასუხი უფრო სიღრმისეულია. იაპონიის საზოგადოებას ჩინეთიდან შესული კონფუციანელობა ბორკავდა. ეს კონსერვატიული ეთიკური სისტემა ადამიანებს იმ ვითარებასთან შეგუებას ასწავლის, რომელშიც ისინი დაიბადნენ და კლასობრივი დაყოფის მკაცრ იერარქიას ემხრობა. სათავეში იმპერატორია, მას რეგენტი მოსდევს, შემდეგ სიოგუნი და მსხვილი მემამულე ფეოდალები იკავებენ ადგილებს, მათ სამხედრო კასტა — სამურაები მოჰყვებიან, მერე გლეხები და ქალაქის ხელოსნებია, ხოლო უკანასკნელნი ვაჭრები არიან. შემდეგ უპოვართა კასტაა — ქუჩის მეწაღეები და ტყავის მთრიმლავები, რომლებიც სავარაუდოდ, კორეელ ტყვეთა შთამომავლებია. მიწათმოქმედნი ჩინურ და იაპონურ საზოგადოებაში წესრიგისა და უწყვეტობის წარმომადგენლები იყვნენ. ვაჭრები კი სისტემისთვის საფრთხეს წარმოადგენდნენ.

ევროპული მეცნიერებისგან სამეცნიერო რევოლუციის ხანაში ყველაფრის ამოტრიალებასა და საყოველთაოდ მიღებულ მოსაზრებათა გაცამტვერებას მოელოდნენ, რაც კონფუციანიზმს პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა. სანამ ქრისტიანთა დევნა დაიწყებოდა, უკვე 1591 წელს ჰიდეიოსის უკვე მიწერილი ჰქონდა გოაში პორტუგალიის მეფისნაცვლისთვის წერილი, სადაც ნათქვამია, რომ იაპონიის ახალ ერთობას სიმყარისთვის ტრადიციული ღირებულებებისა და სარწმუნოების შენარჩუნება დასჭირდებოდა. მისივე სიტყვებით, „იაპონელთა მოსანუსხად ქრისტიანი მღვდლები გაუგონარ სიბილწეებს ჰყვებოდნენ“. იმავე აზრის იყვნენ იაპონელი ბუდისტები და სწავლულები, ერთ-ერთი მათგანი 1620 წელს წერდა, რომ „ქრისტიანებს ღმერთის მორჩილება მიწიერ მმართველთა მორჩილებაზე უმაღლესად მიაჩნიათო“. ეს კი კონფუციანელთა აზროვნებას საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა.

თუმცა არსებობდა ერთი გასაგები და რეალური საფრთხე, რომ ქრისტიანი მისიონერები ევროპული იმპერიების დასაყრდენებად იქცეოდნენ. საკოკუს ასე გაგრძელების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად შეგვიძლია სწორედ ის დავასახელოთ, რომ იაპონელებმა XVIII-XIX საუკუნეებში კარგად შეიტყვეს აზიაში ევროპელთა სწრაფი ექსპანსიის შესახებ და მათი გაუმჯობესებული იარაღიც იხილეს, რაც იაპონიას აგრერიგად ესაჭიროებოდა.

XIX საუკუნის დამდეგს უფრო და უფრო მეტი რუსული და ბრიტანული ხომალდი ჩნდებოდა იაპონიის წყლებში, თუმცა სანაოსნო უფლებები არ ჰქონდათ. 1839-1842 წლებში ე.წ.

ოპიუმის პირველი ომის დროს ბრიტანეთმა იმპერატორთა ჩინეთი დაამარცხა და ჰონკონგი მიისაკუთრა. ამ ამბავმა იაპონიის იზოლაციის მომხრეებს თავზარი დასცა. ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ ან რუსეთი დაასწრებდა იაპონიაზე შეტევას, ან ბრიტანეთი. მაგრამ რუსული ჯარი, რომელმაც 1853 წლის აგვისტოში ნაგასაკის მიაღწია, მოულოდნელად ამერიკულმა ესკადრონმა უკუაქცია კომოდორ მეთიუ პერის მეთაურობით. ამ ესკადრონს იაპონელები „შავ ხომალდს“ უწოდებდნენ. ახალმა ძალამ აზიაში თავისი მისწრაფებების შესახებ განაცხადა, რამაც იაპონიის იზოლაციის გალავანი ნგრევის პირას მიიყვანა.

დასავლელთა უმეტესობამ იაპონური გამოცდილება ზედაპირულად აღიქვა. იაპონია იზოლაციაშიც ვითარდებოდა, თან არცთუ ურიგოდ. ქალაქის მოსახლეობა და კეთილდღეობა გაიზარდა. სოფლის მეურნეობა გაუმჯობესდა და მოსახლეობისთვის საკმარის მოსავალს იძლეოდა. იაპონიაში აბრეშუმის წარმოების განვითარებამ ჩინურ აბრეშუმს გადაუჭრა გზა. განათლების საერთო სტანდარტის შემოღებამ კი იმხანად იაპონელები მსოფლიოში ყველაზე ნაკითხ, განათლებულ ერად აქცია მსოფლიოში.

ორ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში იაპონიაში მშვიდობა სუფევდა, თუ გლეხთა რამდენიმე აჯანყებას არ ჩავთვლით. მართალია, იაპონიამ სამეცნიერო რევოლუცია და ინდუსტრიული რევოლუციის პირველი წლები გამოტოვა, მაგრამ რაც სჭირდებოდა, იმას მაინც სწრაფად აუღო ალღო. დასავლეთი რომ არ განედევნა იაპონიას, შესაძლოა, ერთ-ერთ ევროპულ კოლონიად ქცეულიყო. იზოლაციით კი ეროვნული რაობა და თვითშეგნება შეინარჩუნა.

*კომოდორი მეთიუ პერის აშშ-სა და იაპონიაში შექმნილი გამოსახულებები*

*National Geographic-ის გამოცემა „ისტორიის საიდუმლოებანის“ მიხედვით მოამზადა ლევან ინასარიძემ*

*კომოდორ მეთიუ პერის ამერიკის ფლოტის იაპონური ესკადრონის სახით აზიაში ახალი ძალა გამოჩნდა, რომელმაც იაპონიის იზოლაცია ნგრევის პირას მიიყვანა*

*კადრი ფილმიდან „პაპი იოანა“ (2009 წ.), იოანას როლში მსახიობი იოჰანა ვოკალეკი*

# ქალი პაპის ტახტზე

*XIX საუკუნე პაპის ინსტიტუტის გაძლიერებისა და განმტკიცების ხანაა. პაპებმა განავითარეს იდეა, რომლის მიხედვითაც მაცხოვარმა ისინი მსოფლიო ეკლესიის მეთაურებად დაადგინა და რომ ქრისტიანული სამყაროს ყველა იერარქი პაპს უნდა ემორჩილებოდეს. ამ პერიოდში რომი დასავლეთ ევროპაში ქრისტიანობისა და განათლების გავრცელების მოთავეა. მიუხედავად ამისა, ამ ეპოქაშიც მრავალი რამ მოხდა, რაც რომის მღვდელმთავართა ავტორიტეტს ვნებდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნახევრად ლეგენდარული ისტორია ქალი პაპის შესახებ, რომელიც მშობიარობისას დაიღუპა.*

ბოლომდე გარკვეული არ არის, მართლა იყო თუ არა ქალი რომის ეკლესიის მეთაური. ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ ასეთი ფაქტი მართლაც მოხდა ისტორიაში და რომის ეკლესიას მართლაც ედგა სათავეში ქალი, რომელმაც რომაელი სამღვდელოების უმაღლეს იერარქიაში შეღწევა შეძლო.

მიჩნეულია, რომ იოანა რომის ეკლესიის მღვდელმთავარი იყო (რა თქმა უნდა, ამას პირობითად ვამბობთ, რადგან კათოლიკური, ისევე როგორც მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების თანახმად, ქალს არ შეუძლია მღვდელი გახდეს, მით უმეტეს მაღალი იერარქის ხარისხს ვერ მიიღებს) 855-858 წლებში. ზოგიერთი წყაროს ცნობით, XI საუკუნეში, უფრო ზუსტად, 1099 წელს.

წყაროთა თანახმად, იოანა მაინცში ან ინგელჰაიმში დაიბადა ინგლისელი მისიონერის ოჯახში. იმ დროს, ფრანკთა დაშლილი იმპერიის აღმოსავლეთის მიწებზე აქტიურად მიმდინარეობდა იქ მოსახლე სხვადასხვა გერმანული და სლავური მოდგმის ხალხის გაქრისტიანება. გოგონას ადრეული ასაკიდანვე გამოუვლენია განათლებისადმი სიყვარული. თორმეტი წლისა რომ შესრულდა, მამაკაცის სამოსში გადაცმული სახლიდან გაქცეულა ათენში, რასაკვირველია, სწავლის გასაგრძელებლად. ათენის შემდეგ რომში გადასულა, სადაც ჰუმანიტარულ მეცნიერებებს დაეუფლა. თავისი განათლებით ინგლისელი ქალი (თუმცა ყველას მამაკაცი ეგონა) დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა. როგორც ჩანს, თუკი წყაროთა მონაცემებს ვერწმუნებით, მან უმაღლესი იერარქის წოდება მიიღო, შემდეგ კი პაპიც გახდა. XIII საუკუნის მემატიანე მარტინ პოლონიესი გადმოგვცემს, რომ ის ეკლესიას ორი წლის, შვიდი თვისა და ოთხი დღის განმავლობაში მართავდა. მარტინ ოპაველის თანახმად, ის საყვარლისგან დაფეხმძიმებულა და კოლიზეუმსა და წმინდა კლიმენტის ტაძარს შორის მდებარე ვიწრო ქუჩაზე მსვლელობი-

*მილანის ჰერცოგისთვის XV საუკუნის დასაწყისში დამზადებულ ტაროს ბანქოზე გამოსახული პაპი იოანა*

*პაპი იოანას არსებობის მომხრეთა მტკიცებით, ამ ისტორიის შემდეგ ყოველ ახალარჩეულ პონტიფიკოსს XVI საუკუნის დასაწყისამდე, პაპ ლეო X-ის ჩათვლით, სქესს უმოწმებდნენ საგანგებოდ ჩაჭრილ სკამზე, რომელსაც Sella Stercoraria ეწოდა. პროცედურა სრულდებოდა ლათინური გამოთქმით Mas nobis dominus est! — „ჩვენი რჩეული მამაკაცია!“*

*პროტესტანტული ანთიკათოლიკური პროპაგანდა პაპ იოანას აპოკალიფსურ ბაბილონელ მეძავად გამოსახავდა, თავზე პაპის ტიარით*

სას მშობიარობას გადაჰყოლია. ასევე XIII საუკუნის მემატიანე ჟან დე მაია წერს, რომ იოანა ცხოვრობდა XI საუკუნეში და იგი პაპი 1099 წელს ყოფილა, ხოლო პაპების სიაში იმიტომ არ მოუხსენიებიათ, რომ ქალი იყო, რომელიც ჟან და მაიას თქმით, „ხასიათისა და ტალანტის წყალობით ჯერ კურიის მდივანი, შემდეგ კარდინალი, ბოლოს კი პაპი გახდა“. როდესაც იოანამ იმშობიარა და აშკარა შეიქნა, რომ ქალი იყო, რომაული კანონების თანახმად, იგი ცხენის კუდზე გამოაბეს, ათრიეს და ქვებით ჩაქოლეს.

გადმოცემის თანახმად, რომში პაპის კურთხევისას იყენებდნენ სკამს, რომლის შუა ნაწილი ამოჭრილი იყო, ე.წ. Sella Stercoraria, რომლის მეშვეობითაც თითქოს პაპის სქესს ამოწმებდნენ, მაგრამ არც ეს გადმოცემაა ისტორიულად დადასტურებული. სიმართლეს ის ცნობა უფრო შეესაბამება, რომლის მიხედვითაც ეს სკამები ძველ რომაელ კონსულებს ეკუთვნოდათ.

ქალი პაპის რეალურობის დასამტკიცებლად ხშირად მოჰყავთ შემდეგი რამ: 1634 წლამდე სიენას ტაძარში სხვა პაპებისა თუ წმინდანების ქანდაკებებთან ერთად იოანა VIII-ის ქანდაკებაც იდგა, ხოლო მხატვრულ შემოქმედებაში ხშირად ჩნდებოდა ქალის (არატრადიციული „მადონას“) გამოსახულება ბავშვთან ერთად, რომელსაც ზოგიერთები იოანად მიიჩნევდნენ.

იჯდა თუ არა ოდესმე ქალი პაპის ტახტზე, საბოლოოდ გარკვეული არ არის (წყაროთა სიმწირის, ბუნდოვანებისა და სხვა მიზეზთა გამო), ამიტომ ქალი რომის პაპის, იოანა VIII-ის შესახებ არსებულ გადმოცემებსა და წერილობით წყაროებში ლეგენდა და სინამდვილე ერთმანეთშია არეული.

**ზოთა მათითაშვილი**

*„პაპ იოანას მშობიარობა“, მინიატიურა ბოკაჩოს „დეკამერონიდან“ (XV საუკუნის ხელნაწერიდან, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა)*

# ნოეს პროტოტიპები



## ჩას ბვამსნოზენ უძველესი მითები მსოფლიო ნაჩლვნის შესახებ

*უძველესი ლეგენდები და მითები დღესაც მოგვითხრობენ შორეულ წარსულში მომხდარი წარღვნისა და მასში გადარჩენილ გმირზე. ყველაზე გავრცელებულია ბიბლიური გადმოცემა ნოეს შესახებ, რომელმაც ოჯახთან ერთად ააგო ხომალდი და ორმოცი დღე-ღამის განმავლობაში ელოდებოდა სტიქიის ჩაწყნარებას. ღვთის ნებით, იგი კატასტროფას გადაურჩა და მისი ხომალდი არარატის მთას მიადგა. უაღრესად დიდ ინტერესს ის ფაქტი იწვევს, რომ ამერიკის, ავსტრალია და ოკეანეთის ხალხების, ბერძნულ, შუმერულ, ჩინურ და სხვა მითოლოგიებში მეტ-ნაკლებად ასახულია ბუნებრივი კატაკლიზმის ბუნდოვანი ისტორია, რაც მსოფლიოს მასშტაბით არის გაფანტული.*

შუმერულ მითოლოგიაში ბიბლიური ნოეს მსგავსი რამდენიმე პირი არსებობდა. მათ შორის გამორჩეული იყო უთნაფიშთიმი, რომელმაც ცოლთან ერთად ააშენა კიდობანი და შესაბამისად, წარღვნას მხოლოდ იგი გადაურჩა.

ცნობილია აგრეთვე ხმელთაშუა ზღვაში მომხდარი კატასტროფა, რაც კუნძულ თერაზე ვულკანურმა ამოფრქვევამ გამოიწვია. აქ ნოესა და უთნაფიშთიმის მსგავსი კიდევ ერთი გმირი ჩანს, სახელად დევკალიონი, რომელმაც ასევე საკუთარი ხელით ააშენა კიდობანი და ცოლთან ერთად გამოექცა უბედურებას. ბერძნული ლეგენდის თანახმად, წარღვნა ზევსმა მოახდინა ბრინჯაოს ხანის ხალხის გასანადგურებლად. ეს შეიტყო პრომეთემ, თავისი შვილი დევკალიონი გააფრთხილა და კიდობნის აგებაც ურჩია. ცხრა დღე-ღამეს ცოლქმარი წყალზე ტივტივებდა, სანამ პარნასამდე არ მიაღწიეს. დევკალიონმა და მისმა მე-

უღლემ ადამიანთა მოდგმის განახლების სურვილი გამოთქვეს. ზევსმა ჰერმესის (ან ორაკულის) პირით მას ზურგს უკან „დიადი მშობლის ძვლების“ გადაყრა უბრძანა. დევკალიონი მიხვდა, რომ „დიადი მშობელი“ — დედამიწა იყო, ხოლო მისი ძვლები — ქვები. დევკალიონის მიერ ზურგს უკან მოსროლილი ქვებისგან მამაკაცები წარმოიქმნენ, ხოლო მისი მეუღლის ნასროლისგან — ქალები.

აცტეკური მითოლოგიის თანახმად, ვინმე კოქსკოქსმა თავის მეუღლე ჰოჩიკეცალთან ერთად კვიპაროსის ხისგან ააშენა მცურავი საშუალება და წარღვნას გადარჩენილი მიადგა კულუაკანის მთას (გავიხსენოთ ნოე და არარატის მთა). ამ მითში საინტერესოა ერთი გარემოებაც: კოქსკოქსსა და ჰოჩიკეცალს ბევრი შვილი ჰყავდათ, რომელთა უმრავლესობა მუნჯი იყო. მშობლების სანუგეშოდ, აცტეკთა უზენაესმა ღვთაებამ მათ მტრედი მოუვლინა, რომელსაც ბავშვებისთვის ლაპარაკი უნდა ესწავლებინა. აქედან მხოლოდ თხუთმეტმა შეძლო ამეტყველება და მითის თანახმად, სწორედ მათ დაუდეს საფუძველი აცტეკებისა და ტოლტეკების მოდგმას.

აცტეკურ მითოლოგიაში არის სხვა გადმოცემაც წარღვნის შესახებ. კერძოდ, ერთ-ერთი ტომის უზენაესი ღვთაება ტესკატლიპოკა, იგივე ტიტლაკაუანი ვინმე ნატასა და მის ცოლ ნენას ავალებს ხომალდის აშენებას მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლად. ცოლ-ქმარმა ღვთაებას დაუჯერა და სამშვიდობოს გავიდა. რაც შეეხება დანარჩენ მოსახლეობას, ისინი ადიდებულმა ტალღამ შთანთქა, რასაც ადამიანთა თევზებად გადაქცევა მოჰყვა.

ინკების მითოლოგიის თანახმად, მსოფლიო წყალდიდობის დროს სტიქიამ უმაღლეს მწვერვალამდეც კი მიაღწია და მთელი ხმელეთი დაფარა. კატასტროფამ ყველა იმსხვერპლა, გარდა ერთი მამაკაცისა და ქალისა, რომლებიც „მცურავ ყუთში“ იმყოფებოდნენ. როცა ყველაფერი დასრულდა, ისინი ქარმა ტიუანაკოსკენ (დღევანდელი ბოლივია) გააქანა, ლეგენდარული მაჩუ-პიქჩუსგან დაახლოებით 200 მილის დაშორებით.

*მაჩუ-პიქჩუ, ინკების ლეგენდარული და იდუმალებით მოცული ქალაქი*

რაც შეეხება ჩრდილოეთ ამერიკას, წარღვნის შესახებ მითი ამ კონტინენტის თითქმის ყველა ხალხს გააჩნდა. ალასკაზე არსებობს საინტერესო ტლინგიტური (სამხრეთ ალასკის სანაპირო) ლეგენდა, რომლის თანახმად, ადამიანები წარღვნას გიგანტურმა კიდობანმა გადაარჩინა. ის კლდეს შეასკდა და ხალხი ორ ნაწილად დაიყო. კიდობნის გახლეჩამ მსოფლიოში ენების მრავალფეროვნება განაპირობა.

სკანდინავიური თქმულების თანახმად, ღმერთმა ოდინმა და მისმა ძმებმა დაამარცხეს ყინულის გიგანტი იმირი, იგივე აურგელმირი (სამყაროს შემქმნელი, უძველესი გოლიათი). მას ჭრილობებიდან სისხლი წამოსდინდა და მთელ მსოფლიოს მოედო. სისხლმა ყველა ადამიანი დაახრჩო, გარდა ბერგელმირისა. მან ცოლსა და შვილებთან ერთად თავს ნავით უშველა. რაც შეეხება ყინულის გიგანტ აურგელმირს, მისი სხეულის ნაწილებისგან ოდინმა და მისმა ძმებმა ჩვენი სამყარო შექმნეს.

აფრიკაში ცხოვრობს პიგმეების ტომი. ამ ტომის ხალხმა იმით გაითქვა სახელი, რომ მათი სიმაღლე 1,5 მეტრს არ აღემატება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ მსოფლიო ჯუჯებად იცნობს. მითი წარღვნის შესახებ სხვა აფრიკულ ტომებთან ერთად, რა თქმა უნდა, მათ თქმულებებშიც აისახა. პიგმეების ერთი ლეგენდა გვამცნობს, რომ ქამელეონს ხიდან უცნაური ხმა მოესმა. მან ხე გამოჭრა, საიდანაც წყლის ნიაღვარი წარმოდინდა და მთელი მსოფლიო დაფარა. პირველი წყვილი ადამიანებისა წყალთან ერთად წარმოიშვა.

ავსტრალიური მითოლოგია საკმაოდ მდიდარია წარღვნაზე ლეგენდარული გადმოცემებით. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, სამყაროს შემქნელი ბუნჯილი განარისხა ადამიანთა ცოდვილმა ცხოვრებამ და მათ აბობოქრებული ოკეანე მოუვლინა. წარღვნას მხოლოდ ისინი გადაურჩნენ, ვინც ღვთაებას ყველაზე მეტად უყვარდა. სამყაროს შემქნელმა ისინი ცაში აიტაცა და ვარსკვლავებად აქცია. მხოლოდ ერთი ქალი და ერთი მამაკაცი დარჩა დედამიწაზე, რომლებიც მთაში, ხეზე იყვნენ ამძვრალი, სადამდეც ოკეანემ ვერ ააღწია. შემდგომში მათ დაუდეს საფუძველი ჩვენს მოდგმას.

არც ახალ ზელანდიაში მცხოვრები მაორის ხალხის მითებსა და ლეგენდებს აუვლია გვერდი წარღვნის თემისთვის. ადგილობრივი ტრადიციის თანახმად, უძველესი ტომები ერთმანეთს განუწყვეტლივ ეომებოდნენ. ხალხმა უარყო უზენაესი ღვთაების, ტანეს მოძღვრე-

*„ბიბლიური წარღვნა“. გუსტავ დორე*

*წარღვნის შესახებ თქმულება პიგმეების ტომებშიც არის შემონახული*

*მანუს ნავს თევზი მთისკენ მიაქანებს*

ბები, რის გამოც სასტიკად დაისაჯნენ. წყლის რისხვამ ყველა ამოხოცა, გარდა ორი მამაკაცისა და ორი ქალისა, რომლებიც მცურავ ბორანზე იყვნენ. ნიშანდობლივია, რომ ბორანზე ცხოველებიც იმყოფებოდნენ.

მნიშვნელოვანია აგრეთვე პალაუს, პაპუა-ახალი გვინეის, პოლინეზიისა და სხვა ხალხების მითოლოგიები. მათ შორის ძალიან საინტერესოა პალაური გადმოცემა, რომლის თანახმად, წყალდიდობას ტივით გამოასწრო მოხუცმა ქალმა, მან მთაზე იმშობიარა და საფუძველი დაუდო მთელ კაცობრიობას.

მსგავსი ლეგენდები მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში სხვადასხვანაირადაა გაფანტული, მაგრამ ძირითადი არსით ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მათ შორის განსაკუთრებით ყურადსაღებია ჰავაის კუნძულებზე მცხოვრები ხალხის მითოლოგია, სადაც აგრეთვე ლაპარაკია მსოფლიო წარღვნის შესახებ. აქაც ერთი გმირი ჩანს, სახელად ნუ'უ, რომლის ამბავიც და სახელიც ძალიან ჰგავს ნოესას. ნუ'უმაც ნოეს მსგავსად ააშენა მცურავი საშუალება და წყალდიდობას ცოლსა და შვილებთან ერთად გადაურჩა. როდესაც სტიქია ჩაცხრა, მისი ხომალდი მაუნა-კეას მთას მიადგა. ეს ადგილი ჰავაის კუნძულებზე დღესაც წმინდა ადგილად არის მიჩნეული.

ამგვარად, ნოეს პროტოტიპები უამრავია მსოფლიოში. ნოეს მსგავსთა შესახებ ინფორმაციას ვხვდებით ინდურ და ჩინურ მითოლოგიებშიც. ჩინურ ლეგენდებში ერთ-ერთი მათგანი ცნობილია ნუას ან ნიუიას სახელით. გავიხსენოთ ჰავაელი ნუ'უ. არ არის გამორიცხული, სახელების მსგავსება უბრალო დამთხვევა იყოს, მაგრამ ნოე, ნუ'უ ან ნუა თითქმის იდენტურია და საკითხის წამოჭრის საფუძველს ნამდვილად ქმნის.

რაც შეეხება ინდურ ლეგენდებს, აქ მოქმედ პირს მანუ ჰქვია. ინდური ტრადიციის თანახმად, მანუმ იპოვა პატარა თევზი, რომელმაც მას დიდი თევზებისგან დაცვა სთხოვა და მანუც დათანხმდა. თევზი დროთა განმავლობაში გაიზარდა და კეთილი პატრონი გააფრთხილა, აეგო ხომალდი მოსალოდნელი წარღვნის თავიდან ასაცილებლად. მანუმ თევზს დაუჯერა და ხომალდი თოკით თევზს გამოაბა, რომელმაც იგი ერთ-ერთი მთისკენ გააქანა. საბოლოოდ, მანუც და ხომალდზე მყოფი ცხოველებიც წყალდიდობას გადაურჩნენ.

ალბათ გაჩნდება ლოგიკური კითხვა: რით უკავშირდებიან ეს პიროვნებები ერთმანეთს? რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოთ, შესაძლოა ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პიროვნება ერთი ადამიანის პროტოტიპს წარმოადგენდეს. არსებობს ვერსია, რომ წარღვნა იყო ლოკალური, მესოპოტამიის ტერიტორიაზე. შესაძლოა, ებრაელთა მამამთავარ აბრაამის შუმერულ ქალაქ ურიდან თანამედროვე ისრაელის ტერიტორიაზე გამგზავრებასთან ერთად, ეს მეხსიერებაც თან გაჰყვა ებრაელ ხალხს. ხოლო ამის შემდგომ იგი გაცოცხლდა ბიბლიაშიც. ალბათ ყველას გვსმე-

ნია ურუქის ლეგენდარული მეფის, გილგამეშის თავგადასავლების შესახებ. აღნიშნული ეპოსის ყველაზე სრულყოფილი ვერსია აღმოჩენილია ნინევიაში და იგი ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში ინახებოდა. ტექსტი შედგება 12 ფირფიტისგან და მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაცული წარღვნის შესახებ. შუმერული ეპოსის თანახმად, ერთ-ერთ მითში მეფეს ეღუპება ერთგული თანამებრძოლი ენქიდუ, რამაც ურუქის მეფე უზომოდ დაამწუხრა. სწორედ ამიტომ გილგამეში „მარადიული სიცოცხლის“ საიდუმლოს მოსაძებნად მიემგზავრება წარღვნას გადარჩენილ უთნაფიშთიმთან, რომელსაც ღმერთებმა უკვდავება მიანიჭეს.

გილგამეშის ეპოსი გარკვეულწილად გადმოგვცემს რეალობას უძველეს პერიოდში მომხდარი კატასტროფის შესახებ. რა თქმა უნდა, ყველა ვერსიას არსებობის უფლება აქვს, ისევე როგორც ებრაელთა მიერ შუმერული მითოსის ათვისებას, მაგრამ გილგამეშის ეპოსიცა და მასში წარღვნის თაობაზე შემონახული ცნობებიც შესაძლოა მხოლოდ დედამიწის მასშტაბით მომხდარი კატასტროფის ერთ-ერთი ნაწილი იყოს, რომელიც ცალკეული ხალხების ცნობიერებაში სხვადასხვანაირად აისახა.

რამდენიმე წლის წინ გამოითქვა საინტერესო ვარაუდიც, რომ დაახლოებით ძვ.წ. მე-6 ათასწლეულში შავი ზღვის ტერიტორიაზე მოხდა ბუნებრივი კატასტროფა — ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ტექტონიკური ჩაქცევა. ამას მოჰყვა ხმელთაშუა ზღვის წყლის ინტენსიური შემოჭრა და ადგილობრივი მოსახლეობის განადგურება. შესაბამისად, მსგავსი ტრაგედია უძველესმა ხალხებმა შესაძლოა უდიდეს წარღვნად აღიქვეს. ისმის კითხვა, ხომ არ არის კუნძულ თერაზე ვულკანური ამოფრქვევა, შავი ზღვის ან თუნდაც მესოპოტამიის დაბლობის წყლით დაფარვა იმ დიდი კატაკლიზმის ნაწილი, რაც ჩვენს პლანეტაზე კაცობრიობის მითურ პერიოდში მოხდა?

მეცნიერებაში დღემდე განიხილება მოსაზრება, რომ დედამიწაზე არსებობდა პანგეა, ან გერმანელ სწავლულის, ალფრედ ვეგენერის სიტყვებით რომ ვთქვათ, გონდვანას სუპერკონტინენტი, რომელიც ტექტონიკური ფილების დაცურების შედეგად შუაზე გაიხლიჩა. ქრისტიანული ტრადიციის თანახმადაც, წარღვნა მოხდა მთელი პლანეტის მასშტაბით, რასაც მეცნიერები ეწინააღმდეგებიან და მიიჩნევენ, რომ წარღვნა ლოკალური იყო. მაგრამ ყველაზე იდუმალი კითხვა ის არის, თუ როგორ მოხდა, რომ დაწყებული ლათინური ამერიკიდან, დამთავრებული აზია-ავსტრალიის ხალხებით, ყველას შემორჩა ბუნდოვანი ინფორმაცია წარღვნის შესახებ. ანდა ვინ იყვნენ ნოე, დევკალიონი ან თუნდაც უთნაფიშთიმი? ვარაუდი ბევრია, მაგრამ ეს საკითხი იმდენად არის ბურუსით მოცული, რომ აქ გონების ნაცვლად ალბათ ადგილი რწმენას უფრო უნდა დავუთმოთ.

***უაღრესად დიდ ინტერესს ის ფაქტი იწვევს, რომ ბუნებრივი კატაკლიზმის ბუნდოვანი ისტორია მსოფლიოს მასშტაბით არის გაფანტული და მეტ-ნაკლებად ასახულია ამერიკის, ავსტრალია და ოკეანეთის ხალხების, ბერძნულ, შუმერულ, ჩინურ და სხვა მითოლოგიებში.***

**ირაკლი ჟორჟოლიანი**

*ამ შუმერულ ფირფიტაზე, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმში ინახება, ჩაწერილია წარღვნის ისტორია გილგამეშის ეპოსიდან*

# როგორ შევკეროთ... მილიარდი

## „ზარა“ ხელმოკლეებსაც აცმევს და მდიდრებსაც

*2012 წლის მარტში ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების რეიტინგში 75 წლის ესპანელ ამანსიო ორტეგას, $37,5-მილიარდიანი ქონებით, მეხუთე ადგილი მიუჩინა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მოდის იმპერიაში „ზარას“ პრეზიდენტმა ელიტურ სიაში 18 საფეხურით აიწია. მართალია, 2011 წლის ივლისის შემდეგ აღარ ხელმძღვანელობს კომპანიას (Inditex), მაგრამ მისი აქციები ერთ წელიწადში 25%-ით გაძვირდა, რამაც ორტეგას ქონება კიდევ $6,5 მილიარდით გაზარდა და უმდიდრესმა ესპანელმაც „ფორბსის“ რეიტინგის შარშანდელი მეშვიდე ადგილიდან პირველ ხუთეულშიც შეაბიჯა.*

*მილიარდერ ამანსიო ორტეგას მშობლიურ ესპანეთში 2001 წლამდე თითქმის არ იცნობდნენ*

ამანსიო ორტეგა გაონა 1936 წლის 28 მარტს დაბადა ესპანეთის ლეონის პროვინციაში, სოფელ ბუზდონგო-დე-არბასში, რკინიგზელისა და მოსამსახურის ღარიბ ოჯახში. ყმაწვილმა სკოლაც ვერ დაამთავრა, 13 წლის ასაკიდან მოდური მკერავის მოსამსახურე იყო. მალე ოჯახი ქალაქ ლა-კორუნიაში გადავიდა. ეს ქალაქი ესპანური ტექსტილის წარმოების ცენტრი გახლდათ. ამანსიო სხვადასხვა ატელიეში ჯერ ქსოვილების გოფრირებას ეუფლებოდა, შემდეგ დრაპირებას, ბოლოს ცნობილ მოდელიერს დაუდგა შეგირდად. დამწყები მკერავი ყურადღებით სწავლობდა ფასწარმოქმნასაც. ყოველდღე აკვირდებოდა, როგორ იზრდებდა სამოსის ფასი ყოველ მორიგ ეტაპზე: მოდელიერიდან ატელიემდე, ფაბრიკამდე და მაღაზიამდე. სწორედ მაშინ დაფიქრდა ორტეგა, როგორ შეემცირებინა ფასის გარდაუვალი წამატებები. ამანსიოს გაუჩნდა იდეა, აეწყო წარმოება და პროდუქცია შუამავლების გარეშე გაევრცელებინა. ეს შესაძლებლობას მისცემდა, პროდუქცია დაბალ ფასად გაეყიდა. მოგვიანებით ეს იდეა „ზარას“ იმპერიის ფილოსოფიას დაედო საფუძვლად.

### „გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინა“

1960-იანი წლების დასაწყისში ორტეგამ მენეჯერის პოსტს მიაღწია ლა-კორუნიას ერთ-ერთ საგალანტერეო მაღაზიაში. La Ma-Ja-ში უკვე მუშაობდნენ მისი ძმა ანტონიო, და პეპიტა და როსალია მერა, რომელიც მოგვიანებით მისი პირველი მეუღლე გახდა. აქ დამწყებმა ბიზნესმენმა კიდევ ერთი აღმოჩენა გააკეთა — ძვირფასი სამოსის ბაზარი მეტად მცირეა, „ექსკლუზივზე“ სოლიდურ ბიზნესს ვერ ააგებ. ამიტომ ექსპერიმენტის სახით, ბარსელონაში შედარებით იაფ მასალებს ყიდულობდა, ამასთან, თავისი თარგე-

ბით მნიშვნელოვნად ზოგავდა ქსოვილების ხარჯს. შედეგად მიიღო ტანისამოსი, რომელიც გარეგნულად არ ჩამოუვარდებოდა იმ საქონელს, რომლითაც მაღაზია ვაჭრობდა, თუმცა უფრო იაფი ღირდა. ახალი მოდელები ძალიან კარგად გასაღდა და ორტეგასაც საწყისი კაპიტალი გამოუჩნდა საკუთარი ბიზნესის დასაწყებად.

ამანსიომ 1963 წელს დააფუძნა ფირმა GOA, რაც მისი ინიციალებია შებრუნებული მიმდევრობით. ერთხელ ორტეგამ შემთხვევით სწორედ ასე, უკუღმა წაიკითხა თავისი ინიციალები და იმდენად მოეწონა, რომ კომპანიას დაარქვა. დიდ დახმარებას უწევდა მეუღლე როსალია, პროდუქცია ძირითადად საბაზანოს ხალათების, ღამის პერანგებისა და ქალის თეთრეულისგან შედგებოდა. GOA მეტნაკლები წარმატებით მუშაობდა, სანამ 1975 წელს გერმანელმა ბითუმად მოვაჭრემ, ორტეგას პარტნიორმა, მოულოდნელად არ გააუქმა თეთრეულის მსხვილი შეკვეთა. ამანსიოს კი ამ შეკვეთაში მთელი თავისუფალი კაპიტალი ჰქონდა დაბანდებული. არც სხვა შემკვეთები ჩანდნენ. ბიზნესის გადასარჩენად მწარმოებელი მოვაჭრედ გადაიქცა. ნაწარმის გასასაღებლად ორტეგამ ფაბრიკის შორიახლოს, პატარა მაღაზია გახსნა ლა-კორუნიას ყველაზე დიდი უნივერმაღის ცხვირწინ. მაღაზიას „ზარა“ უწოდეს. რაც ამის შემდეგ მოხდა, ეს უკვე ისტორიაა...

GOA-ს ახალი მაღაზიები ერთმანეთის მიყოლებით იხსნებოდა. 1985 წელს ჯგუფი Inditex-ი შეიქმნა, რომელმაც „ზარასთვის“ მომუშავე ყველა წარმოება გაერთიანა. 1988 წელს „ზარა“ ესპანეთის საზღვრებს გასცდა. მაღაზიას პორტუგალიაში მოჰყვა მაღაზიები ნიუიორკში, პარიზში. 1991 წელს შეიქმნა სადისტრიბუციო ქსელი PULL and Bear-ი. Inditex-მა შეიძინა ჯგუფ „მასიმო ტუტის“ 65%, ხოლო მოგვიანებით ეს მარკა მთლიანად შეისყიდა.

1998 წელს გაიხსნა ახალგაზრდა ქალების სამოსის მაღაზიათა ქსელი Bershka. მომდევნო წელს „სტრადივარიუსის“ მაღაზიები ამანსიო ორტეგას მოდის იმპერიის მეხუთე სადისტრიბუციო ქსელი გახდა. მორიგი ახალი ქსელი 2001 წელს გამოჩნდა, Oysho-ს მაღაზიები ქვედა საცვლებით ვაჭრობენ, ჯგუფ Inditex-ის აქციები კი ბირჟაზე გავიდა. 2003 წელს გაიხსნა Zara Home-ის მაღაზიები, მერვე სადისტრიბუციო ქსელი კი სავაჭრო მარკა Kidds Clss/Skhuaban-ი გახდა.

## ესპანური სფინქსი

ჯგუფი 2011 წლის მიწურულისთვის 5,5 ათასზე მეტ მაღაზიას ფლობდა თითქმის 80 ქვეყანაში. ამასთან, ახალ-ახალი მაღაზიებიც ლამის ყოველდღე იხსნება, წელიწადში საშუალოდ 450. ესპანეთში ჯგუფს თითქმის 2 ათასი სავაჭრო ობიექტი აქვს, საიდანაც 300-ზე მეტი „ზარას“ სახელს ატარებს. ჯგუფი განსაკუთრებით დაინტერესებულია იტალიის, რუსეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, ჩინეთის ბაზრებით.

ზრდის ასეთი ტემპის წყალობით Inditex-ი გაყიდვების წერტილების რაოდენობით მსოფლიოში ერთ-ერთი უპირველესი გახდა ტრიკოტაჟზე სპეციალიზებულ კომპანებს შორის. მას ამ მხრივ მხოლოდ იტალიური „ბენეტონი“ უწევს კონკურენციას, რომელსაც ასევე 5 ათასზე მეტი მაღაზია აქვს. მათი უმეტესობა კომპანიის საკუთრება არ არის და ფრანჩაიზულ ფირმებს წარმოადგენს. ამანსიო ორტეგას დღეს Inditex-ის აქციების 59% ეკუთ-

*„ზარას“ პირველი მაღაზია*

*მოდის სამყაროს მაგნატი დიდი ელეგანტურობით არ გამოირჩევა, საქმიან კოსტიუმებს ჯინსი ურჩევნია, ჰალსტუხს კი არასოდეს იკეთებს*

*როსალია მერა ქმარს დიდი ხნის წინ გაშორდა. ის დღეს $4,5 მილიარდის მფლობელია*

ვნის. „ზარას“ იმპერიის წარმატების საიდუმლო მოქნილობა და მოდის ტენდენციების ცვლილებებზე მყისიერი რეაქციაა. ჯგუფის ნებისმიერი სტრუქტურა გაყიდვის ობიექტების ინტერესებისთვის მუშაობს. მაღაზიები ქალაქების საუკეთესო სავაჭრო ადგილებშია განლაგებული. კომპანია შეგნებულად არ იყენებს ფრანჩაიზინგის სისტემას, რაც დისტრიბუციის ოპერატიულობაზე აისახებოდა, ეს კი ჯგუფის კომერციული წარმატების საწინდარია.

2012 წლის უმსხვილესი საჯარო კომპანიების (რომელთა აქციები საფონდო ბირჟებზე მიმოიქცევა) მსოფლიო რეიტინგში „ინდიტექსის“ საბაზრო კაპიტალიზაცია „ფორბსმა“ $45,44 მილიარდად შეაფასა და 380-ე ადგილი მიაკუთვნა. სამოსისა და ფეხსაცმლის საცალო ვაჭრობის ბიზნესსეგმენტში კი „ინდიტექსი“ პირველ ადგილზეა და შვედი სტეფან პერსონის კუთვნილ H&M-ს (Heness&Mauritz) გაყიდვების მოცულობაში $1,8 მილიარდით უსწრებს.

მიუხედავად იმისა, რომ „ზარა“ მთელ მსოფლიოშია ცნობილი, მის დამაარსებელსა და მფლობელს ესპანეთში 2001 წლამდე პრაქტიკულად არ იცნობდნენ. კომპანიის აქციების ბაზარზე გასვლის შემდეგ კი ესპანელებმა აღმოაჩინეს, რომ თურმე მათ ქვეყანაში უმდიდრესი ადამიანი ცხოვრობს, პრესასა და ტელევიზიას კი მის შესახებ არაფერი სცოდნია. მოგვიანებით მასზე მსოფლიო მედიაც ალაპარაკდა, როცა ორტეგა „ფორბსის“ ათეულში შეიჭრა. ამანსიო ჟურნალისტებს ინტერვიუს არ აძლევს. ინფორმაციას წვეთ-წვეთად გასცემს ჯგუფის პრესსამსახური. ათწლეულების განმავლობაში პრესა მაგნატის ერთადერთი ფოტოსურათით კმაყოფილდებოდა. Inditex-ს დასავლურმა მედიამ „ესპანური სფინქსი“ უწოდა, რადგან ეს კომპანია, ერთი მხრივ, ძალიან დახურულია, რაც ერთგვარ იდუმალებას ანიჭებს მას და იმავდროულად, ძალიან საშიშია კონკურენტებისთვის.

ამანსიო ლა-კორუნიაში, ორსართულიან სახლში ცხოვრობს, ორსანის პლაჟის მახლობლად. კვირის განმავლობაში ორტეგა სასადილოში თავის თანამშრომლებთან ერთად იკვებება და მიუხედავად იმისა, რომ ნახევარ ესპანეთს აცმევს და მოდის სამყაროში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა, დიდი ელეგანტურობით არ გამოირჩევა. საქმიან კოსტიუ-

მებს ჯინსი ურჩევნია, ჰალსტუხს კი არასოდეს იკეთებს.

როსალია მერასთან ქორწინებიდან ორი შვილი, სანდრა და მარკოსი ჰყავს. ვაჟი მძიმე დაავადებით დაიბადა, რაც 1986 წელს მათი ოჯახის დანგრევის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. თუმცა 68 წლის როსალია Inditex-ის აქციონერთა სიაში მეორეა და $4,5 მილიარდიანი ქონებით „ფორბსის“ უმდიდრესთა სიაში 232-ე გახლავთ. ამანსიომ მეორედ ფლორა პერეს მარკოტაზე იქორწინა, რომელიც წლების გამავლობაში მისი მდივანი იყო, მათ ქალიშვილი შეეძინათ.

2004 წელს შეიქმნა ფონდი „ამანსიო ორტეგა“, რომელიც აწყობს კულტურულ ღონისძიებებს, აფინანსებს სამეცნიერო კვლევებს, განათლების სისტემის გაუმჯობესებას. ყოფილი მეუღლე როსალია კი ფონდ „პაიდეიას“ პრეზიდენტია, რომელიც საზოგადოებაში ინვალიდების ინტეგრაციას ემსახურება. ბოლო დროს ორტეგა უძრავი ქონებითაც დაინტერესდა და მადრიდში 43-სართულიანი ცათამბჯენი, ე.წ. პიკასოს კოშკი $536 მილიონად შეიძინა მილიარდერ ესთერ კოპლოვიცისგან. ამანსიომ ფული დააბანდა მაიამიში, მოდურ ძვირფას სასტუმროში, ფლობს ცათამბჯენს ნიუ-იორკში, აგრეთვე შენობებს ჩიკაგოში, ბოსტონში, ვაშინგტონის ოლქსა და სან-ფრანცისკოში.

*მოამზადა ემა ტუხიაშვილმა*

*პიკასოს კოშკი მადრიდში ორტეგამ $536 მილიონად შეიძინა*

*ესპანეთის პრინცი ფელიპე და პრინცესა ლეტიცია სტუმრად „ინდიტექსის“ ოფისში, ლა-კორუნია, 2008 წ.*

# სტადიონი, როგორც ბრძოლის ველი

## სპორტულ მოედნებზე დატრიალებული უდიდესი ტრაგედიები

*2012 წლის 1-ელი თებერვალი, პორტ-საიდის სტადიონი*

***არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სპორტს შეუძლია კაცობრიობა ომებისგან იხსნას... შორეულ მომავალში მაინც. ფანტასტიკაა, მაგრამ წუთით დავუშვათ, რა კარგი იქნებოდა, დაპირისპირებული სახელმწიფოები უარს რომ ამბობდნენ იარაღის გამოყენებასა და სისხლის ღვრაზე და ურთიერთობას, ვთქვათ, საფეხბურთო მოედანზე გამართული მატჩით არკვევდნენ...***

სინამდვილეს დავუბრუნდეთ. არავინ დაობს, რომ სპორტს დედამიწაზე მშვიდობისა და ჰუმანიზმის დამკვიდრებაში უდიდესი მისია აკისრია, მაგრამ თურმე სპორტიც შეიძლება, უბედურებისა და დიდი მსხვერპლის მომტანიც კი აღმოჩნდეს.

მაგალითად, 2012 წლის 1-ელ თებერვალს, ეგვიპტის ქალაქ პორტ-საიდში საფეხბურთო მოედანზე მეტოქე გუნდების გულშემატკივართა შორის მომხდარმა არეულობამ 70-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ათასზე მეტი კი დაშავდა. სამწუხაროდ, ეს არც პირველი და ალბათ, არც უკანასკნელი შემთხვევაა, როცა სპორტული ღონისძიება ტრაგედიის მიზეზი ხდება.

ქვემოთ მსოფლიოს სტადიონებზე სხვადასხვა დროს მომხდარ უბედურ შემთხვევებს გავიხსენებთ, რაც უპირველესად, ისტორიული გაკვეთილი უნდა იყოს როგორც გულშემატკივრების, ისე ღონისძიების ორგანიზატორთათვის, რათა მსგავსი რამ მომავალში აღარ განმეორდეს.

### გლაზგო

გასულ საუკუნეში გლაზგოს სტადიონი „აიბროქსი“ უბედურების მომსწრე რამდენჯერმე გახდა. პირველად ტრაგედია იქ ჯერ კიდევ 1902 წლის 5 აპრილს დატრიალდა, როცა ინგლისისა და შოტლანდიის გუნდების თამაშის დროს ერთ-ერთმა ტრიბუნამ, რომელიც ხისგან იყო დამზადებული, გულშემატკივრების სიმძიმეს ვეღარ გაუძლო და ჩაიქცა. 12 მეტრი სიმაღლიდან ვარდნის გამო 25 კაცი დაიღუპა, ხუთასზე მეტმა კი სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო.

გაცილებით საზარელი ტრაგედია „აიბროქზე“ მოგვიანებით, 1971 წლის 2 იანვარს დატრიალდა, როდესაც 80 ათასამდე ქომაგის თანხლებით ქვეყნის უმთავრესი დერბი — „რეინჯერსისა“ და „სელტიკის“ დაპირისპირება მიმდინარეობდა.

მსაჯის საფინალო სასტვენამდე ბევრი აღარაფერი რჩებოდა, „სელტიკი“ ანგარიშით 1:0-ს იგებდა და თითქოს მატჩის ბედი გადაწ-

ყვეტილი იყო. „რეინჯერსის“ ნირწამხდარი გულშემატკივრები ადგილებიდან დაიძრნენ და გასასვლელებისკენ გაემართნენ... და სწორედ მაშინ „რეინჯერმა“ კოლინ სტეინმა გოლი შეაგდო და ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ჯობდა, ეს არ ექნა!

გასასვლელისკენ მიმავალმა გულშემატკივრებმა სასწრაფოდ თავ-თავიანთ ადგილებზე დაბრუნება დაიწყეს. თუმცა აქ სიტყვა დაბრუნება არ ასახავს მომხდარს. როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, ხალხი ერთმანეთის თავებზე გადადიოდა. მასობრივ ჭყლეტას 66 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, 200-ზე მეტი კი დაშავდა.

სხვათა შორის, ის ავადსახსენებელი მატჩი მოგვიანებით „მანჩესტერ იუნაიტედის“ შოტლანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა, სერ ალექს ფერგიუსონმა თავის ავტობიოგრაფიაში გაიხსენა. თურმე მაშინ მაყურებელთა შორის მისი ძმა მარტინიც ყოფილა, რომლის ბედის შესახებ ოჯახში კარგა ხანს არაფერი იცოდნენ... საბედნიეროდ, მარტინი შინ საღსალამათი დაბრუნდა, თუმცა რის გადატანა მოუხდებოდათ ალექსსა და მის მშობლებს, ადვილი წარმოსადგენია.

## ათენი

1981 წლის თებერვალში ტრაგედიით დასრულდა საბერძნეთის ჩემპიონატის მატჩი „ოლიმპიაკოსსა“ და აეკ-ს შორის. მასპინძელთა ფენომენური, ამ დონის დაპირისპირებისთვის უჩვეულო ანგარიშით 6:0 გამარჯვების სიხარული გუნდს 21 გულშემატკივრის დაღუპვამ ჩაამწარა, თანაც, მათი უმეტესობა მოზარდი იყო.

მომხდართან დაკავშირებით დღემდე რამდენიმე ვერსიას ასახელებენ, ინციდენტის ოფიციალურ მიზეზად კი სტადიონ „კარაისკაკისის“ ერთ-ერთი სექტორის გასასვლელში სანახევროდ გაღებული კარი სახელდება, რის გამოც მაყურებლები მესერს მიაწყდნენ, უკნიდან მოწოლილმა ადამიანთა ტალღამ კი წინა რიგში მყოფნი „გასრისა“ — 19 ადგილზე დაიღუპა, ორი კი მიღებული ტრავმებისგან საავადმყოფოში გარდაიცვალა.

## მოსკოვი

ბერძნული ტრაგედიიდან დაახლოებით ერთი წლის თავზე, „ვეჩერნაია მოსკვაში“ დაიბეჭდა: „გუშინ „ლუჟნიკებზე“ საფეხბურთო მატჩის შემდეგ უბედური შემთხვევა მოხდა.

*ერთ-ერთი დამკრძალავი პროცესია, სადაც გლაზგოს სტადიონზე დაღუპულებს მიასვენებენ*

*ჩანგრეული დასავლეთი ტრიბუნა*

*„აიბროქსზე“ დაღუპულთა მემორიალი*

გულშემატკივართა შორის არიან დაზარალებულნი“.

ეს მწირი ინფორმაცია ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველაზე დიდ მოედანზე 1982 წლის 20 ოქტომბერს დატრიალებულ საზარელ ამბებს „ასახავდა“. ფაქტების მიჩქმალვა იმ ეპოქისთვის ხომ ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ — „ზემოდან“ იყო ნაბრძანები.

ტრაგედიას დიდი ხნის განმავლობაში არ ახმაურებდნენ და მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ გაჩნდა პრესაში პირველი ცნობები საბჭოთა (რუსული) და ამასთან, ჰოლანდიური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე საზარელი ეპიზოდის შესახებ.

იმ კოშმარულ საღამოს, ლენინის სახელობის სტადიონიდან ზუსტად რამდენი კაცი ვერ დაბრუნდა შინ, აქამდე უცნობია. ოფიციალური და არაოფიციალური წყაროები ერთმანეთისგან დიდად განსხვავებულ ციფრებს — 66-სა და 340(!) დაღუპულს ასახელებენ. ბოლომდე დადგენილი არც ტრაგედიის ნამდვილი მიზეზია.

დამკვიდრებული ვერსიით, „ლუჟნიკებზე“ გამართულ უეფას თასის მატჩში უბედურება სპარტაკელთა მიერ ჰოლანდიური „ჰარლემის“ კარში გატანილი მეორე გოლის შემდეგ დატრიალდა. ეტყობა, მაყურებლებმა, რომლებიც უკვე შინ წასვლას ეშურებოდნენ, უკან, ტრიბუნებზე იწყეს დაბრუნება. შედეგად ხალხის ორი ნაკადი ერთმანეთს კიბეზე შეეფეთა.

არის მეორე ვერსიაც, რომლის თანახმად, მილიციამ შეგნებულად, სანახევროდ დაკეტა სტადიონის ჭიშკარი, რათა ხალხის მასიდან წესრიგის რამდენიმე დამრღვევი გამოერჩია. შედეგად, მაყურებელთა ტალღა ღობეს მიაწყდა და მასობრივ ჭყლეტას მსხვერპლი მოჰყვა.

ასე იყო თუ ისე, ტრაგედიის გამო პასუხი მხოლოდ ერთმა პერსონამ — „ლუჟნიკების“ კომენდანტმა აგო, რომელმაც „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი გულგრილობისთვის“ კოლონიაში წელიწად-ნახევარი გაატარა.

## ბრედფორდი

იმ დღეს, 1985 წლის 11 მაისს, ბრედფორდს, ინგლისის მესამე დივიზიონში მოთამაშე ამავე სახელწოდების კლუბის გამარჯვება უნდა ეზეიმა, მაგრამ საფეხბურთო დღესასწაულს ვინღა ჩიოდა, ქალაქში გლოვის ზარებს შემოჰკრეს.

გულშემატკივრებით გავსებული ადგილობრივი სტადიონი, სადაც „ბრედფორდი“ „ლინკოლნს“ ეთამაშებდა, ცეცხლის ალში გაეხვია. ტრიბუნებზე გაჩენილი ხანძრის მიზე-

*ბრედფორდის სტადიონზე მოულოდნელად გაჩენილმა ხანძარმა 56 გულშემატკივრის სიცოცხლე იმსხვერპლა, 265-მა კი სხვადასხვა ხარისხის დამწვრობა მიიღო*

*დრამა „ეიზელის“ სტადიონზე განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საფეხბურთო ტრაგედიათა ისტორიაში*

ზი, შესაძლოა, სულაც ჩაუმქრალი სიგარეტი გამხდარიყო, რადგან არენა მეტწილად ხისა გახლდათ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ცეცხლმა 56 გულშემატკივრის სიცოცხლე იმსხვერპლა, 265-მა კი სხვადასხვა ხარისხის დამწვრობა მიიღო.

## ბრიუსელი

დრამა „ეიზელის“ სტადიონზე განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საფეხბურთო კატასტროფათა ისტორიაში. ეს ალბათ იმანაც განაპირობა, რომ მომხდარი თვით ჩემპიონთა თასის ფინალურ შეხვედრას უკავშირდება, რომელიც 1985 წლის 29 მაისს, ბელგიაში გაიმართა.

მეტოქე გუნდების, ტურინის „იუვენტუსისა“ და „ლივერპულის“ გულშემატკივრებს შორის კინკლაობა თამაშამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო, მატჩის დროს კი ეს ყველაფერი უკვე ნამდვილ ომში გადაიზარდა. საბედისწერო შეცდომა ბელგიელმა პოლიციელებმა მაშინ დაუშვეს, როდესაც ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ გულშემატკივართა სექტორებს შორის „ბუფერული ზონა“ არ დატოვეს. ბრიტანელთა ზეწოლის შედეგად იტალიელმა გულშემატკივრებმა ტრიბუნის ზედა იარუსიდან ქვედაზე იწყეს ჩანაცვლება, კონსტრუქციამ კი სიმძიმის მატებას ვერ გაუძლო და ჩაიქცა.

„ეიზელის“ ნანგრევებში 39 კაცი დაიღუპა, მათ შორის 32 იტალიელი გულშემატკივარი. კიდევ 600-მა კაცმა სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო.

„ლივერპულის“ ვაიგულშემატკივართა ცოდვა მთელმა ინგლისმა ზღო — უეფას გადაწყვეტილებით, ამ ქვეყნის კლუბებს დანარჩენი მსოფლიოსგან ხუთი წლით იზოლირება მიესაჯათ. ამასთან, მთავარმა დამნაშავე მერსაიდელებმა დამატებით კიდევ სამწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღეს, თუმცა სასჯელი ბოლომდე არ მოუხდიათ — მათ ამნისტია გამოუცხადეს.

## ჰეფილდი

ამჯერადაც „ლივერპული“ და კვლავაც უბედურება...

1989 წლის აპრილში, ამ სახელოვანი გუნდის შეფილდში ვიზიტს „ნოტინგემ ფორესტთან“ სათამაშოდ ქალაქში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ბილეთებზე მოთხოვნამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა „ჰილსბოროს“ არენაზე არსებულ ადგილებს. სათასო შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე სტადიონის მისადგომებთან უბილეთო გულშემატკივართა მრავალათასიანი არმია შეიკრიბა, მდგომარეობის განსამუხტავად კი ადგილობრივმა პოლიციამ განუზომლად ბრიყვული გადაწყვეტილება მიიღო — გამორთო ტურნიკეტები და კარები გახსნა.

*სამართალდამცავთა მიუტევებელ შეცდომას შეფილდის სტადიონზე ჭყლეტა და 96 კაცის დაღუპვა მოჰყვა*

ცხადია, ბრბომაც იხუვლა და სტადიონზე შედინება იწყო ისე, რომ გზადაგზა ყველაფერს თელავდა. არენის შიგნით, წინა რიგებში მყოფებს მთლიან პერიმეტრზე რკინის მესერი ეღობებოდათ, რომლებსაც უკნიდან ხალხის ტალღა აწვებოდა. ამჯერადაც ჭყლეტა...

ინციდენტის შედეგი: 96 გარდაცვლილი, 766 დაშავებული. სხვათა შორის, „ჰილსბოროს“ მსხვერპლთაგან ასაკით ყველაზე პატარა 10 წლის ბიჭუნა ჟან-პოლი იყო, „ლივერპულის“ ამჟამინდელი კაპიტნის, სტივენ ჯერარდის ბიძაშვილი...

## ბასტია

მსგავსი შემთხვევა მოხდა კორსიკაზე 1992 წლის მაისში, ასევე სათასო პაექრობისას. საფრანგეთისა და ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის, „მარსელის“ თამაშის ხილვა სტადიონ „არმან სესარზე“ იმაზე ბევრად მეტმა ფეხბურთის მოყვარულმა მოინდომა, ვიდრე ტრიბუნები დაიტევდა. უბილეთო გულშემატკივრებმა სხვადასხვა გზით სტადიონზე შეღწევა მაინც შეძლეს, ტრიბუნამ კი სიმძიმეს ვერ გაუძლო.

სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, ამჯერად დაღუპულთა რაოდენობა 18-ს შეადგენდა, თუმცა დაშავებულთა რიცხვი იყო არაპროპორციულად დიდი – სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებათა გამო სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია 2300(!) მაყურებელს დასჭირდა.

## აკრა

მსგავსი შემთხვევები აფრიკაშიც არაერთგზის მომხდარა. მათგან ყველაზე ფართომასშტაბიანი 2001 წლის 9 მაისით თარიღდება.

ტრაგედია განის ორი ყველაზე პოპულარული გუნდის – „აკრა ჰარტსისა“ და „ასტანტე კოტოკოს“ დაპირისპირებისას დატრიალდა. მასპინძლები ანგარიშით 2:1 იგებდნენ, სტუმარი გუნდის გაბოროტებულმა გულშემატკივრებმა კი მოედანზე პლასტმასის ბოთლებისა და სავარძლების სროლას მიჰყვეს ხელი. წესრიგის დამრღვევთა „დასაშოშმინებლად“ პოლიციამ ცრემლსადენი გაზის გამოყენება დაიწყო, რასაც პანიკა მოჰყვა. ხალხი სტადიონის გასასვლელს მიაწყდა, კარი კი აქაც დაკეტილი აღმოჩნდა.

ჭყლეტამ 127 კაცის სიცოცხლე შეიწირა. საგულისხმოა, რომ მსხვერპლი გაცილებით ნაკლები იქნებოდა, დაზარალებულთა დასახმარებლად ადგილზე მედიკოსები დროულად რომ მისულიყვნენ. თურმე ყველა მორიგე „სასწრაფომ“ სტადიონის ტერიტორია ნაადრევად იმ იმედით დატოვა, რომ მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთი რჩებოდა და იქ აღარაფერი ესაქმებოდათ...

იმავე მიზეზით 1988 წლის გაზაფხულზე კატმანდუში 93 გულშემატკივარი დაიღუპა, ოღონდ იქ მაყურებლები გაქცევას არა სამართალდამცავებისგან, არამედ კოკისპირული წვიმისგან ეშურებოდნენ, სტადიონიდან გასასვლელი რვა კარიდან ღია კი მხოლოდ ერთი აღმოჩნდა.

**გელა უშარიძე**

**წიგნის მაღაზიათა ქსელ „ბიბლუსის“ ლიტერატურული კონკურსი „აირჩიე ქალი“ 21 თებერვლიდან 15 მარტამდე მიმდინარეობდა. კონკურსის მონაწილეს უნდა წარმოედგინა ჩანახატი, რომლის გმირიც იქნებოდა მსოფლიოში გამორჩეული სხვადასხვა დროის ოცდაათი ქალიდან ერთ-ერთი.**

**გთავაზობთ კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებულის, ნიკა ხოფერიას ჩანახატს „ორლეანელი ქალწული — საბედისწერო წუთები“ (სტილი დაცულია).**

# ORLEANELI QALWULI — SABEDISWERO WUTEBI

## ეძღვნება ჟანა დ’არკს

*ჟანა დ’არკი ორლეანის ალყისას*

მეომრები გაშმაგებით მიიწევენ წინ. აი, კიბეები მიადგეს კედლებს, სწრაფად არბიან გალავანზე და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ერთვებიან. ქვის ყუმბარები გრუხუნით ეჯახებიან ორლეანის დიდებულ კოშკებს, მაგრამ ამაოა ყველა მცდელობა. ინგლისელ მშვილდოსანთა ისრები მიზანს სულ უფრო ხშირად აღწევს. ფრანგები ტრებუშეტებს მოაგორებენ, ორლეანი ცეცხლის ალშია გახვეული. მტერი მედგრად იბრძვის, ქალაქი არ ნებდება. პარიზელ მოქალაქეთა რაზმი საალყო კოშკს მიაგორებს, ბევრი მათგანი დაეცა გზად, სხვები შედრკნენ, ზურგი უჩვენეს მტერს, ინგლისელებმა ცხელი კუპრი გადაასხეს ახლოს მოსულ მოწინააღმდეგეს. ორთქლი ავარდა და განწირულთა კვნესამ შეძრა ამ საშინელების მომსწრე ფრანგ გლეხთა გულები, რომლებიც მაღალ ხეებზე შემომსხდრები უყურებდნენ თანამემამულეთა გმირულ იერიშს ორლეანის მძლავრ ციხეზე. ბრძოლაში ახალი შენაერთები ჩაერთნენ. მათ მსუბუქ საჭურველში ჩამჯდარი ახალგაზრდა მიუძღვით. ღმერთო, ეს გოგონაა! მან მუზარადი მოიხადა, გრძელი, ქერა თმა მხრებზე გადაეფინა, ქარმა გაუწეწა. მახვილი ამოაგო ქარქაშიდან. — Vive le France! Vive le Roy! — გაუმარჯოს საფრანგეთს, გაუმარჯოს მეფეს! — აღფრთოვანებული ჯარისკაცები თავზეხელაღებულ სარდალს მიჰყვნენ. ისრები ზუზუნით წამოვიდა, გოგონას გვერდით მომავალი სამი მებრძოლი სასიკვდილოდ დაიჭრა, მაგრამ ის არ შეეპუა. კვლავ განაგრძობს გალავანზე ასვლას, უკნიდან ფრანგი მსროლელები მიეშველნენ, ორ ინგლისელს, რომელთაც დიდი ქვის დაგორება განეზრახათ, ისრები მოხვდათ და ქონგურებიდან გადაეკიდნენ. აი, ქალწული კედელზე დგას, საფრანგეთის

ლურჯი დროშა მიაწოდეს მეომრებმა, ამ დროს ინგლისურმა ისარმა გაუარა მხარში მამაც გოგონას, ვაჟკაცურად აიტანა, არ დაუკივლია, მუხლზე დაიჩოქა, მაინც არ წაიქცა, დროშა თანამებრძოლებს გადააწოდა, რომელთაც კოშკზე ამაყად ააფრიალეს ლაჟვარდოვანი ბაირაღი მეფისა და ქვეყნის სადიდებლად. ყველა გოგონას დაესია, ის ცოცხალი იყო, სასიკვდილო ჭრილობა არ ჰქონდა, მაინც ბევრ სისხლს ჰკარგავდა, მისი სუსტი, ნაზი სხეული ვერ ეგუებოდა მომხდურის ვერაგი ხელით ნასროლ ისარს.

— ჟანა როგორ არის? — იკითხა დოფინმა (საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული).

— დაჭრილია, მაგრამ გადარჩება...

— ღმერთო, ეს საოცრებაა! ჩვიდმეტი წლის ქალწულმა აიღო ორლეანი, ეს უფლის ნიშანია! — ჩაილაპარაკა დოფინმა.

— ან ეშმაკის... — ჩუმად დაამატა კარდინალმა

— ეშმაკის? როგორ, ეშმაკი უმწიკვლო ახალგაზრდა გოგონაში?! იგი თავს უფლის გამოგზავნილად აცხადებს და ასრულებს კიდეც იმას, რასაც გვპირდება. და თუ მას ღმერთმა არ ჩაუნერგა ეს ძალა, გონება და გამძლეობა, მაშინ ვინ?! არა, იგი ნამდვილად მხსნელია საფრანგეთის!

— ან დამღუპველი! — ჩაილაპარაკა გესლიანად კარდინალმა, — იგი ნამდვილად ეშმაკის გაწაფულია, ჯადოქარი და მჩხიბავი, დოფინო! ავჯობებს მოვიშოროთ თავიდან, სანამ ჩვენი სამეფო დაუღუპავს! — ხმას აუწია კარდინალმა.

დოფინმა უპასუხოდ, ნელი ნაბიჯით დატოვა დარბაზი. თავში ათასი რამ უტრიალებდა. ჟანამ აღაფრთოვანა და ამის დაფარვას არც ცდილობდა. ამ გოგონამ ხომ მართლაც დაამტკიცა თავისი სიმართლე, მან ორლეანი აიღო! — მაგრამ... ეკლესიასთან დაპირისპირება ამ უმძიმეს ვითარებაში? კიდევ ერთი მაგრამ...

* * *

— თავს ცნობ ჯადოქრად, კუდიანად და ეშმაკის მსახურად? — გაუმეორა ქალწულს ბურგუნდიელმა კარდინალმა, — აღიარე დანაშაული, შვილო ჩემო, და უფალი მოგიტევებს.

— ღმერთმა იცის, რომ მე მისი მხევალი ვარ და არა მონა დემონისა... — ხმა ჩაუწყდა გოგონას, გამშრალი ტუჩებით რაღაცის თქმას ცდილობდა კიდევ, მწვანე, წყლიანი, უცოდველი თვალები მიაპყრო წითლით შემოსილ კარდინალს...

— დაე, მოგიტევოს უფალმა ცოდვანი შენი, ამინ! — გაიმეორა „ღვთის მსახურმა“ და განკარგულება გასცა, — ცეცხლი წაუკიდე, უილიამ!

მალე ცეცხლის ბოროტი ენები ქალწულის სხეულს მოეხვია. იგი უხმოდ იწვოდა, საშინელ ტკივილს განიცდიდა, თვალები კიდევ ერთხელ მოავლო ამ „სანახაობაზე“ მოსულ ხალხს, შემდეგ კი დახუჭა, დახუჭა სამუდამოდ... ჩაიფერფლა სიცოცხლე იმ ქალწულისა, ვინც საფრანგეთს თავისუფლებისა და ბრძოლის სული ჩაჰბერა, „ორლეანელი ქალწული“ ლეგენდად იქცა, მისი სხეული დაიწვა, ხოლო მისი დიდება და სახელი მუდამ ემახსოვრება მსოფლიოს, გამორჩეულად კი ფრანგ ხალხს. უბრალო ფრანგი ხალხისთვის ჟანა გმირობის სიმბოლოდ იქცა, გმირობისა, რომელმაც საფრანგეთს ასწლიანი ომი წარმატებით დაასრულებინა...

ნიკა ხოფერია

# „ვისაც სურს, სასწაული იხილოს!“

## თელავჭალაჭის გადმოსახედიდან დანახული ალაზნის ველი

***ულამაზესი მხარეა კახეთი. ერთმანეთში გასაოცრად შერწყმულან თვალწარმტაცი ხედები და მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ძეგლები. XIX საუკუნის გამოჩენილი გერმანელი საზოგადო მოღვაწე არტურ ლაისტი აქაურობას ასე აღწერდა: „ნათელო კახეთო!.. ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან სავსემთვარიან ღამეს თელავიდან აღმოსავლეთით ალაზნის ველს უნდა უყუროს“.***

ქალაქი თელავი გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთის ძირას მდებარეობს ალაზნის ვაკეზე, თბილისიდან 158 კილომეტრზე.

თელავის ტერიტორიაზე პირველი დასახლება ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ყოფილა. ქალაქის ტიპის დასახლება კი გვიანდელ ანტიკურ ხანაში წარმოიშვა. ახ. წ. II საუკუნის ბერძენი გეოგრაფი კლავდიუს პტოლემეოსი თავის ჩანაწერებში პირველად მოიხსენიებს თელავს.

ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით კახეთ-ჰერეთის სამთავროს ცენტრი XI საუკუნეში თიანეთიდან თელავში გადადის. XIII საუკუნის II ნახევრიდან, მონღოლთა ლაშქრობების შემდეგ მისი მნიშვნელობა დაეცა. XVII საუკუნის სამოციან წლებში კი თელავს ხელსაყრელი პერიოდი დაუდგა. მეფე არჩილ II-მ ისარგებლა არსებული ვითარებით და თელავში სამეფო სასახლე ააგო. ამით იწყება თელავის აღორძინების ახალი ხანა. თელავი კვლავ მეფეთა რეზიდენციად იქცა.

XVIII საუკუნის II ნახევარი ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიაში მეფე ერეკლე II-ის მოღვაწეობას უკავშირდება. მისი მეფობის პერიოდს ემთხვევა თელავის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ზრდა-განვითარება.

ერეკლე II-ის ძირეულმა რეფორმებმა შეცვალა ქართლ-კახეთის, შემდგომ კი მთელი საქართველოს პოლიტიკური ვითარება.

1758 წელს თელავში დაარსდა საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლა, რომელიც 1782 წელს სემინარიად გადაკეთდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების (1801) შემდეგ თელავი ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, თელავის მაზრის ცენტრი გახდა.

თელავი დღეს მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძია და იმავდროულად, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო (მეღვინეობის) და კულტურული ცენტრი. აქ არის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეატრი და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

*მეფე კვირიკეს აშენებული ციხის ზღუდე, რომელსაც თელაველები ძველ გალავანს უწოდებენ*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თელავი და მისი შემოგარენი მდიდარია ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებით.

მოკლედ მიმოვიხილოთ ეს უნიკალური ისტორიულ-არქიტექტურულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა:

V-VI საუკუნეების ნაგებობათაგან თელავში უძველესია არქიტექტურული ძეგლი ღვთაების ეკლესია, რომელიც აშენებულია ქალაქის მთავარ უბანში, ძველ ნამოსახლარ ბორცვზე. იგი სამნავიანი ბაზილიკაა და მრავალჯერ არის რესტავრირებული. ძველი ფენიდან შემორჩენილია შუა ნავის სვეტები და ნალისებრი კამარები. ეკლესია 1897 წელს მოუხატავს ხატმწერ ანტონ გეგელიძეს. შემონახულია მხატვარ ვალერიან სიდამონ-ერისთავის მიერ შესრულებული ტრიპტიქი. ღვთაების ბორცვი მჭიდროდაა დასახლებული და ამდენად, მისი არქეოლოგიური შესწავლა საკმაოდ რთულია.

აღსანიშნავია გაერთიანებული ჰერეთ-კახეთის პირველი მეფის, კვირიკე II-ის მიერ აშენებული სასახლე, რომლის ნაშთებია შემორჩენილი ციხის ზღუდის კედლების სახით. მას უწოდებენ ძველ გალავანს და მდებარეობს დაბახნებისა და თელავის ხევს შორის მაღალ ბორცვზე. ციხის შიგნით პატარა ეკლესიაა, წმინდა გიორგი სახელობის გორის ჯვარი. ეს ეკლესია ერეკლე II-ს სომეხი საერო პირებისთვის უბოძებია, რომელთაც იგი საფუძვლიანად გადაუკეთებიათ. ამჟამად მისი პირვანდელი ხუროთმოძღვრული ფორმების დადგენა რთულია.

ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ყურადღებას იპყრობს ციხესიმაგრე ბატონის ციხე. XVII-XVIII საუკუნეებში სწორედ აქ გახლდათ კახეთის მეფეთა რეზიდენცია. ამ ტერიტორიის არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოიკვეთა ციხესიმაგრის აგების ორი ეტაპი. პირველად იგი XVII საუკუნეში, მეფე არჩილის მიერ აშენდა, ხოლო მეორედ XVIII საუკუნეში, მეფე ერეკლე II-ის მიერ.

ბატონის ციხის კომპლექსს საყურადღებო შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა. გარეშე მტერთა გამუდმებული თავდასხმები, რაც აღმოსავლეთ საქართველოსთვის უცხო არ ყოფილა, ქმნიდა ძლიერი თავდაცვითი ციხესიმაგრის აგების აუცილებლობას. ამიტომაც, ბატონის ციხე საყოველთაო შიშიანობის დროს კოშკებით, საზარბაზნეებით, სათოფურებითა და სალოდეებით მტრის მოსაგერიებელ, კარგად აღჭურვილ თავდაცვით ნაგებობას წარმოადგენდა.

ბატონის ციხეს უკავია პლატო ბატონის წყალსა და კაკლის ხევებს შორის. სამხრეთის მხარეს კედლის წინ არსებულ მოედანზე ძველად სპორტული შეჯიბრებები ეწყობოდა. დღეს ამ ტერიტორიაზე ერეკლე II-ის სახელობის სკვერი და ქალაქის ცენტრალური მოედანია.

ბატონის ციხის ძველი კომპლექსი მოიცავს: ციხის ზღუდეს, სასახლეს, კარის ორ ეკლესიას, აბანოსა და გვირაბს.

ციხის ზღუდე წარმოადგენს ქვითკირით აგებულ ხუთი მეტრის სიმაღლის კედელს, მასში დატანებულია ორი ჭიშკარი — აღმოსავლეთისა და დასავლეთის. პირველს მარტივი არქიტექტურული ფორმები აქვს, რაც XVII საუკუნის II ნახევრისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო მეორე კარიბჭე თარიღდება XVII საუკუნის შუა პერიოდით.

ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის სიტყვით, ერეკლე მეფემ 1753 წელს „განასრულა გალავანი თელავისა“.

გალავნის შიგნით ორი ეკლესიაა განთავსებული. ერთ-ერთი არჩილს ეკუთვნის და ადრინდელი ნაგებობაა. იგი აშენებულია როგორც მცირე სამრეკლო. ამჟამად დაზიანებულია. მეორე ეკლესია კი მეფე ერეკლე II-ის დროს აშენდა. იგი აგურითაა ნაგები.

სასახლის სამხრეთით მდგარა საკმაოდ მოზრდილი აბანო, რომელიც გვიანფეოდალური პერიოდის აბანოების სისტემის მიხედვითაა მოწყობილი. მისი კედლები მოხატული ყოფილა. აბანოს შენობის დღეს მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი: აუზი, იატაკქვეშა ღუმელი და სათავსები. აგრეთვე აქ არის საიდუმლო გვირაბი.

სასახლის აღმოსავლეთით დგას მეფე ერეკლე II-ის ძეგლი. დამთვალიერებელთა ინტერესს იწვევს გზის მეორე მხარეს განთავსებული თელავის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა — 900 წლის ჭადრის ხე, რომლის სიმაღლე 40 მეტრია, ხოლო გარშემოწერილობა 11,4 მეტრი.

თელავის ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია ვახვახიშვილებისა და ყორჩიბაშვილების ციხეები.

ბატონის ციხის აღმოსავლეთით ვახვახიშვილების ციხე დგას, თუმცაღა მხოლოდ ნანგრევები – კუთხის ხუთი ბურჯი და აღმოსავლეთის ზღუდის ნაწილია შემორჩენილი.

ევროპელმა ქართველოლოგმა და ცნობილმა ისტორიკოსმა მარი ბროსემ ციხის მახლობლად აღმოაჩინა წარწერიანი ქვა, სადაც იკითხება: „ჩვენ... გვარად ვახვახისამან ბაზიერთუხუცესის ძემან თვით ბაზიერთუხუცესმან ზაალ და ძმამან ჩვენმან ვახუშტიმ აღვაშენეთ და სრულ ვყავით ზღუდე ესე და სახლსავანით განვაშენეთ და საყოფად ჩვენდა შევამზადეთ“. ამრიგად, ზაალ ვახვახიშვილს

*900 წლის ჭადრის ხე*

*ბატონის ციხის მთავარი კარიბჭე*

*ერეკლე მეორის სასახლე*

ძმასთან ერთად ეს ზღუდე თავის საცხოვრებლად აუგია 1743 წელს. ვახვახიშვილების სახელთანაა დაკავშირებული მარანიც, რომელიც ამჟამად სასტუმრო „კახეთის“ სადეგუსტაციო მიწისქვეშა დარბაზს წარმოადგენს.

ამავე პერიოდს ემთხვევა მესამე მნიშვნელოვანი ციხე-გალავნის აგება, რომელიც კახეთის ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალის სახელს უკავშირდება. ყორჩიბაშიშვილების ციხე ალაზნის ველს გადაჰყურებს. სამწუხაროდ, ეს ციხე ძლიერაა დაზიანებული. იმდენად, რომ მისი პირვანდელი ფორმების დადგენა საკმაოდ რთულია, რადგან იქ მოსახლეობა მჭიდროდაა დასახლებული.

XIX საუკუნის დასაწყისის ქალაქის გეგმის მიხედვით ციხის შიგნით ბევრი სხვადასხვა ზომის ნაგებობა ყოფილა განთავსებული, ხოლო შუაში მოზრდილი ეკლესიაც მდგარა.

ზემოთ ჩამოთვლილი ოთხივე დიდი ნაგებობა: ძველი გალავანი, ბატონის ციხე, ვახვახიშვილების ციხე და ყორჩიბაშიშვილების ციხე ერთმანეთისგან პატარა ღელეებით იყო გამოყოფილი და ისინი ქალაქს იცავდნენ. თელავს ორი შესასვლელი ჰქონდა. ერთი აღმოსავლეთიდან, რომელიც შიდა კახეთს უკავშირდებოდა, ხოლო მეორე დასავლეთიდან, რომელიც პანკისის ხეობას ერთვოდა. ქალაქში უამრავი საშუალო და მცირე ზომის შენობა და სავაჭრო დუქანი არსებობდა. სავაჭრო ურთიერთობა იყო გაჩაღებული მეზობელ ქალაქებსა და სოფლებთან. თელავის ბაზარი შედგებოდა სამ წყებად ჩალაგებული სავაჭრო-სახელოსნო დუქნებისაგან.

ქალაქის აღწერის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის ცენტრს, მთავარ მოედანს. მოედნები ოდითგანვე საზოგადოების თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა, სადაც იმართებოდა შეჯიბრებები და სანახაობები.

ქალაქში არსებობდა საამქრო და სახელოსნო უბნებიც, რომლებიც დღეისთვის დაბახნების სახელითაა ცნობილი.

წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ თელავის მოსახლეობის 2/3-ს ხელოსნები შეადგენდნენ, რომლებიც მუშაობდნენ ტყავის, საღებავებისა და აბრეშუმის წარმოებაზე. აქვე არსებობდა მეწაღეთა და მექუდეთა დუქნები.

თელავში შემორჩენილია XVIII-XIX საუკუნეებში აგებული საცხოვრებელი სახლები, რომლებიც შემდეგი სტილისაა: გაშლილი,

ღია, რიკულებჩუქურთმიანი აივნებით. სახლები ორსართულიანი იყო. ქვედა სართულები დუქნებად იყო გადაქცეული. ბატონის ციხის კომპლექსის შემადგენელი ნაწილია გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც დაარსდა 1927 წელს.

თელავის ისტორიულ მუზეუმთან არსებობს ქეთევან იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეა. ქეთევან იაშვილი 1883 წლის 23 აპრილს დაიბადა თელავის რაიონის სოფელ შალაურში. იგი პროფესიით ექიმ-კოსმეტოლოგი იყო. წლების განმავლობაში ძალიან ბევრს მოგზაურობდა და აგროვებდა ხელოვნების არაჩვეულებრივ ნიმუშებს. ხანში შესულმა ქალბატონმა ეს სიმდიდრე საჩუქრად გადასცა მის მიერ დაარსებულ თელავის სამხატვრო გალერეას. კერძო კოლექციის 187 ექსპონატის მაღალი ღირებულება დამთვალიერებელთა სიმრავლეზე მეტყველებს.

გალერეაში წარმოდგენილია ცნობილი ქართველი მხატვრების: გიგო გაბაშვილის, მოსე თოიძის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილისა და სხვათა ტილოები. აქვეა XVII-XIX საუკუნეების ჰოლანდიელი, ფრანგი, გერმანელი, რუსი მხატვრების ნაწარმოებები. ასე მაგალითად, მარინისტი მხატვრის ივან აივაზოვსკის, ასევე ივან კრამსკოის ტილოები და არაერთი რუსი თუ ევროპელი მხატვრის პორტრეტები და პეიზაჟები.

მუზეუმში არსებობს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ფოტოფონდი. ალექსანდრე როინაშვილის, ვასილ როინაშვილის, დიმიტრი ერმაკოვისა და სხვათა მიერ გადაღებული ქალაქ თელავის შესანიშნავი ხედები, კახეთის ყოფა-ცხოვრების ამსახველი 7000-ზე მეტი ფოტომასალა.

თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში დაკრძალულია ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და ისტორიკოსი რაფიელ ერისთავი, ბარბარე ჯორჯაძე, პოეტი იოსებ დავითაშვილი.

ყოველ წელს, 7 ნოემბერს, თელავში ტარდება ტრადიციული დღესასწაული „ერეკლეობა და თელავქალაქობა“.

**ნინო გაძელიძე**

*მეფის დარბაზი ერეკლე მეორის სასახლეში*

# ᲒᲣᲒᲣᲚᲘ ᲛᲒᲔᲚᲐᲫᲔ: — ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲬᲚᲘᲡᲐᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲘᲧᲝᲡ!..

*ისე მოხდა, არც კი ვიცოდი, თუ ავად იყო... რომ მივედი, მძიმე სნეულებაგადატანილი დამხვდა. შევწუხდი. რა დაგემართათ-მეთქი. მან კი მშვიდად მომიგო, რაც იყო, იყოო... არც ერთი სიტყვით მეტი! ამით ნამდვილად განსხვავდება სხვებისგან, მათგან, საკუთარ განსაცდელზე დიდხანს და გულაჩუყებული რომ ყვებიან. ის თითქოს ასეთი უნდა იყოს: მხნე, მხიარული, იუმორით სავსე — გუგული მგელაძე!*
*მახსენდება მის კაბინეტში არაერთხელ მოსმენილი ძველი ამბავი. პავლე ინგოროყვას საწერ მაგიდაზე დაწყობილი ჯერ დაუბეჭდავი ლექსები... მახსენდება, რომ მაშინაც კი, როცა საკმაოდ ტრაგიკული პერიოდის შესახებ მიამბობდა, მხნეობა და ხალისი არ ტოვებდა. თითქოს მაშინაც იმავეს მეუბნებოდა: — რაც იყო, იყო!*

— ყველაფერი იწყება მამის დაპატიმრებით... — მიამბობს „ფესვების“ რეჟისორი და უკვე ვხედავ მის ნაადრევად დაკაცებულ სახეს, — მახსოვს, როგორ მოვედი სკოლიდან პატარა ბიჭი. მეზობლები რაღაც სხვანაირად მიყურებდნენ. შევედი შინ, არეულია ყველა-

ფერი. რომ მივდიოდი, მამა ავადმყოფი დავტოვე ლოგინში, მოვედი, ვხედავ, ისევ ლოგინშია ფერმკრთალი. ჩეკისტები კითხვებს აძლევდნენ და ის პასუხობდა. საწყალი დეიდაჩემი, ხეიბარი ქალი იყო, კუთხეში იდგა და ცრემლი ჩამოსდიოდა. ერთი ჩეკისტი ბუხართან იჯდა და რაღაცას ჩხრეკდა... არ ვიცი, რას ეძებდა. მერე წაყვანა დაუპირეს. დეიდამ უთხრა, — გიორგი, ლოგინს შეგიკრავ, წაიღეო. „ნეტ ნუჟდი!“ — რუსულად უთხრა ერთმა შავგვრემანმა კაცმა. ვიდექით სამი შვილი: ჩემი უფროსი და უმცროსი დები და მე... მალე დავბრუნდებიო, — გვითხრა და გაჰყვა... ორ თვეში დახვრიტეს. მიზეზზე ვფიქრობდი სულ. ვფიქრობ, ბელგიაში რომ ჰქონდა განათლება მიღებული, ამანაც განაპირობა მისდამი საბჭოთა რეჟიმის უნდობლობა. ზაჰესის საინჟინრო საქმე მამას ებარა და ბრწყინვალედ შეასრულა, — ესეც უბედურებად უქციეს. რა დამავიწყებს, როგორ წვალობდა დედა, ორ სამსახურში დადიოდა, მოვიდოდა, დაგვაპურებდა, ისევ წავიდოდა. ყველაზე მეტად ეს მახსენდება.

ბევრი რამ ხდება შემთხვევით ამ ცხოვრებაში. ერთ დღეს ქუჩაში ქალი შემხვდა. გაჩერდა და დიდხანს მიყურა, თან მიღიმოდა. მეც შევჩერდი.

— რამდენი წლის ხარ? — მკითხა უცნობმა.

— რამდენისაც საჭიროა! — ვუპასუხე უხეშად, ვიუკადრისე, უცნობმა ქალმა ასაკი რომ მკითხა.

თითი დამიქნია, ასე უზრდელად ნუ მელაპარაკებიო და მკითხა:

— კინოში გადაღება გინდა?

— როგორ არა! — ვუპასუხე.

— ხვალ მოდი სტუდიაში.

მივედი მეორე დღეს. დამხვდა ის ქალბატონი. მერე გავიგე, ალიანდრა ერქვა. თურმე „გიორგი სააკაძის“ სინჯები მიმდინარეობს. შევედი. ვხედავ ვიღაც თავმოტვლეპილი კაცი ბუტერბროდს ჭამს. პირველად მოვხვდი ასეთ გარემოში, დავინახე, როგორ მუშაობდნენ გამნათებლები, კიბესთან ახოვანი კაცი იდგა — თურმე აკაკი ხორავა. ქალბატონმა ალიანდრამ ვიღაცას მიმართა:

— მიხეილ ედიშეროვიჩ, ეს ბიჭი გამოდგება გიორგი სააკაძის უფროს შვილად? — მაშინღა გავიგე, მიხეილ ჭიაურელს მიმართავდა.

— ხვალვე ჩაცვით, დაახურეთ პარიკი, ჯამაგირი დაუნიშნეთ და გადაღებებზე მოიყვანეთ! — უპასუხა.

გამოვედი გაკვირვებული. ვეკითხები ალიანდრას, რაო, რა თქვა, ვინ უნდა ვითამაშომეთქი. ვერ გაიგე, რა გითხრეს? გიორგი სააკაძის უფროსი შვილიო.

— მერე ჯამაგირსაც დამინიშნავთ? — ვკითხე უნდობლად.

— აბა რა!

— ფულს მომცემთ? — ვერ ვიჯერებდი.

მაშინ მეგონა, როგორც ფოტოგრაფთან შენ უნდა გადაგეხადა ფული, სურათი რომ გადაგეღო, კინოშიც ასე იყო.

ერთი საოცარი რამ დამრჩა გადაღებების დროიდან. პირველ სცენას ვიღებდით, გიორგი სააკაძეს თავადაზნაურობა რომ დაესხმება თავს. არ განვიცდიდი არაფერს. ვერიკო ანჯაფარიძეს ერთი ხელი ჩემზე ჰქონდა ჩაკიდებული, მეორე — მერაბ კოკოჩაშვილზე. ენთო ჩირაღდანი და ჩვენ დავრბოდით. ჭიაურელმა მითხრა, — ყოჩაღ, რა კარგად განიცდი და როგორ ზუსტად თამაშობო. მერე როცა გიორგი სააკაძე განიდევნა, ვსხედვართ მთელი ოჯახი ქვებზე, წინ უდაბნოა, გიორგი ეუბნე-

*კადრები ფილმიდან „ბურთი და მოედანი“ (1961 წ.)*

*ავთანდილი (ზურაბ ლეჟავა) და პაატა (გუგული მგელაძე) — „გიორგი საკაძე“ (1942-1943 წწ.)*

*კადრი ფილმიდან „ორი ოკეანის საიდუმლოება“ (1955 წ.)*

ბა მეუღლეს: რუსუდან, არ გაშინებს შენ ეს გზაო?.. ისე განვიცადე, თითქოს მართლა მივდიოდი და ვტოვებდი ყველას. ვკანკალებდი კიდეც. უცებ მიხეილ ჭიაურელმა მითხრა, — შენ არ გეხება, რაც ხდება? რატომ არ განიცდიო! მაშინ მივხვდი, მარტო განცდა კი არა, გამოხატვა იყო მთავარი.

პირველი ჯამაგირი 750 მანეთი ავიღე. პირველი, რაც გავაკეთე, დედას ვუყიდე კაბა. ახლაც თვალწინ მიდგას, შავ-თეთრად მოჩითული იყო. დედამ რვა თუ ათ წელიწადს ატარა...

15-16 წლისა ვიყავი და გაფუჭება დავიწყე, ვთამაშობდი ფულს... ეს რა არის? ფულის ნომერი უნდა გამოგეცნო და ის ფული შენი იყო. სამ ნომერში რაღაც მაინც უნდა გეთქვა მიახლოებული. თქვენ წარმოიდგინეთ, ყომარს რომ ეძახიან, — ზარს, იმასაც კი ვთამაშობდი. მერე პოკერს ვთამაშობდი, მაგრამ უკვე ხანში შესული. ეგ, ცხადია, ვეღარ გამაფუჭებდა.

ძველბიჭობა მომწონდა ძალიან. მაგრამ დღევანდელი გაგებით კი არა! მინდოდა ავტორიტეტი მქონოდა, ამიტომ იმასაც კი დავიბრალებდი, მოვიპარე რაღაც-მეთქი, ოღონდ ეთქვათ, ძველი ბიჭიაო. ერთხელ რუსთაველზე ვიდექი და ერთმა თქვა, ეს კარგი კაციაო, — ჩემზე. ქურდიაო? — ჰკითხა მეორემ. რა ქურდი, რის ქურდი! ომის წლები იყო, უპატრონოდ ვიყავით, ნახევრად მშიერი დავდიოდი.

ისეთი ცუდი ვიყავი, წაგებული ფულის გადასახდელად პურის წიგნაკი გამიყიდია. დიდი „საჩუქარი“ ვიყავი ოჯახისთვის, მოკლედ რომ გითხრათ... მაგრამ გენეტიკაში არ მქონდა ბოროტება და გადავრჩი...

რამ გადამარჩინა? გრიბოედოვის ქუჩის პირველ ნომერში ჩემი მეგობარი, თენგიზ ალავერდაშვილი ცხოვრობდა. მასთან ვიკრიბებოდით მე, კოტე მახარაძე, თენგიზ გოდერძიშვილი, ნოდარ ჯამბერიძე (მერე ცეკაში მუშაობდა, მაგრამ სულით არ წამხდარა). კოტე მაიაკოვსკის კითხულობდა, თენგიზ გოდერძიშვილი ფორტეპიანოზე უკრავდა. მაშინ მასწავლა დაკვრა და დღემდე მახსოვს ის პიესები. ვმღეროდით.

დეიდა ანგელინა, თენგიზის დედა ქვრივი იყო, ლუკმას გვიყოფდა, ღვინის ავ-კარგიანობასაც მათთან ვეზიარე პირველად. ამ მეგობრობაზე მერე ფილმი გადავიღე: „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ!“ დეიდა ანგელინას სესილია თაყაიშვილი თამაშობდა...

დედას უნდოდა, ექიმი გავმხდარიყავი. წაიღო ჩემი საბუთები და შეიტანა სამედიცინო ინსტიტუტში. ხელში არ ავიღე წიგნი. მახსოვს, ბიოლოგიის სახელმძღვანელოს ქვეშ ყაზბეგი მედო და იმას ვკითხულობდი. გავედი და პირველივე გამოცდაზე ჩავიჭერი. დაებრუნდი გახარებული. ჩემმა დამ, რა ქენიო, — მკითხა. ჩავიჭერი-მეთქი. მერე რა გიხარია, შე სულელოო!

ის მიხაროდა, რომ მოსკოვში წავედი და ვგიკ-ში ჩავაბარე გამოცდები. არც იქ მიღებდნენ. სომეხმა გამომცდელმა მითხრა, ქართული აქცენტი გაქვთ და ვერ მიგიღებთო. მე ვკითხე, — აბა, სტალინს სომხური აქცენტი ჰქონდა-მეთქი?! შეეშინდა და ვეღარაფერი მითხრა. მიმიღეს! პირველი სემესტრის მერე გამომაგდეს. შემრცხვა დაბრუნება. ექვს თვეს სადგურსა და ფოსტაში ვათენებდი, მშიერი ვიყავი... ჩემთან ერთად გამოაგდეს ვიქტორ ორლოვი, ერთად დავყიალობდით.

მეორედ გავედი გამოცდაზე და ისეთი რამ წავიკითხე, ვერაფერი მითხრეს. ან უნდა მიველე, ან უნდა დავეჭირე. რა წავიკითხე ასეთი? — მიხაილ ლერმონტოვის „სმერტ პოეტა“...

გამიმართლა, ისეთ ხალხში ვსწავლობდი: გრიშა ჩუხრაი, ვლადიმირ ბასოვი, სერგეი ბონდარჩუკი, თენგიზ აბულაძე... მერე თენგიზი გამოაგდეს... „სხვისი შვილები“ რომ გადაიღო და ჩვენება იყო, ჩემ გვერდით იჯდა სწორედ ის, ვინც თენგიზი გააგდო ვგიკ-იდან. ცრემლი წამოუვიდა, ხელი ჩამომართვა, თენგიზთან ვერც მივიდა, ისე გაიპარა.

ცხოვრებაში ბევრი ნიჭიერი კაცი მინახავს. ზოგი სმამ დაღუპა... ზოგი პოპულარობამ. ზოგმა გაუძლო. სულ მახსენდება ვიაჩესლავ ტიხონოვი. ძალიან ჭკვიანი იყო თავიდანვე. ერთხელ ვკითხე, რატომ არ სვამ-მეთქი. ძვირფასო გულია, კიდევ იმდენჯერ მოგვიწევს სმა ცხოვრებაშიო... მართალი იყო. გადაანაწილა მთელ ცხოვრებაზე...

ხედავთ კედელზე ფოტოს? ეგ არის ჩემი პირველი სიყვარული — ნინა კრაჩკოვსკაია. ხანდახან მესიზმრება... შეიძლება ცოლად რომ მომეყვანა, სულ სხვა დამსიზმრებოდა, მაგრამ რაც არ ამისრულდა, ის მახსოვს და არ მასვენებს...

ხან მზეა, ხან ავდარია... ჩემი შუადღე უფრო მზიანი იყო, არაჩვეულებრივ ხალხთან მიხდებოდა მუშაობა. იმიტომაც არის ქართუ-

*„ჭრიჭინა“ (1954 წ.)*

*„ვარსკვლავები ფრთებზე“ (1955 წ.)*

*„სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ (1969 წ.)*

*პოსტერი ფილმისთვის „ბაგრატიონი“ (1985 წ.)*

*გუგული მგელაძე პეტრე ბაგრატიონის როლში*

ლი კინო ძლიერი. ამერიკულ კინოში იმავეს ვერ ნახავთ.

ყველაზე რთულად რომელი ფილმის გადაღებებმა ჩაიარა? ერთს გეტყვით... ერთხელ კომპოზიტორი ფელიქს ღლონტი შემხვდა და მითხრა, ერთმა მეგობარმა მითხრა, ორი წელია ვიტანჯები, სიმფონიას ვწერო. თუ იტანჯები, რატომღა წერო, — უკითხავს ფელიქსს. ტანჯვით არც დაწერილი გამოვა, არც გადაღებული. მე ყველა ფილმს სიხარულით ვიღებდი. თუ შევატყობდი, რამე არ გამოდიოდა, თავს ვანებებდი... პირველი ფილმი „ბურთი და მოედანი“ სერიოზულად არც მიიღეს... ხომ გაძლო ნახევარი საუკუნე? ერთ თვეში გადავიღე სიხარულით.

„ფესვები“ იცით, რამდენი წლისაა? — ოცი წლის! ისევ უყურებენ!

„სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ ოცდაათი წლისაა და ისიც ცოცხალია.

თუ გინდა გაიგო, მაგალითად ნახატის ფასი, ჩამოჰკიდე კედელზე, უყურე, თუ მოგწყინდა, ჩამოხსენი... თუ არ მოგწყინდა, ესე იგი კარგია.

მომავალი მეუღლე რომ გავიცანი, ვიცოდი, ინგოროყვას ქალიშვილი იყო, მაგრამ ვინ იყო ინგოროყვა, დიდად არც ვიცოდი. მოსკოვში ჩამოუყალიბებელი წავედი, აქ შიმშილისგან თავი მტკიოდა და წიგნის კითხვის განწყობა მქონდა? მოსკოვში ლამის რუსად ჩამოვყალიბდი... მაგრამ გენეტიკა თავისას შვრება. რომ გავრუსებულიყავი, „ფესვებს“ ხომ ვერ გადავიღებდი! კარგია თუ ცუდია, სულით ხომ ქართულია! დავუბრუნდეთ ბატონ პავლეს... შემოვედი ამ ოჯახში და გავიცანი. მართალია, „მერჩულე“ ბოლომდე არ წამიკითხავს, მაგრამ ბევრი რამ წავიკითხე. ბოლოს წიგნიც დავწერე... ხშირად ვფიქრობ მასზე...

ახლა ვცხოვრობ შვილებთან ერთად, გვყავს შესანიშნავი ლაბრადორი...

როცა ოჯახში დიდი უბედურება შეგვემთხვა, — გიო ავტოავარიაში მოხვდა ცოლშვილთან ერთად და მეუღლე დაეღუპა, ერთმა მეგობარმა მითხრა, ილოცეო. ვლოცულობდი, როგორც შემეძლო... ეკლესიაში ვერ მივედი — ეკლესიური ცხოვრება ვერ დავიწყე, მაგრამ ცხადია, მწამს... სული ხომ ვერავინ ახსნა, რა არის...

მახსენდება პავლე ინგოროყვა, რომელსაც ახალგაზრდობიდან ტუბერკულოზი ჰქონდა, იტანჯებოდა... მაშინ ამ დაავადებით იხოცებოდნენ, მაგრამ პავლე ამბობდა, სა-

ნამ სათქმელს არ დავამთავრებ, არ მოვკვდებიო და სულმა გადაარჩინა. ერთხელ ქვიშხეთში პირიდან სისხლი წასკდა, ვერ ვასწრებო, — დაიძახა!

მეც ვფიქრობ, კიდევ მინდა რაღაც გავაკეთო. თექვსმეტი წლის მერე გეპატიჟებით ასი წლის იუბილეზე... ასაკს ვერ ვგრძნობ... ხომ იცით, ქალი იმდენი წლისაა, რამდენისადაც გამოიყურება, მამაკაცი კი იმდენი წლისაა, რამდენისაც შეუძლია იყოს. რაღა დაგიმალოთ და მავიწყდება ჩემი ასაკი. ლამაზ ქალთან საუბარი მსიამოვნებს, და არა მარტო საუბარი... სცენარს ვწერ, გადაღება მინდა. ადრე ორმოცდაათი წლის კაცს ვუყურებდი, ვფიქრობდი, რისი იმედი აქვს-მეთქი. მერე დრო გავიდა, ორმოცდაათს გადავაბიჯე. გაჩნდა შიშიცა და რწმენაც, რომ გავაკეთებ.

ახლა კი ხშირად ვკითხულობ ჩარლი ჩაპლინის ბიოგრაფიას. ავად რომ იყო, წერდა: როცა მოვა, მოვაო. ყველაფერს ეჩვევი კაცი.

P.S. გუგული მგელაძის მსგავთ ასაკი ვერ ერევა... ამიტომ სულ რჩება მოლოდინი: დღეს თუ არა ხვალ, ახალ წიგნს გამოსცემს, ან ახალ ფილმს გადაიღებს. დღეს თუ არა ხვალ...

**ლელა ჯიმაშვილი**

*ყველა ფილმს სიხარულით ვიღებდი. თუ შევატყობდი, რამე არ გამოდიოდა, თავს ვანებებდი... პირველი ფილმი „ბურთი და მოედანი“ სერიოზულად არც მიიღეს... ხომ გაძლო ნახევარი საუკუნე? ერთ თვეში გადავიღე სიხარულით.*

*„ფესვები“ (1987 წ.)*

*„მოსკოვში ლამის რუსად ჩამოყალიბდი... მაგრამ გენეტიკა თავისას შვრება. რომ გავრუსებულიყავი, „ფესვებს“ ხომ ვერ გადავიღებდი! კარგია თუ ცუდია, სულით ხომ ქართულია!“*

# თამაზ კვაჭანტირაძე:

# „ყველაფრის ხსოვნამ უმთავრესი არ უნდა დაგვავიწყოს“

***პროფესიით ფილოლოგია, ქართული ლიტერატურის ქომაგი და გულშემატკივარი. მის სატელევიზიო ლექციებზე არაერთი თაობა აღიზარდა. პარლამენტარიც გახლავთ და საკანონმდებლო ორგანოში ლიტერატურის სიყვარულს საერო საზრუნავთან ათავსებს. შეხვედრაზე სიამოვნებით დამთანხმდა და არც „მაკვარანცხული კითხვები“ გაუპროტესტებია. დიახ, როგორც მიხვდით, პროფესორ თამაზ კვაჭანტირაძეს ვიწვევთ ჩვენს რუბრიკაში. უფრო სწორად, ინტერვიუს ჩასაწერად პარლამენტში ვეწვიე. მითხრა, ასაკის მატებასთან ერთად, ისტორიული სინამდვილის ამსახველი ნაწარმოებებისადმი ინტერესი უფრო გამიმძაფრდაო.***

— რაც თავი მახსოვს, სულ წიგნი მიჭირავს ხელში. წიგნი სიამოვნებაა და როგორც ყოველი სიამოვნების, ასევე წიგნის საცდურიც არსებობს: უზომოდ კითხვა, ისევე როგორც წამლის უზომოდ მიღება, არ შეიძლება, საწამლავად იქცევა. შეიძლება იფიქროთ, ამ უწიგნურობის ხანაში თამაზ კვაჭანტირაძე რა წიგნის საშიშროებაზე ლაპარაკობსო. მართლაცდა, ნეტავ წიგნით დაავადდეს ქართველი საზოგადოება, ახალგაზრდობა; მაგრამ წიგნის ჩრჩილად არ უნდა იქცეს ადამიანი. კითხვა თვითმიზნად არ უნდა გვექცეს. წიგნი კარგია, როგორც საშუალება, იარაღი თვითსრულყოფისა. თავიდანვე ჭარბად აზარტული ვიყავი, ვცდილობდი სხვაზე მეტი წამეკითხა. კლასში ისეთი ბავშვები გვყავდა, რომ პირველობა ადვილი არ გახლდათ...

**— ბატონო თამაზ, მაინც რატომ უნდა ისწავლონ ახალგაზრდებმა სამშობლოს ისტორია?**

— ჯერ კიდევ როდის ამბობდა ილია ჭავჭავაძე, ერის გათახსირება და პირქვე დამხობა მაშინ იწყება, როცა საკუთარ ისტორიას ივიწყებსო. პატარა ერებმა განსაკუთრებით კარგად უნდა იცოდნენ საკუთარი წარსული, რადგან თავიანთი ეროვნული „მეობის“ შესა-

ნარჩუნებლად გამუდმებული ბრძოლა უწევთ. ისტორია „შენიანობას“ შეგვაგრძნებინებს, თავისიანობის განცდას გვიმძაფრებს. ბეთჰოვენის „აპასიონატა“ გენიალურია, მაგრამ „ხასანბეგურა“ უფრო ჩემია. ცხადია, ბეთჰოვენიც ჩემია — გალაკტიონის სიტყვები გავიხსენოთ: „ქართული მოტივი — მეცხრე სიმფონია“. საერთოდაც, გენიოსებს თავიანთ ეროვნებაზე კი არ გადავყავართ, ისინი თითქოსდა ჩვენი ეროვნებისანი ხდებიან: ბეთჰოვენმა კი არ გაგვაგერმანელა, იგი თვითონ გაგვიქართველდა.

**— სადაური სიტყვაა ისტორია?**

— ბერძნულია.

**— დღეს ის შენობა ლონდონის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა. ერთ დროს კი ციხე იყო ომებში აყვანილ ტყვეთათვის.**

— ასეთი მაკვარანცხი კითხვები უნდა დამისვათ (*იცინის*)? მე კი არა, ბევრი რამ გენიოსებსაც არ ახსოვთ: როცა აინშტაინს მსგავსი კითხვა დაუსვეს, უპასუხა — მაცალეთ, ცნობარში ჩავიხედავო. რა ჯობს, თუ გონება ისეთი გაალმასებული გაქვს, რომ ყველაფერი გახსოვს, მაგრამ ყველაფრის ხსოვნამ უმთავრესი არ უნდა დაგვავიწყოს. მოკლედ, მკითხეთ, რაც გნებავთ, ვეცდები, ზოგი რამ გავიხსენო.

**— კითხვა გაგიმეოროთ?**

— არა, მახსოვს, ლონდონის ტაუერზეა ლაპარაკი.

**— ცნობილი ფრანგი მწერალი ფრანსუა მორიაკი წერდა: „იმდენად დიდია ჩემი სიყვარული მისდამი, რომ ფრიად მოხარული ვარ მისი ორად გახდომისა“. რის შესახებ ამბობდა მწერალი?**

— (*იცინის*) საინტერესო ციტატაა, აქ საუბარი ქვეყანაზე, სახელმწიფოზე უნდა იყოს; ვიმსჯელოთ, რომელი ქვეყანა იყოფოდა ან ერთიანდებოდა? ამის მაგალითი არაერთი ქვეყანაა, მაგრამ მაინც გერმანიას დავასახელებ.

**— გამოიცანით. „შენა ხარ ჩემი ჯილდოც, სასჯელიც, / გულზე ახლოს ხარ და ღმერთზე ზემოთ. / ჩემო ტანჯულო, ჩემო მტანჯველო, / დაუღალავო საშობლოვ ჩემო. / შენთან ვარ, მაგრამ მაინც დაგეძებ, / როგორც დაეძებს საჭმელს მშიერი, / და ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე / შემაძრწუნებლად ვარ ბედნიერი“... ვინ არის ამ ლექსის ავტორი?**

— ჩემი უსაყვარლესი პოეტი, ჩემი ოთარ ჭილაძე. ასე შემაძრწუნებლად ვიყავი მისი პოეზიით აღსავსე, მაგრამ მერე წავიკითხე მისი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, წავიკითხე მისი პროზა და შემაბარბაცა.

**— რა ერქვა ჩრდილოეთამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთ ამჟამად ამოწყვეტილ ტომს?**

— მოჰიკანი.

**— გამოთქმა „უკანასკნელი მოჰიკანი“ როდიდან დამკვიდრდა?**

— მას შემდეგ, რაც ფენიმორ კუპერის რომანი „უკანასკნელი მოჰიკანი“ გამოქვეყნდა.

**— არქიმანდრიტი გაბრიელი (ურგებაძე) წერდა: „როცა ხატი ათონის მთის დატოვებას დააპირებს, ზარების რეკვა ატყდება, ეკლესიები ხილული სახით მოიხრებიან გაცილების მიზნით... ეს არის ღვთის წყალობა, რათა მსოფლიომ ნახოს და გადასარჩენი სულები აქ ჩამოვიდნენ, საქართველოში“. რომელი ხატი დატოვებს ათონის მთას?**

— ივერიის ღვთისმშობლის ხატი.

**— რომის ლეგენდარულ პირველ მეფესაც და უკანასკნელ იმპერატორსაც ერთი და იგივე სახელი ერქვა.**

— რომულუსი.

**— რამდენ წელს იცოცხლა ალექსანდრე მაკედონელმა?**

— ზუსტად არ მახსოვს, მგონი 30 წელს არც გადასცილებია.

**— 33 წლის ასაკში გარდაიცვალა.**

— მართლა? ქრისტეს ასაკში გარდაცვლილა, არ მახსოვდა.

**— წმინდა იოანე ოქროპირი ამ სასმლის შესახებ ამბობდა: „იმისთვის მოგვეცა, რომ ვიხაროთ და არა იმისთვის, რომ უმსგავსოდ მოვიქცეთ; იმისთვის, რომ ვიცინოთ და არა იმისთვის, რომ დაგვცინონ; ჯანმრთელობის განსამტკიცებლად და არა სნეულების შესაძენად; სხეულის გასამაგრებლად და არა სულის მოსაუძლურებლად“.**

— ღვინოზეა ლაპარაკი... მეც ამ სასმლის მოყვარული გახლავართ, ღვინო ღვთაებრივი ნექტარია. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ დიდი სულიერი მამები აღავლენდნენ ხოტბას ღვინოზე.

**— ვინ იყო პროკოფი კესარიელი?**

— ბიზანტიელი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე.

**— რა ერქვა ძველ საბერძნეთში მონას, რომელსაც ბავშვებისთვის თვალყურის დევნება და სკოლაში წაყვანა ევალებოდა?**

— ზუსტად არ მახსოვს, შეიძლება, პედაგოგიც კი ერქვა.

**— დიახ. რომში ის სიმამაცის სიმბოლოდ**

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲡᲔᲑᲘ

**მიიჩნეოდა, ომის დროს ვინც პირველი შეიჭრებოდა მოწინააღმდეგის ქალაქში, უფლებას აძლევდნენ, ხელში ეს მცენარე სჭეროდა, ხოლო ვინც თავს მისით დაუმსახურებლად გაილამაზებდა, ციხეში სვამდნენ.**

— დაფნა ხომ არ არის?

**— არა, ერთ-ერთ ყვავილზეა ლაპარაკი.**

— ალბათ, ვარდი იქნებოდა.

**— დიახ, მიხვდით. ეს ადამიანი XIX საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწე იყო. 1886 წელს გადააყენეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის თანამდებობიდან, ხოლო 1887 წელს სტავროპოლში მოკლეს. მისი მკვლელობის ორგანიზატორი რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ბრილიანტის ჯვრით დააჯილდოვა. ვინ იყო ცარიზმისთვის ასე საშიში ეს ქართველი მოღვაწე?**

— დიმიტრი ყიფიანი.

**— რომელ ბრძოლაში დაიღუპნენ ძმები ხერხეულიძეები?**

— მარაბდის ბრძოლაში.

**— რომელი ქვეყნის გვარდიელებს აქვთ პატივი, დაიცვან რომის პაპის რეზიდენცია ვატიკანში?**

— შვეიცარიის.

**— 1815 წელს ამისთვის განიხილებოდა დიდი ბრიტანეთის სამი კუნძული: ტრინიდატი, სენტ-ლუსია და მესამე, რომელიც სწორედ ამის გამო გახდა ცნობილი.**

— იქ რამე მოვლენა მოხდა?

**— დიახ, ნაპოლეონს უკავშირდება.**

— მივხვდი, წმინდა ელენეს კუნძულზეა ლაპარაკი.

**— რა ერქვა ქალაქს, რომლის ადგილზეც ახლა მკვდარი ზღვა მდებარეობს?**

— სოდომი.

**— რომელი მეფის დედა იყო ქეთევან წამებული?**

— თეიმურაზ I-ის.

**— უფლის ათი მცნებიდან რომელია პირველი?**

— „მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი სხუანი თვინიერ ჩემსა“.

**— ქართული ენის დევნა და შევიწროება რუსეთის კოლონიური პოლიტიკის უმთავრესი მიმართულება იყო. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართული ენის სწავლება არასავალდებულოდ მიიჩნეოდა. ვის სახელს უკავშირდება ეს ანტიქართული ქმედება?**

— მაგ ამბავში არაერთი ადამიანი იყო ჩართული.

**— მას კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თანამდებობა ეჭირა.**

— კირილ იანოვსკი. ის პედაგოგიკის სფეროში განათლებული პიროვნება იყო, იმავდროულად, საშიშიც. შავრაზმული იდეები ჰქონდა. ის მცირე ერების ენასა და ლიტერატურას არაფრად აგდებდა, უპირისპირდებოდა, მათ შორის ქართულსაც. მის წინააღმდეგ იაკობ გოგებაშვილმა გაილაშქრა და ქვეყნის ინტერესები დაიცვა.

**— XIX საუკუნის I ნახევარში ქართველმა საზოგადოებამ გრაფ პასკევიჩს სთხოვა, დაცლილ სამცხე-ჯავახეთში დასავლეთ საქართველოდან ქართველები გადმოესახლებინა, რაზეც სასტიკი უარი მიიღო. რა მოიმოქმედა გრაფმა?**

— ოსმალეთიდან დევნილი 30 ათასი სომეხი ჩამოასახლა.

**— დაბოლოს, დაასრულეთ პეტრე I-ის ცნობილი გამონათქვამი: — ის, ვინც სწორად მიმითითებს ჩემს შეცდომებზე, ჩემი მასწავლებელია; ის, ვინც სწორად აღნიშნავს ჩემს უტყუარ საქციელს, ჩემი მეგობარია; ის, ვინც პირში მეფერება...**

— ... ჩემი მტერია.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲕᲘᲜᲘᲙᲐᲫᲔ

# საქართველოს ისტორია ოთხ ტომად

## უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე

**წიგნის ავტორები**

**მარიკა ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი**
**ანდრია აფაქიძე, დავით მუსხელიშვილი**
**და სხვები.**

ლამაზად ილუსტრირებული, უნიკალური ფოტო მასალით

**იძენი საქართველოს ისტორია შენს თაროზე!**

**სასაჩუქრე გამოცემა**

ფასი 59.99

**იკითხეთ წიგნის მაღაზიებში!**

# მიწათმოქმედთა ცხოვრება

**170** **რომის დასაყრდენს გლეხები წარმოადგენდნენ.** მოსახლეობის უმრავლესობა სოფლებში ცხოვრობდა და მეურნეობას მისდევდა. გლეხები ქალაქის მოსახლეობისთვის სურსათ-სანოვაგეს აწარმოებდნენ. ისინი რომ არა, მოქალაქეები თავს ვერ გაიტანდნენ. სურსათი მონებს დიდ მამულებში მოჰყავდათ ან მცირე მეურნეობებში, სადაც რამდენიმე ოჯახი ერთად შრომობდა.

**171** **სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი მთელი იმპერიიდან შემოჰქონდათ.** ბრიტანეთიდან შალის ნაწარმი და თაფლი შემოდიოდა, საბერძნეთიდან — ღვინო. ყოველ წელს გემებს ხმელთაშუა ზღვით 400 000 ტონა ხორბალი შემოჰქონდათ ეგვიპტიდან. მას ფქვავდნენ და აცხობდნენ პურს, რომაელთა ძირითად საკვებს.

**172** **გლეხებს არ ჰქონიათ დიდი მანქანები შრომის შესამსუბუქებლად.** მძიმე სამუშაოს ხელით ან გამწევი პირუტყვის მეშვეობით ასრულებდნენ. გუთანს ხარები სწევდნენ. შემოსულ მარცვლეულს ქალები და მამაკაცები ნამგლით იღებდნენ და საზიდარზე აწყობდნენ. სახედრები წისქვილის დოლაბებს ატრიალებდნენ, რათა მარცვლეული დაეფქვათ, ზეითუნის ზეთი გამოეხადათ ან სასმელი წყალი ამოეღოთ ჭიდან.

▲ რომაულ მამულში მონები მიწას ამუშავებენ.

**174** **ყველაზე ძვირფას ხილად მომცრო, მკვრივ, მწვანე და მომწარო ზეთისხილის ნაყოფს მიიჩნევდნენ.** ზეთისხილს მცირე ხნით მარილწყალში ყრიდნენ, მერე კი პურსა და ყველთან ერთად შეექცეოდნენ. ზეთისხილისგან ზეითუნის ზეთსაც ამზადებდნენ, რომელსაც რომაელები იყენებდნენ როგორც საკვებად, ასევე წამლად, კანის გასაწმენდად და დასარბილებლად, ასევე, ჩირაღდნის ასანთებად.

**173** **რომაული ყურძენი ხეზე იზრდებოდა.** ვაზს ხეხილის შუაგულში რგავდნენ. ის ხის ტანს მიუყვებოდა და ამით ლერწებს მტკიცე დასაყრდენი ექმნებოდა, თანაც ხის ჩრდილი ვაზს მცხუნვარე მზისგან იცავდა. ყურძენი რომაელთა მეურნეობაში ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურა იყო. შემოსული ყურძნისგან წურავდნენ ღვინოს ან ახმობდნენ და ქიშმიშს ამზადებდნენ.

## უპასუხე კითხვებს

წარმოიდგინე, რომ რომაელი გლეხი ხარ და ქალაქიდან ჩამოსულ სტუმარს ელაპარაკები. როგორ უპასუხებდი ამ კითხვებს:

რომელი მარცვლეული მოგყავთ?

რისთვის გყავთ ხარები?

ვინ იღებს მარცვლეულის მოსავალს?

როგორ ფქვავთ ხორბალს, რომ ფქვილი მიიღოთ?

რატომ მოგყავთ ზეთისხილი?

# მონური შრომა

**175** **რომაელი ხალხი არ იყო თანასწორუფლებიანი.** საზოგადოება სხვადასხვა კლასად იყო დაყოფილი, — მონებად და თავისუფალ მოქალაქეებად. თავისუფალ მოქალაქეებს, ქალსაც და მამაკაცსაც, კანონით გარანტირებული უფლებები ჰქონდათ. მაგალითად, შეეძლოთ სასურველი სამუშაოს მოძებნა, აგრეთვე თავისუფლად მიმოსვლა. რომში მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ, ხმა მიეცათ თავიანთი რჩეულებისთვის მთავრობაში შესაყვანად, და სასურსათო შემწეობა მიეღოთ. მონები უუფლებო იყვნენ. ისინი სიცოცხლის ბოლომდე პატრონს ეკუთვნოდნენ, როგორც ძაღლები და ცხენები.

**176** **მონებს წაფავდნენ ნებისმიერი სამუშაოს შესასრულებლად.** ისინი აკეთებდნენ ყველა იმ საქმეს, რასაც მათგან პატრონი მოითხოვდა, ბავშვების მოვლით დაწყებული, მიწაზე მძიმე შრომით დასრულებული. ბევრ მონას პატრონი ენდობოდა და მათ უნარებს აფასებდა. ვისაც ბედი გაუღიმებდა, პატრონის მზარეული და მკურნალი ხდებოდა ხოლმე.



► **მონას მონათა ბაზარზე ყიდულობდნენ და ყიდდნენ. მას პირუტყვივით არჩევდნენ და სინჯავდნენ. მონა ნებით სამუშაოს ვერ ამოირჩევდა და ვერც თავს დაანებებდა. ამისთვის სასტიკად დასჯიდნენ, აბუჩად აიგდებდნენ ან გააჩუქებდნენ.**

**177** **ადამიანის დამონების სხვადასხვა გზა არსებობდა.** შეიძლებოდა მტრის მეომრები აეყვანათ ტყვედ, ეყიდათ მონათვაჭრისგან ან მძიმე დანაშაულის ჩამდენისთვის მიესაჯათ მონობა; მონა მშობლების შვილიც დაბადებიდანვე მონა ხდებოდა.

**178** **მონებს ზოგჯერ პატრონები ათავისუფლებდნენ.** შესაძლოა თავისუფლება ჯილდო ყოფილიყო ერთგულების ან თავდადებული სამსახურისთვის. ზოგჯერ კი მონათმოვაჭრე ავადმყოფ და მომაკვდავ მონებს აღარ ყიდდა და ათავისუფლებდა, რათა სასტიკ პატრონს არ ჩავარდნოდნენ ხელთ.



**დაუჯერებელია!**

**ძვ.წ. 73-71 წლებში მონამ, სახელად სპარტაკმა, სამხრეთ იტალიაში დიდი აჯანყება წამოიწყო. სპარტაკმა მთებს შეაფარა თავი, სადაც მას 90 000 მონა შეუერთდა.**

**179** **ზოგი გააზატებული მონა მდიდრდებოდა.** ყოფილი მონები ნასწავლ ხელობასა და უნარებს საკუთარი საქმის დასაწყებად იყენებდნენ. არაერთმა დააგროვა ქონება, ხოლო რამდენიმე მათგანი ძალიან მდიდარიც გახდა.

# რომაული „ნარმოების საიდუმლო“

**180** **რომაელებმა ბევრი ახალი სამშენებლო მასალა გამოიგონეს.** მაგალითად, ბეტონი, რომელიც გაცილებით იაფი და იოლად გამოსაყენებელი იყო, ვიდრე სამშენებლო ქვა, და ნაგებობების ახლებური დიზაინიც შექმნეს. რომაელებმა დაიწყეს აგურის მაღალ ტემპერატურაზე გამოწვაც მეტი გამძლეობისთვის. ისწავლეს, როგორ გამოეყენებინათ თაღები მყარი, მაღალი კედლებისა და კარიბჭეების ასაგებად. მათ შექმნეს მასიური გუმბათი ისეთი შენობებისთვის, რომლებიც მეტისმეტად დიდი იყო საიმისოდ, რომ ხის კოჭებით გადაეხურათ.

▼ **რომაელები შესანიშნავი მშენებლები და არქიტექტორები იყვნენ. მათ მიერ გაყვანილმა გზებმა და არაერთმა ნაგებობამ 2 000 წელზე მეტხანს გაძლო.**

**181** **აკვედუკები რომს ყოველდღე 750 მლნ ლიტრი სასმელი წყლით ამარაგებდა.** წყალი წყალსადენების მეშვეობით მიეწოდებოდა საზოგადოებრივი სარგებლობის წყაროებსა და შადრევნებს, აგრეთვე შეძლებულთა ოჯახებს.

◄▲ ამგვარი სარქველების მეშვეობით წყალი აღმა იტუმბებოდა, შემდეგ კი მიედინებოდა შადრევნებისკენ, რომელთა მსგავსიც აქ არის გამოსახული.

**დაუჯერებელია!**

**ლათინური სიტყვა „პლუმბუმ“ აღნიშნავდა ტყვიას, რომლისგანაც რომაელები წყალსადენებს ამზადებდნენ. აქედან წარმოდგება თანამედროვე ინგლისური სიტყვა „პლამერი“, რაც „წყალსადენის ოსტატს“ ნიშნავს.**

## 182

**რომაული წყალმომარაგების სისტემა იმდენად გამართულად მუშაობდა, რომ 1800-იან წლებამდე უკეთესი არავის შეუქმნია!** რომაელებმავე გამოიგონეს წყალსაქაჩი მექანიზმი. წყალი შადრევნების თავზე განთავსებულ ავზში გროვდებოდა და სიმძიმის ძალით წყალსადინარის ტუჩიდან ამოიტყორცნებოდა.

## 184

**საუკეთესო ექიმებიც კი ხშირად ვერაფერს შველოდნენ პაციენტებს.** სამაგიეროდ, რომაელ ექიმებს კარგად ეხერხებოდათ ჭრილობის ამოკერვა და მოტეხილობის შეხორცება. სამკურნალოდ იყენებდნენ ბალახებსა და ტკივილგამაყუჩებლებს.



▼ **რომაელებს სჯეროდათ, რომ ექიმს შეეძლო დაავადებულის განკურნება, მაგრამ მიაჩნდათ, რომ სუსტი ჯანმრთელობის მიზეზი ჯადოქრობა იყო.**

## 183

**ტექნოლოგიის განვითარების მიუხედავად, რომაელებს სჯეროდათ, რომ ავადმყოფობა ჯადოქრობის ბრალი იყო.** განსაკურნებლად გრძნეულებს საჩუქრებით ავსებდნენ და სთხოვდნენ, ჯადო მოეხსნათ, ან ტაძრებს აკითხავდნენ საგანგებოდ, რათა ღმერთებისთვის გამომჯობინება ეთხოვათ.

# მლოცველები და მსხვერპლშეწირვა

**185 რომაელები მრავალ სხვადასხვა ღმერთს ეთაყვანებოდნენ.** ღმერთების მეფე იუპიტერი რომაული მიწების მფარველი იყო, გათხოვილი ქალები კი მის ცოლს — იუნონას ეთაყვანებოდნენ; მარსი ომის ღმერთი იყო; ვენერა — სიყვარულის ქალღმერთი; დიანა — ნადირობისა და გოგონების მფარველი; ნეპტუნი, ზღვის ღმერთი, ქარიშხლებსა და საშინელ გრიგალებს მოუვლენდა ხოლმე ადამიანებს; ვესტა ოჯახების მფარველი ქალღმერთი იყო. ვესტას ქურუმი ქალები რომში, ფორუმზე მდებარე ტაძარში სამსხვერპლო ცეცხლს ანთებდნენ.

ღმერთების მეფე იუპიტერი და იუნონა, ღმერთების დედოფალი

მერკური, ღმერთების შიკრიკი

დიტი (პლუტონი), ქვესკნელის ღმერთი

**186 რომის იმპერატორი მთავარი ქურუმიც იყო.** ლოცვების წარმოთქმა და რომის მფარველი ღმერთებისთვის მსხვერპლშეწირვის დანიშვნა მისი მმართველობით მოვალეობებში შედიოდა. იმპერატორს ენიჭებოდა სახელი „დიადი პონტიფიკოსი“, რაც სიტყვასიტყვით „ხიდების დიდ მშენებელს“ ნიშნავს. ხალხს სჯეროდა, რომ სწორედ ის იყო დამაკავშირებელი ხიდი ღმერთებსა და ხალხს შორის.

**187** **ოჯახები ღმერთებს ყოველდღე მიართმევდნენ ძღვენს.** ისინი სახლებში მოწყობილ სამლოცველოს წინ აწყობდნენ სამსხვერპლო სასმელ-საჭმელს და საკმეველს აკმევდნენ. სამლოცველო პატარა ტაძარს ჰგავდა. შიგ ოჯახის, კერიის, დოვლათის მფარველი ღვთაებების, მათ შორის ლარებისა და პენატების ქანდაკებები იდგა. ლარები წინაპართა სულები იყო, რომლებიც გარდაცვალების შემდეგ საგვარეულოს ცოცხალ წევრებს დაჰყურებდნენ, ხოლო პენატები ოჯახის სურსათს მფარველობდნენ.

▲ **რომაული ოჯახის სამლოცველო, სადაც ძღვენს მიართმევდნენ ღმერთებს**

**188** **რომაელები ძალიან ცრუმორწმუნე იყვნენ.** ისინი სახლებს მაგიური სიმბოლოებით რთავდნენ და ბავშვებს ყელზე ჰკიდებდნენ ბედნიერების მომტან ავგაროზებს. ეგონათ, მომავლის წინასწარმეტყველებაც შეიძლებოდა, თუკი ცხოველებს, ფრინველებს, მწერებსა და ამინდს დააკვირდებოდნენ. მაგალითად, ფუტკარი სიმდიდრისა და ბედნიერების ნიშანი იყო, ბუს კივილი — საფრთხისა.

**189** **რომაელები ღმერთებს შესთხოვდნენ თავიანთი მტრების განადგურებას.** ლითონის ან თიხის ნატეხზე აწერდნენ მტრის სახელებს, წყევლას და ტაძარში ტოვებდნენ. იმედი ჰქონდათ, რომ ღმერთები თხოვნას შეიწყნარებდნენ და მათ მტრებს ზიანს მიაყენებდნენ.

▲ **ქრისტიანი კატაკომბებში ლოცულობს.**

**190** **მსოფლიოს პირველი ქრისტიანები რომში ცხოვრობდნენ.** ახ.წ. 313 წლამდე რომის იმპერიაში ქრისტიანობა აკრძალული იყო. ქრისტიანები მალულად იკრიბებოდნენ მიწისქვეშა ტალანებში, რომლებსაც კატაკომბებს უწოდებდნენ, იქ ლოცულობდნენ და ღვთისმსახურებას აღავლენდენ. კატაკომბებს იყენებდნენ სამარხებადაც.



**დაუჯერებელია!**

**როცა ღმერთებს ცხოველს მსხვერპლად შესწირავდნენ, ქურუმი, რომელსაც „ჰარუსპექსი“ ეწოდებოდა, მსხვერპლის ღვიძლს შეამოწმებდა. თუ იგი დაავადებული გამოდგებოდა, ეს ავის მომასწავებელ ნიშნად მიიჩნეოდა.**

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი

1 კუკასიელ მთიელთა დამოუკიდებლ. ბრძ. მეთაური

2 ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ადგილი

3 ვლადიმირ ულიანოვის ფსევდონიმი

4 ღია საველე საფორტიფიკაციო ნაგებობა

5 რუსეთის პარლამენტი

6 იალქნიანი გემის ტიპი

7 რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა

8 ბულგარეთის დედაქალაქი

9 იუგოსლავიის ყოფილი დიქტატორი

10 ჰომეროსის პოემა

11 პირველი კოსმონავტი

12 უკმაყოფილების გამოხატვა

13 ტაივანის დედაქალაქი

14 დიდ ბრიტანეთის პრემიერი 1940-1945 წწ.

15 სიმონ ტერ-პეტროსიანის ფსევდონიმი

16 ქვეყანა აფრიკაში

17 დამარცხებულ მტრის გადაკეთებულ-ებულ ხმლებში გატარება

18 კარნაკეტილი საზოგადოებრივი ფენა

19 ეთიოპიის ძველი სახელწოდება

20 დესპანი

21 აშშ-ის ელჩი საქართველოში

22 ირლანდიის რესპუბლიკური არმია

23 აფღანეთის პრეზიდენტი

24 XVIII საუკუნის ინგლისელი ზღვაოსანი

25 ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე

*წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:*
*1. რაზინი; 2. ფინიკია; 3. ნოტა; 4. ნიკიტა; 5. აკლდამა; 6. ასადი; 7. მაკედონელი; 8. დინასტია; 9. სურა; 10. სარკოზი; 11. საგა; 12. ნიკე; 13. მორალესი; 14. ბაღდადი; 15. ჩე; 16. სენიორი: 17. ფრაუ; 18. პორტი; 19. ჰააგა; 20. ულუ; 21. კინგი; 22. ლუი; 23. ნილოსი; 24. იური; 25. ალია. სურათზე: რონალდ რეიგანი.*